ლიბერალი

№ 156 / ნოემბერი / 2014

# "ოცნების" ზამთარი ახლოვდება

გვ. 20

ფასი 5 ლარი

1737
2014

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IOTA iOS-ისთვის

## ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

IOTA iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 156 / ნოემბერი / 2014

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ვარდიაშვილი

**ჟურნალის რედაქტორი**
ირაკლი აბსანძე

**ჟურნალის აღმასრულებელი რედაქტორი**
გიორგი ჭეიშვილი

**ვებგვერდის რედაქტორი/ მედიაგანვითარების დირექტორი**
ლიკა ზაკაშვილი

**ახალი ამბების რედაქტორი**
დათო გამისონია

**ფოტორედაქტორი**
ლევან ხერხეულიძე

**ჟურნალისტები**
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი.

**კონტრიბუტორები**
რევაზ გაჩეჩილაძე, მალხაზ სონღულაშვილი, ვახო ხეთაგური, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე, ცირა ელისაშვილი, ირაკლი ხვადაგიანი, სანდრო ასათიანი, გიო ახვლედიანი

**ჟურნალის დიზაინერი**
თორნიკე ლორთქიფანიძე

**რედაქტორ-სტილისტი/ კორექტორი**
ნათია ორმოცაძე

**ახალი ამბების სტილისტ/ კორექტორი**
ნინო კალატოზიშვილი

**ბიზნესგანვითარების დირექტორი**
ქეთევან ქავთარაძე

**კომუნიკაციის მენეჯერი**
ელენე ხარაზაშვილი

**პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი**
ირმა მოსულიშვილი

**დისტრიბუტორი**
გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით:
**247 02 46**

**www.liberali.ge**

# რედაქტორის სვეტი

## ბედის სიმღერა

„ყველაფერი აირია ობლონსკების სახლში“ – ბოლო დღეებია, ეს ფრაზა ამეკვიატა.

„ლიბერალის“ ამ ნომრის ყდაზე „რკინის ტახტი“ ირაკლი ღარიბაშვილს უკავია. როდესაც ჟურნალის აღმასრულებელმა რედაქტორმა ილუსტრაციის იდეა აგვიხსნა, რედაქციაში ბევრი ვიცინეთ. თუმცა სიტუაციას ტრაგიკული უფრო ეთქმის, ვიდრე კომიკური.

ჯორჯ მარტინის ისტორიული ფენტეზის მსგავსად ქართულ პოლიტიკურ რეალობაშიც არ არსებობს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი გმირები, ხელშეუხებელი პერსონაჟები, გათვლადი მოვლენები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, მყარი მოცემულობები, ზნეობრივი პრინციპები, რომელსაც განუხრელად იცავენ და არ არღვევენ...

ყველაფერი არამარტო ობლონსკების სახლში, „ლიბერალის“ რედაქციაშიც აირია, როდესაც ერთი თვის ნაგეგმი და აწყობილი ჟურნალის რამდენიმე დღეში გადაწყობა მოგვიხდა. თუმცა პრობლემას, რომელსაც მთავარ თემად განვიხილავდით, გარეკანის გარდა არაფერი დაუკარგავს – პოლიტიკური ორომტრიალის მიუხედავად, ფემიციდი ნომრის ფოკუსში რჩება.

პოლიტიკური ციებ-ცხელების გამო დროებით „ჩაჩოჩებული“ თემა – ქალთა მიმართ ძალადობა – სიცოცხლეს აგრძელებს. ვინ არის პასუხისმგებელი? – ამ კითხვას „ლიბერალთან“ ინტერვიუში სახალხო დამცველი პასუხობს. მალხაზ სონღულაშვილი დაგაფიქრებთ ამ ძალადობის კულტურულ-რელიგიურ ასპექტებზე. ამავე სტატიაში იხილავთ ილუსტრაციას, რომელიც ნომრის ქავერად იყო გამიზნული...

***

საგრძნობლად აცივდა. ხეები ფოთლებისგან ისე იძარცვებიან, როგორც პოლიტიკოსები პატიოსნების საბურველისგან. ამის საპირისპიროდ, ასე ჩანს, პოლიტიკურ ტემპერატურას დაცემა კიდევ კარგა ხანს არ ემუქრება.

*ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი*

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ПОЛИТИКА

## "ოცნების" პოლიტიკური ზამთარი

გუშინდელი თანამებრძოლის „ავანტიურისტად, უჭკუოდ და ამბიციურად“ მოხსენებამ ალასანიას სასარგებლოდ დაასრულა ამ დღეებში პრემიერსა და ექსმინისტრს შორის გამართული პიარ-ომი, რომელსაც ქარიზმატული ალასანია თავიდანვე იგებდა. ღარიბაშვილს გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ კონფლიქტის გაღვივების მერე გააქტიურებული ორი კრიმინალური საქმე უბრალოდ დამთხვევაა და არა კამპანიის ნაწილი. მის სასარგებლოდ ამ რაუნდში არც ბიძინა ივანიშვილს უთამაშია. „ქართული ოცნების“ ოფისში ზედიზედ ორ დღეში გამართულ ორ გადამწყვეტ შეკრებაზე ბიძინა ივანიშვილის დასწრება პრემიერ-მინისტრს პოლიტიკურ წონას არ მატებს.

*ირაკლი აბსანძე*
**გვ.20**

საზოგადოება

## ქაღალბი სოფლად

ცივი და ნესტიანი საღამოა. გზაზე ცხვრები ჩანან. უკან ციმარი მოჰყვება, დიდი ბოტებით, მხიარული შეძახილებითა და ჯოხით ხელში. ცხვრებს ეზოში ერეკება. სანამ ჭიშკარს ძროხები და ღორები მოადგებიან, სახლში გვეპატიჟება. შეშის ღუმელის ქვეშ გასაშრობად სიმინდი ყრია. იატაკზე კარტოფილია მიმობნეული. ფეხით ერთ ადგილას აქუჩებს და დასაჯდომ ადგილს გვითავისუფლებს. წელს ოცი ტომარა კარტოფილი აიღო. ციმარ თვაური 48 წლისაა. ოჯახის მეურნეობას თვითონ უძღვება. მეუღლე მთელი შემოდგომა მიწებს ყარაულობს, რომ ცხვრებმა არ გააფუჭონ...

*თათია ხალიანი*
**გვ.32**

ᲣᲡᲮᲝᲔᲗᲘ

## "ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ": ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ, ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲑᲘ

ჯიჰადისტების სამხედრო წარმატებები, მათ შორის ორმილიონიანი ქალაქ მოსულის აღება, ერაყისა და სირიის ნავთობსარეწებზე კონტროლის დამყარება, დიდი ეკონომიკური რესურსების მოპოვება მაფიქრებინებს, რომ ბრძოლა ამ ტერორისტულ წარმონაქმნთან დიდხანს გასტანს. საბოლოო ჯამში, „ისლამური სახელმწიფო", როგორც სახელმწიფო თანამედროვე გაგებით, ვერ შედგება: მას არ ექნება ადგილი გაეროში, საერთაშორისო სატელეფონო კოდი, საერთაშორისო საჰაერო სამსახური, არც საავადმყოფოები, უნივერსიტეტები და ბიბლიოთეკები. მისი ლიდერები, საბოლოოდ, გასამართლდებიან ტერორიზმისა და მასობრივი მკვლელობების ბრალდებით. მაგრამ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს იდეა კიდევ დიდხანს არ მოკვდება.

*რევაზ გაჩეჩილაძე*
გვ.12

ᲤᲝᲢᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

## ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲩᲔᲜᲐᲓ



*ვახო ხეთაგური*
გვ. 42–51



ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

## ᲤᲔᲛᲘᲡᲘᲓᲘ, ᲐᲜᲔ ᲮᲔᲚᲢᲣᲮᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲜᲝᲘᲐ

თუკი ქრისტიანობისა და ისლამის ფუნდამენტალური მნიშვნელობის წყაროები გენდერული თანასწორობისა და ქალთა ემანსიპაციის რევოლუციურ ტექსტებს შეიცავენ, მაშინ ქალი და მისი სიცოცხლე ქრისტიანულსა თუ მუსლიმურ კულტურებში რატომ არ ფასდება ისე, როგორც უნდა ფასდებოდეს? რატომ მოეცარათ ხელი ქრისტიანობასა და ისლამს იმაში, რომ პირველმა 2000, ხოლო მეორემ 1400 წლის განმავლობაში ვერ დაამკვიდრეს ის, რასაც იესო და ყურანი ქადაგებენ?!

*მალხაზ სონღულაშვილი*
გვ.24

ნომერში:

ილუსტრაცია ისპირა ნადარეიშვილი


06 **მოკლედ**

**უცხოეთი**

12 „ისლამური სახელმწიფო“: მიზეზები, პრაქტიკა, საფრთხეები

**ინტერვიუ**

16 ყველა პასუხისმგებელია

**პოლიტიკა**

20 „ოცნების“ ზამთარი ახლოვდება

22 პრემიერის პრეზუმფცია

**საზოგადოება**

24 ფემიციდი, ანუ კულტურის მეტანოია

32 ქალები სოფლად

38 დასაქმებულობის ილუზია

**ფოტოპროექტი**

42 ქალები ოჯახების სარჩენად

**ბიბლიოთეკა**

52 ნობელის პრემიაზე სხვა გადაფრინდა

58 საბჭოთა საქართველოს პლაკატ-აფიშათა საქმე

**ქალაქი**

62 გუდიაშვილის მოედანი, ანუ „წერილია თქვენს სახელზე“

66 Не дом хозяина красит, а хозяин дом

**კულტურა**

70 ადრეული ლითონების ხანა

**ტექნოლოგიები**

72 ინსპირაცია ცვლილებებისათვის

**სპორტი**

78 პიცაგეიტი, ათი წლის შემდეგ


ბიბლიოთეკა

## ნობელის პრემიაზე სხვა გადაფრინდა

XX საუკუნის შუა პერიოდიდან მსოფლიოს ჰყავდა ლიდერი მწერალი – ხორხე ლუის ბორხესი. ბორხესს პრემია არ მისცეს – ეგ მემარჯვენეა და აუგუსტო პინოჩეტთან აქვს ურთიერთობაო. ბორხესის შემთხვევისგან განსხვავებით, პოლიტიკურმა მიდრეკილებებმა არ შეუშალა ხელი სტალინის მაქებარი და მადიდებელი ხალხისთვის, სარტრისა და ნერუდასთვის, მიეცათ პრემია. ეტყობა შვედური გადმოსახედიდან ასე ჩანდა, რომ სტალინი ჯობია პინოჩეტს: პინოჩეტმა რამდენიმე ათასი კაცი შეიწირა, სტალინმა კი მილიონები.

*ლევან ბერძენიშვილი*
**83.52**

სპორტი

## პიცაგეიტი, ათი წლის შემდეგ

აქ მუშკეტერები არაფერ შუაშია, არც დიუმა, რადგან მაშინ პიცა არ არსებობდა. ამ ათი წლის წინათ და საერთოდ საუკუნის დასაწყისში პრემიერლიგაში საქმე ისე იყო, რომ წლის თამაში ორი იყო ხოლმე, მაჩესტერ „იუნაიტედსა“ და „არსენალს“ შორის. იმხანად არსენალი უფრო მაგარი იყო, თავისი ბერკამპებით, ანრის ქურციკობით, ჰოლანდიელებით, ფრანგებით, ესპანელებით. ფერგის გუნდი კი იმას ამტკიცებდა, რომ „არსენალი“ მაგარი კია, მაგრამ მანჩესტერი, მაინც მანჩესტერია, და ჩემპიონობა რომც წაართვან, მაინც დაიბრუნებს.

*გიო ახვლედიანი*
**83.78**


**გამომცემელი:**
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge


„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.



**ბეჭდვა:**
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

Part of the
ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia



# ეკო ბიზნეს სესხი

## ეფექტური ბიზნეს ინვესტიცია

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge



## ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი პატრიკ მოდიანო გახდა

2014 წლის ლიტერატურული ნობელის პრემიის ლაურიატი ფრანგი ავტორი პატრიკ მოდიანო გახდა. შვედეთის აკადემიამ ფრანგ მწერალს პრემია „წერის ხელოვნებისთვის – რომლითაც მან ადამიანის ბედისწერის მიუწვდომელი მხარეები მოიხელთა და სამყაროს ცოცხლად დაანახა“ – მიანიჭა. ოფიციალურ ცერემონიალამდე, თვეების განმავლობაში, გამარჯვებას იაპონელ მწერალს, ჰარუკი მურაკამის უწინასწარმეტყველებდნენ. ის რეიტინგების სათავეში იყო და Ladbrokes-ზე მკითხველთა რჩეულად სახელდებოდა. პატრიკ მოდიანო წინასწარ რეიტინგებში მე-5 ადგილს იკავებდა.

## ესტონეთი LGBT თემისთვის სამოქალაქო პარტნიორობის დებულებებით პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანა გახდა

ესტონეთის პარლამენტმა უკვე სამივე მოსმენით მიიღო ისტორიული კანონი, რომლის თანახმად, ერთსქესიანთა კავშირი საპირისპირო სქესის მქონე წყვილების კავშირთანაა გათანაბრებული.

კანონი, 40 ხმით 38-ის წინააღმდეგ, დამტკიცებულია.

მხარდამჭერების უმრავლესობა მმართველი კოალიციის – რეფორმებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წევრები არიან.

აღნიშნული გადაწყვეტილებით ესტონეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანაა, რომელმაც ერთსქესიანი წყვილების სამოქალაქო კავშირი დააკანონა. კანონი ძალაში 2016 წელს შევა.

## Facebook და Apple - ტვეისხეჯრედის გაყინვა თანამშრომლების შესანახჩენებლად

ინფორმაციული ტექნოლოგიების მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელები, Facebook-ისა და Apple-ის ჩათვლით, ქალ თანამშრომლებს ახალ სარგებელს – კვერცხუჯრედის გაყინვით შენახვას სთავაზობენ. Facebook-მა უკვე დაიწყო ეს პროგრამა, Apple კი 2015 წლის იანვრიდან შეუერთდება.

ინიციატივის მიზანია გამორჩეული უნარის მქონე ქალი თანამშრომლების შენარჩუნება, კარიერასა და დედობას შორის არჩევნისგან მათი დაზღვევა.

ორივე კომპანია თავიანთ ამერიკელ თანამშრომლებს კვერცხუჯრედის აღდგენისა და შენახვის პროცედურისთვის კორპორაციული დაზღვევის ფარგლებში 20 ათასამდე დოლარს სთავაზობს.

მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ უკეთესი იქნებოდა ტექნოლოგიურ კომპანიებს აქცენტი ახალგაზრდა მშობლების სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესებაზე გაეკეთებინათ, ვიდრე კვერცხუჯრედების გაყინვაზე.

## ეკლესია "მეტამორფოზას" სასცენო ვერსიაში მთავარ როლს იაპონური რობოტი ასრულებს

ფრანც კაფკას „მეტამორფოზას“ ახალ სასცენო ვერსიაში მთავარ როლს იაპონური რობოტი ასრულებს. დადგმაში იგი ცენტრალურ ადგილს იკავებს, რამაც როლს მოწყურებულ მსახიობებს საფიქრალი უნდა გაუჩინოს – რობოტი თეატრშიც იკიდებს ფეხს.

ცნობილმა იაპონელმა რეჟისორმა ორიზა ჰირატამ რობოტების გამოჩენილ კონსტრუქტორ ჰიროში იშიგუროსთან ერთად მოქნილი რობოტი შექმნა, რომელსაც მეტალის ჩონჩხი და თეთრი, ადამიანის მსგავსი სახე და ხელები აქვს.

კაფკას „მეტამორფოზას“ მთავარი პერსონაჟი, კომივოიაჟერი გრეგორი ზამზა, ერთ დილას აღმოაჩენს, რომ გიგანტურ მწერად ქცეულა. რეჟისორმა უზარმაზარი ხოჭო რობოტით ჩაანაცვლა, რომელიც კაფკას ტექსტებს ავტომატურად კითხულობს. მექანიკურ მსახიობებს თეატრში დიდი ხანია იყენებენ, პირველი შემთხვევა 1785 წელს ფრანგ გამომგონებელ ჟაკ დე ვოკანსონს ეკუთვნის. სიახლე ამ შემთხვევაში ისაა, რომ რობოტი მთავარ როლს ასრულებს.

## ვატიკანი: ჰომოსექსუალებს ქრისტიანულმა ეკლესიამ ხელი უნდა ჰკრას

„ჰომოსექსუალებს აქვთ ნიჭი და თვისებები, რომლებსაც ქრისტიანულმა საზოგადოებამ ხელი არ უნდა ჰკრას. გვაქვს უნარი, ძმურად მივიღოთ ეს ადამიანები და ადგილი მივცეთ ჩვენს თემში?“ – წერია 13 ოქტომბრის დოკუმენტში, რომელიც ვატიკანში სინოდმა მიიღო.

კრება, რომელშიც 200-ზე მეტი ეპისკოპოსი მონაწილეობს, რომის პაპმა ფრანცისკმა ოჯახური ცხოვრების შესახებ საკამათო თემების განსახილველად მოიწვია. ესენია აბორტი, კონტრაცეფცია, ჰომოსექსუალობა და განქორწინება.

მაღალი რანგის სასულიერო პირები ეკლესიას ჰომოსექსუალობის მიმართ დადებითი პოზიციის დაკავებისკენ მოუწოდებენ.

დოკუმენტი არ განიხილავს ეკლესიის დიდი ხნის პოზიციას ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ, თუმცა ჰომოსექსუალთა უფლებადამცველი ჯგუფები მას მაინც დიდ მიღწევად მიიჩნევენ. კონსერვატორულმა ჯგუფებმა კი ეპისკოპოსთა ანგარიში უკვე ღალატის ტოლფასად მიიჩნია. ფრანცისკის წინამორბედი პაპი





ბენედიქტი 1986 წლის ვატიკანის დოკუმენტში ჰომოსექსუალობას შინაგან დარღვევად აფასებდა. ამის ფონზე ახლანდელმა რომის პაპმა რიოს ახალგაზრდული კათოლიკური ფესტივალიდან დაბრუნებულ ჟურნალისტებს უთხრა: „თუ ადამიანი ეძებს ღმერთს და აქვს კეთილი ნება, ვინ ვარ მე, რომ განვიკითხო?“

## კიბერდანაშაულთა უმეტესობა რუსულენოვანი სამყაროდანაა

ევროპის პოლიციის სამსახურის (ევროპოლი) კიბერდანაშაულის ცენტრის უფროსის თქმით, მსოფლიო კიბერდანაშაულის უკან 100-მდე ძლიერი პროგრამისტი დგას, რომელთა უმეტესობაც რუსულენოვანი სამყაროდანაა.

ტროელს ორტინგის თქმით, სამართალდამცავებმა მიზანში პროგრამისტთა მცირე ჯგუფი უნდა ამოიღონ, რომლის წევრებიც, მოგების მიღების მიზნით იმდენად სწრაფად ქმნიან კომპიუტერებისთვის საზიანო პროგრამებს, რომ კიბერდანაშაულის ცენტრი მათთან გამკლავებას ვერ ასწრებს.

ორტინგის თქმით, რუსულენოვან კრიმინალთა დაჯგუფებები კომპიუტერების საზიანო პროგრამებს ონლაინფორუმებისთვის მისაყიდად ქმნიან.

## ჰომპანია Microsoft-ი შეთანხმებას აჩუქებს: Nokia Lumia-ს Microsoft Lumia ეცვლება

კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფინური კომპანიის სმარტფონებს გაყიდვიდან ერთი წლის შემდეგ Nokia Lumia-ს ნაცვლად Microsoft Lumia დაერქვა.

Microsoft-მა მობილური ტელეფონების კომპანია Nokia 2014 წლის აპრილში 7,2 მილიარდ დოლარად სრულად შეიძინა.

კომპანია Microsoft-ის წარმომადგენლის თქმით, სმარტფონების სრული რებრენდინგი თანდათანობით მთელ მსოფლიოში მოხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის შემოდგომაზე Microsoft-მა დადო შეთანხმება, რომლის მიხედვით, ფინური კომპანიის სმარტფონებს 10 წლის განმავლობაში Nokia-ს დასახელება უნდა შეენარჩუნებინათ.

თავად კომპანია Microsoft-შიც ცვლილებებია. ახალმა გენერალურმა დირექტორმა სათია ნადელლამ 18 ათასი თანამშრომელი გაათავისუფლა.

## ყარავაჯოს ნახატი, რომელიც 42 ათას ფუნტად გაიყიდა, შესაძლოა ოჩიბინალი აღმოჩნდეს

კარავაჯოს ნახატის ასლი, რომელიც 42 000 ფუნტად გაიყიდა, შესაძლოა 10 მილიონი ფუნტის ღირებულების ორიგინალი აღმოჩნდეს.

2006 წელს Sotheby-მ მიქელანჯელო მერიზი დე კარავაჯოს ნახატი „თაღლითები“ ასლის ფასად გაყიდა. ყოფილი მფლობელი ლანსელოტ სუეიტსი აუქციონის სახლს დაკარგული მილიონებისთვის უჩივის. უმაღლეს სასამართლოში კარავაჯოს „თაღლითების“ შესახებ დავობენ. მყიდველი, რომელიც კარავაჯოს შემოქმედების კარგი მცოდნეა, ამბობს, რომ მის ხელთ ორიგინალია.

ექსპერტების აზრით კი, რთულია დანამდვილებით მტკიცება, მართალია თუ არა სუეიტსი. 1594 წელს შექმნილი „თაღლითები“ ტეხასის მუზეუმშია გამოფენილი. ეს კარავაჯოს სამხატვრო რეპუტაციის დამკვიდრებაში საკვანძო ნაშრომი იყო და მისი ასლებიც უსასრულოდ კეთდებოდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია, მას თავად გაეკეთებინა ასლი, როგორც ეს the lute player-ის შემთხვევაში მოხდა, როდესაც სამი ზუსტად ანალოგიური ნახატი შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამალობანა

## სად არიან ბავშვები?

### შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

**8985** რეგისტრირებული



**38%**
დადის საჯარო სკოლაში

**12%**
დღის ცენტრები

**4%**
ბავშვთა ადრეული
განვითარების პროგრამა*

**46%**
?

### გაუმართავი ინფრასტრუქტურა

საქართველოში სკოლების მხოლოდ

**12%**

არის აღჭურვილი პანდუსებით



**5%**-ში

არის ადაპტირებული სველი წერტილი

**UNICEF**

საქართველოში 2005 წელს გამოკითხული დედების ინფორმაციით, გარკვეული სახის შეზღუდული შესაძლებლობა ფიქსირდებოდა 2-9 წლამდე ასაკის ბავშვების 14%-ში, რაც უდრის დაახლოებით 40 000 ბავშვს.

* გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის ოჯახის მხარდაჭერა და ბავშვის ჩართვა ადრეული განვითარების პროგრამაში

**წყარო:**

სოციალური მომსახურების-სააგენტო

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

კვლევა: "ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში"

Unicef - გაეროს ბავშვთა ფონდი

ᲪᲘᲑᲔᲰᲐᲪᲘ

JumpStart Ge

ავტორი: ლიკა ზაკაშვილი, დიზაინერი: ირაკლი ჭუმბურიძე (ჯამპსტარტ ჯორჯია)

ინფოგრაფიკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# რად გვიჯდება
## საერთაშორისო მისიები

**17,298**
ქართველი სამხედრო

| | კაცი | ქალი | დაღუპული | დაჭრილი ტრავმირებული |
|---|---|---|---|---|
| ერაყი 2003-2008 | 7,277 | 160 | 5 | 15 |
| ავღანეთი 2004-დან | 8,594 | 41 | 29 | 312 |
| კოსოვო 1999-2008 | 1,076 | 0 | 0 | 0 |
| ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 2014 წლის ივნისიდან | 156 | 0 | 0 | 0 |

## სოციალური დახმარება
(სოციალური დახმარების მუხლით გაცემული თანხები)

**6,093,545₾**
(2008- 2014წლები)

| | დაჭრილი ტრავმირებული | საზღვარგარეთ მკურნალობა | დაღუპული ოჯახების დასახმარებლად გამოყოფილი თანხები |
|---|---|---|---|
| ერაყი 2003-2008 | 6,279₾ | 32,329₾ | 46,500₾ |
| ავღანეთი 2004-დან | 915,322₾ | 2,079,218₾ | 3,013,896₾ |

ბიბლიოთეკა

**წყარო:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

JumpStart Ge

ავტორი: გიორგი ჭეიშვილი, დიზაინერი: ირაკლი ჭუმბურიძე (ჯამპსტარტ ჯორჯია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქვეყნის განვითარება სწორედ ასეთი ადამიანების სამშობლოში დაბრუნებაზეა დამოკიდებული“

## ვინ არიან თიბისი ბანკის ახალი ვიცეპრეზიდენტები

წარმატების წინაპირობა განვითარებისკენ მუდმივი სვლაა. წინსვლა მაშინაც კი არ უნდა შეაჩერო, როცა საუკეთესო ხარ. თიბისი ჯგუფი საქართველოს საბანკო სფეროში ყველაზე წარმატებულია, თუმცა ბანკი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.

კლიენტებს მათთვის სასურველი და ინოვაციური პროდუქტები რომ შესთავაზო, ამისთვის სულ უფრო მეტი განვითარებისთვის უნდა ისწრაფვოდე, სწორედ ამიტომ თიბისი ბანკს ახალი მიმართულებები და კადრები დაემატა. ამიერიდან ბანკს სამი ახალი ვიცეპრეზიდენტი ეყოლება.

სამივე მათგანი – **გიორგი თხელიძე, ნიკა ქურდიანი და დავით წიკლაური** უცხოეთში წარმატებით მოღვაწეობდა და მუშაობის მრავალფეროვანი გამოცდილება აქვთ. თიბისი ბანკის ახლმა ვიცეპრეზიდენტებმა უმაღლესი მენეჯერული პოზიციები დატოვეს ისეთ მსხვილ ფინანსურ ორგანიზაციებში, როგორიცაა Barclays საინვესტიციო ბანკი, UniCredit Group და Deustche Bank იმისათვის რომ საკუთარი გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია საკუთარ ქვეყანაში, თიბისი ბანკში მუშაობისას გამოიყენონ. მათ ბანკში სხვადასხვა მიმართულებები ჩაიბარეს.

გიორგი თხელიძე რისკების მართვას უხელმძღვანელებს, ნიკა ქურდიანი – მიკროფინანსებს, დავით წიკლაური კი – კორპორატიულ საბანკო მიმართულებას.

სამივე მათგანისთვის საქართველოში დაბრუნება და თიბისი ბანკში მუშაობა დიდი გამოწვევაა. ისინი მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ინსტიტუტების ტოპ მენეჯერები იყვნენ და მათი შეფასებით, თიბისი ბანკი ისეთივე დონის კომპანიაა, როგორც ნებისმიერი წარმატებული უცხოური ბანკი.

თიბისი ბანკის დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე ბანკის ახალ ვიცე-პრეზიდენტებს ქვეყანაში დაბრუნებისთვის მადლობას უხდის და ფიქრობს, რომ ეს დაბრუნება წარმატებული იქნება:

„სერიოზულ პროფესიონალთა გუნდი შემოემატა არა მხოლოდ ბანკს, არამედ სრულიად საქართველოს. ეს ადამიანები იქ ცხოვრობდნენ, იქ ჰყავდათ ოჯახები, ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, მეუღლეები მუშაობდნენ. მაგრამ მათ მიატოვეს წარმატებული კარიერა და საქართველოში ჩამოვიდნენ, რადგან ახლა ეს ქვეყანაა ასაშენებელი“.

ბანკის მენეჯმენტში სამი ახალგაზრდა პროფესიონალის დამატება, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდის ახალი წევრები თიბისი ბანკში არა ვინმეს ჩასანაცვლებლად, არამედ ახალი მიმართულებების შექმნის შედეგად მივიდნენ. თიბისი ჯგუფი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია. ბანკ „კონსტანტასთან“ ერთად მასში საერთო ჯამში 4 000 ადამიანია დასაქმებული.

ბანკის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე იმედოვნებს, რომ უკვე არსებული რესურსით და სამი პროფესიონალის დამატებით ბანკი მის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას წარმატებით უპასუხებს.

გენერელური დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს, გიორგი თხელიძეს, რომელიც რისკების მართვას უხელმძღვანელებს, ფინანსურ სფეროში მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობის 12-წლიანი გამოცდილება აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი თიბისი ბანკში მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტიდან, Barclays საინვესტიციო ბანკიდან გადმოვიდა. იქ 2011 წლიდან ფინანსური ინსტიტუციების ჯგუფის (FIG) ვიცეპრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. გიორგი თხელიძე ორი წლის განმავლობაში Barclays კორპორატიული ბანკის სესხების ფინანსირებისა და რესტრუქტურიზაციის გუნდის ასოცირებული დირექტორი იყო.

ლონდონში წასვლამდე საქართველოშიც წარმატებული ბიზნესკარიერა ჰქონდა. 2001 წლიდან მას სხვადასხვა მენეჯერული პოზიცია ეკავა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში", 2005-2007 წლებში კი კომპანიის გენერალური დირექტორი იყო.

გიორგი თხელიძემ 2000 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2002 წელს მან ნოტინგემის უნივერსიტეტში საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხი (LL.M) მოიპოვა. 2009 წელს კი ლონდონის ბიზნესსკოლაში ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონში წარმატებული კარიერა ჰქონდა, ბოლო წლების განმავლობაში ყოველთვის ფიქრობდა საქართველოში დაბრუნებაზე. მაგრამ ამისთვის შესაფერის დროსა და ვითარებას ელოდა.

გიორგი თხელიძე მიიჩნევს, რომ თიბისი ბანკი ზრდისა და გავითარების ისეთ ეტაპზეა, რომ იგი საქართველოში კარიერული განვითარებისთვის საუკეთესო პლატფორმაა. მისი თქმით, ეს მისი „ცხოვრებისეული არჩევანიცაა", რადგან ამ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ მისი კარიერა კი არა, ოჯახის ცხოვრებაცაა დამოკიდებული.

„მნიშვნელოვანია, რომ სამივე ადამიანს გვაქვს ძალიან მდიდარი გამოცდილება. ჩვენი ამოცანაა, ჩვენი გამოცდილება კარგად შევაზავოთ არსებულ წარმატებულ მენეჯმენტთან. ჩვენი მიზანია, გავაგრძელოთ ზრდა საქართველოში და ჩვენს კლიენტებს ახალი და უფრო საინტერესო პროექტები შევთავაზოთ. მთავარია, ეს ყველაფერი სწორი რისკისა და მართვის საფუძვლებზე განვახორციელოთ, რათა ბანკი წარმატებული და დაცული იყოს".

გენერალური დირექტორის კიდევ ერთი მოადგილე დავით წიკლაურია.

იგი თიბისი ბანკის კორპორაციულ მიმართულებას უხელმძღვანელებს. მას საბანკო სფეროში მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება აქვს.

დავით წიკლაურს თიბისი ბანკში მუშაობის გამოცდილება წარსულშიც ჰქონდა. 2004-2006 წლებში იგი ინვესტორებთან ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ბოლო 7 წლის განმავლობაში ის მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან საინვესტიციო ბანკში, Deustche Bank-ში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2007-2011 წლებში დავითი Deustche Bank-ის ფინანსური ინსტიტუციებისა (FIG) და სოვერენული (SSA) ჯგუფის ასოცირეული ბანკირი იყო. 2011 წლიდან კი Deustche Bank-ის კაპიტალის ბაზრებისა და ფინანსური ოპერაციების ჯგუფის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობა ეკავა.

„გვინდა, რომ კორპორაციულ ნაწილში ჩვენი გუნდი საქართველოს ბაზარზე იყოს ყველაზე წარმატებული. ზუსტად უნდა ვიცოდეთ რა ხდება ჩვენს სექტორში. გვინდა, რომ კორპორაციულ ბანკირს ჰქონდეს მაქსიმალური ცოდნა, იცოდეს რა სტკივა ამ სექტორს, რა აწუხებს კონკრეტულ კორპორაციას და თუკი ეს ყველაფერი გვეცოდინება, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ კორპორაციებისთვის სწორედ იმ გადაწყვეტილებების შეთავაზებას, რომელიც მოუვლის არა მარტო ამ ტკივილს, არამედ მათ ისეთ წინადადებებს შევთავაზებთ, რაზეც შესაძლოა ამ კორპორაციებს საერთოდ არ უფიქრიათ", - აცხადებს დავით წიკლაური.

გამოწვევებისთვის მზადაა თიბისი ბანკის კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლოზ ქურდიანი. იგი მიკროფინანსების მიმართულებას უხელმძღვანელებს. მისთვის თიბისი ბანკში მუშაობა ძალიან საინტერესოა. ამბობს, რომ ქვეყნის მასშტაბით ის მაფორმირებელი ბანკია და სურს, რომ მის განვითარებაში თავადაც შეიტანოს წვლილი.

„ვნახე სხვადასხვა ბაზრები, იქ ძალიან ბევრ კოლეგასთან მქონდა ურთიერთობა, ბიზნეს გამოწვევებთანაც მქონდა შეხება. მგონია, რომ საქართველოში კონკურენცია სიახლის შექმნის საშუალებას იძლევა, იმიტომ, რომ როცა ბაზარზე ბევრი წარმატებული მოთამაშეა, უფრო დიდ მასშტაბებზე ფიქრი გიწევს და მგონია, რომ ბოლო ვალში ძალიან დიდ ნაბიჯებს გადავდგამთ. სწორედ ესაა ჩემი პირადი გამოწვევა".

ნიკოლოზ ქურდიანს საბანკო სფეროში მუშაობის ასვე 11-წლიანი გამოცდილება აქვს. მისი საქმიანობის ძირითად სფეროებს ყიდვის შემდგომი ინტეგრაცია, რესტრუქტურიზაცია და საცალო საბანკო ბიზნესი წარმოადგენდა.

იგი 5 წლის განმავლობაში UniCrediT Groups-ში ავსტრიისა და ყაზახეთის რეგიონებში წამყვან პოზიციებზე იყო.

2008-2012 წლებში ნიკა ქურდიანს Bank Austria-ში (UniCrediT Group) მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. ის გაყიდვების უფროსი ექსპერტის პოზიციაზე მუშაობდა და პასუხისმგებელი იყო თურქეთის, ყაზახეთის, უკრაინისა და სერბეთის ბაზრებზე. 2010-2013 წლებში ის ამავე მიმართულებაზე ვიცეპრეზიდენტის თანამდებობბზე იმყოფებოდა. ამის პარალელურად კი ATF Bank-ის (UniCrediT Group) საცალო საბანკო ბიზნესს წარუძღვა ყაზახეთში.

მანამდე ნიკა ქურდიანი ყაზახეთის ერთ-ერთი ლიდერი ბანკის, Kaspi Bank-ის აღმასრულებელი დირექტორი იყო.

რაც შეეხება მის საქმიანობას საქართველოში, იგი 2007 წლამდე ბანკ რესპუბლიკაში (ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი) საცალო საბანკო სექტორის უფროსის პოსტზე მოღვაწეობდა. 2003-2006 წლებში კი საქართველოს ბანკში სხვადასხვა პოზიცია ეკავა.

ნიკა ქურდიანმა ბიზნესადმინისტრირების ბაკალავრიატი (BBA) Ruhr University Bochum-ში და კავკასიის ბიზნესსკოლაში დაასრულა. მას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო მაგისტრის ხარისხი მიენიჭა. იგი ფლობს ბიზნესადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (MBA) IE Business School-დან.

სამივე ვიცე-პრეზიდენტი ახალი გამოწვევების მისაღებად მუშაობას თიბისი ბანკის გუნდთან ერთად უკვე შეუდგა.

რეკლამა

# "ისლამური სახელმწიფო": მიზეზები, ჰიპოქრიზია, საფრთხეები

**აბრევიატურა ISIS-ი ინგლისურია და აღნიშნავს „ერაყისა და ალ-შამის ისლამურ სახელმწიფოს“ (Islamic State of Iraq and al-Sham): „შამ“-ი ისტორიულად აღნიშნავდა დღევანდელი ლიბანისა და დასავლეთ სირიის ტერიტორიას, რომელსაც ევროპაში „ლევანტის“ სახელით იცნობდნენ. ამიტომაც იმავე „სახელწიფოს“ ხანდახან ISIL-ს უწოდებენ.**

**რევაზ გაჩეჩილაძე**

ბოლო დროს თითქს მკვიდრდება „ისლამური სახელმწიფო“ (IS). ამ „სახელწიფოს“ ქვეშევრდომებს, უფრო ზუსტად – მებრძოლებს, რომლებიც აწარმოებენ „ჯიჰადს“, ანუ საღვთო ომს ურჯულოების წინააღმდეგ ჯიჰადისტებად მოიხსენიებენ (სწორი იქნებოდა „მუჯაჰიდი“, მაგრამ ეს ტერმინი დაუმკვიდრდათ აფღანეთში მებრძოლ ისლამისტებს).

ეს ტერმინოლოგიური წიაღსვლა საჭიროდ მიეიჩნიე, რადგან ინფორმაცია ისლამური სახელმწიფოს შესახებ იმდენად ქაოსური და ბუნდოვანია, რომ მკითხველი შეიძლება ვერც გაერკვეს რაზეა საუბარი.

შედარებით შორს მყოფი ტელემაყურებლისთვის „ისლამური სახელმწიფო“ თითქოს მართლაც მითიურ საბურველშია გახვეული. მაგრამ, ვისაც რეალური შეხვედრა უნევს ჯიჰადისტებთან, სავსებით რეალურ და სასტიკ გამოცდილებას იძენს. ასე მაგალითად, ნოემბრის დამდეგს გავრცელდა დასავლეთ ერაყის ერთი არაბული ტომის 150-ზე მეტი ნევრის დახვრეტის შემზარავი ფოტომასალა: როგორც ირკვევა, ტომის ბელადებმა უარი განაცხადეს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თანამშრომლობაზე. ევროპელი და ამერიკელი მძევლებისათვის საჯაროდ თავის მოკვეთა განსაკუთრებით მგრძნობიარე თემაა დასავლეთისათვის.

ხურათი სრული არ იქნება, თუ ისტორიულ განვითარებასა და ისლამის შიდა დაყოფაზე არ შეეჩერდებით. დასავლეთ არაბეთში, კერძოდ, ჰიჯაზში, მე-7 საუკუნეში ნარმოშობილი ახალი რელიგია, ისლამი, ძალიან მალე გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, პირენეის ნახევარკუნძულზე, ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში, ვოლგისპირეთსა და კავკასიაში. რელიგიის ფუძემდებლის, მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ ერთიან ისლამურ სახელმწიფოს საფთავეში ედგა „ხალიფა“, რაც ნიშნავს მოადგილეს ან მემკვიდრეს. ერთიანი ისლამური სახელმწიფო – სახალიფო – საკმაოდ მალე დაიშალა. ისლამის შიგნით მალევე გაჩნდა სხვადასხვა, მძაფრად დაპირისპირებული მიმართულებები, მათ შორის მთავარია სუნიტობა და შიიტობა. ისლამის პოლიტიკური ერთიანობის იდეა მხოლოდ თეორიაში დარჩა და ის პრაქტიკაში აღარ ხორციელდებოდა. უკანასკნელი, ოფიციალურად აღიარებული ხალიფა (ის ოსმალეთის მმართველ დინასტიას ეკუთვნოდა და მისი წინამორბედები ერთდროულად სულთნებიც იყვნენ) თურქეთიდან 90 წლის წინ გააძევეს.

სახალიფო წარსულს ჩაჰბარდა. ყოველ შემთხვევაში, ასე გვეგონა. ახლა კი ისევ გაჩნდა „ისლამური სახელმწიფო“, რომელსაც მსოფლიოს მუსლიმთა გაერთიანების პრეტენზია აქვს. 2014 წლის აგვისტოში ამ „სახელმწიფოს“ მეთაურმა (ვფიქრობ, არა ერთადერთმა: მასაც გამოუჩნდება მეტოქეები!) აბუ ბაქრ ალ-ბაღდადმ თავი ხალიფად გამოაცხადა და ყველა მუსლიმის მორჩილება მოითხოვა. მე-8 საუკუნის ბაღდადის სახალიფოს რემინისცენციაა ის შავი სამოსი, რომელსაც ჯიჰადისტები აბარებენ: იმდროინდელი სახალიფოს დროშა შავი ფერისა იყო.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ისლამურ ქვეყნებში პოპულარული გახდა სეკულარიზმი. მმართველ ელიტებს, უპირველესად თურქეთსა და ირანში, გაუჩნდათ სურვილი „დამსგავსებოდნენ ნარმატებულ დასავლეთს“. ვესტერნიზაცია და მოდერნიზაცია პოლიტიკური დისკურსის ნამყვანი თემები გახდა. სამნუხაროდ, მათ დემოკრატიზაცია არ მოჰყოლია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სეკულარიზმი არაბული ქვეყნების ფაქტობრივ იდეოლოგიად იქცა, განსაკუთრებით ეგვიპტეში, ერაყში, სირიაში, თუნისში.

მაგრამ ისლამი არსად წასულა! ის კვლავინდებურად დომინირებდა შედარებით დაბალი კლასების სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში.

ახლო აღმოსავლეთის პირველი

**■ იყო ცნობები, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა შორის აღმოჩნდნენ რუსეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნების, საქართველოს მოქალაქეები. სწორედ ისინი ქმნიან სხვა ქვეყნებში პოტენციური ტერორისტული აქტების საფრთხეს.**

ქვეყანა, სადაც მუსლიმმა კლერიკალებმა შეძლეს გამოეყენებინათ მძაფრი სოციალური უთანასწორობით, მმართველი ელიტის უსამართლობითა და ჩაგვრით გამოწვეული უკმაყოფილება, აღმოჩნდა ირანი. იქ ისლამურმა რევოლუციამ 1978 წელს გაიმარჯვა და მას შემდეგ ქვეყანა რელიგიური კანონებით იმართება.

მაგრამ სწორედ ზემოხსენებული შიდარელიგიური დაპირისპირების გამო შიიტური ირანი არ არის სუნიტური „ისლამური სახელმწიფოს" მოკავშირე. პირიქით, ირანი მას საფრთხედ აღიქვამს. თავის მხრივ, სუნიტური „ისლამური სახელმწიფო" უპირისპირდება ყველა არა-სუნიტსა და არა-მუსლიმს. ჩრდილოეთ ერაყში ათასწლეულების განმავლობაში შედარებით მშვიდობიანობაში მცხოვრები სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანების, იეზიდი ქურთების სასტიკი დევნა და განადგურება ერთხანს მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში იყო. „ისლამური სახელმწიფო" ებრძვის სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს, რომელიც თავის გარემოცვასთან ერთად ალავიტების რელიგიულ სექტას ეკუთვნის (ალავიტებს შიიტებად მიიჩნევენ, თუმცა ეს სადავო საკითხია). „ისლამური სახელმწიფო" თავის მტრად მიიჩნევს ლიბანის „ჰეზბოლას", რომელიც შიიტური პარტიაა. „ისლამური სახელმწიფო" უპირისპირდება იმ სუნიტებსაც, რომლებიც მას მხარს არ უჭერენ. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერაყის ქურთისტანის, პრაქტიკულად არაღიარებული სახელმწიფოს, მედგარი ბრძოლა ისლამისტებთან. თუმცა ქურთების უმრავლესობა სუნიტი მუსლიმია, მაგრამ მათი ისლამი არ გამოირჩევა ფანატიზმით, თანაც რელიგიურზე მაღლა მათთვის ეთნიკური (უფრო-ტომობრივი) იდენტობა დგას.

„ისლამური სახელმწიფო" საფრთხეს უქმნის აღიარებული სუნიტური სახელმწიფოების ელიტებსაც, რადგან ის მათ კეთილდღეობას და მათთვის სასარგებლო წესრიგს ემუქრება. ოფიციალურად არცერთი მუსლიმური ქვეყანა, ისეთიც კი, როგორიც საუდის არაბეთია, სადაც სახელმწიფო რელიგია ვაჰაბიტური მიმართულების ისლამია, არ ემხრობა „ისლამურ სახელმწიფოს".

აქ ჩნდება კითხვა, რა არის იმის მიზეზი, რომ „ისლამურ სახელმწიფოს" საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი აღმოაჩნდა?

რეაქცია „დასავლური იმპერიალიზმის მიერ მუსლიმების ჩაგვრაზე", „დასავლური კულტურის გამხრწნელ გავლენაზე", ისრაელ-პალესტინის გაუთავებელ კონფლიქტზე, რომელშიც არაბები ისრაელსა და აშშ-ს ადანაშაულებენ, აისახება პოლიტიკური ისლამის მზარდ როლზე. 2011 წელს დაწყებული „არაბული გაზაფხული" მალე დაჭკნა. თუკი არაბულ ქვეყნებში დაიწყებოდა დემოკრატიზაცია, რისი ფუჭი იმედიც გაუჩნდათ დასავლეთელ ექსპერტებს, ის რეალურად ისლამზე იქნებოდა დაფუძნებული. მართლაც, ეგვიპტეში ჩატარებულმა თავისუფალმა არჩევნებმა ხელისუფლებაში ისლამისტი პრეზიდენტი და „მუსლიმური საძმო" მოიყვანა. ეგვიპტის გენერალიტეტმა მალევე მოახდინა კონტრრევოლუცია და ქვეყანას კვლავ სამხედროები მართავენ, ისე, როგორც პრეზიდენტ მუბარაქის დროს. ასეთმა იმედგაცრუებამ ბევრ ისლამისტს „ისლამური სახელმწიფოსაკენ" წასვლისაკენ უბიძგა.

**„ისლამური სახელმწიფო", როგორც სახელმწიფო თანამედროვე გაგებით, ვერ შედგება: მას არ ექნება ადგილი გაეროში, საერთაშორისო სატელეფონო კოდი, საერთაშორისო საჰაერო სამსახური, არც საავადმყოფოები, უნივერსიტეტები და ბიბლიოთეკები. მისი ლიდერები, საბოლოოდ, გასამართლდებიან ტერორიზმისა და მასობრივი მკვლელობების ბრალდებით. მაგრამ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს იდეა კიდევ დიდხანს არ მოკვდება.**

2003 წელს ერაყში დასავლეთის კოალიციის შეჭრას და სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის დამხობას შედეგად მოჰყვა ქაოსი. მოხდა იქამდე მმართველი პარტიის „ბაას"-ის მრავალრიცხოვანი აქტივისტის მარგინალიზაცია. სუნიტური ელიტა შიიტურმა შეცვალა: ერაყის მოსახლეობის უმეტესობა შიიტია, რომელიც სადამის დროს იჩაგრებოდა. ახლა კი შიიტებმა დაიწყეს სუნიტების ჩაგვრა! ყოველ შემთხვევაში, სუნიტ ერაყელებს ასეთი აზრი გაუჩნდათ. სადამის დროინდელი ერაყის არმიის უმუშევრად დარჩენილი ოფიცრების ნაწილი „ისლამურ სახელმწიფოს" მიემხრო.

„ისლამურ სახელმწიფოს" მომხრეები აღმოაჩნდა დასავლეთშიც კი. ბრიტანული კომპანია „პოპულუს"-ის მიერ 2014 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ 18-24 წლის ასაკის 14 პროცენტი და 25-34 წლის ასაკის ბრიტანელების 12 პროცენტი ჯიჰადისტებს თანაუგრძნობს. თუმცა ასეთი აზრის მქონე პირების უმრავლესობა ბრიტანეთის მუსლიმია, რომელთა რაოდენობა გამუდმებით მატულობს, მაგრამ ასეთ თანამგრძნობთა შორის არიან არამუსლიმებიც, რომლებსაც ან არ ესმით რეალობა, ან არ მოსწონთ საკუთარი ქვეყნისა და ამერიკის მთავრობების საქმიანობა. ეს მაჩვენებლები არ ნიშნავს, რომ „ისლამურ სახელმწიფოს" ძალიან ბევრი მებრძოლი შეუერთდება ევროპიდან. თუმცა ასეთი ადამიანები, რასაკვირველია, არიან და არა მარტო ბრიტანეთში. იყო ცნობები, რომ „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლთა შორის აღმოჩნდნენ რუსეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნების, საქართველოს მოქალაქეები. სწორედ ისინი ქმნიან სხვა ქვეყნებში პოტენციური ტერორისტული აქტების საფრთხეს.

ძნელი სათქმელია, არის თუ არა ქმედითი ის ზომები, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ატარებენ.

გეოპოლიტიკური სიტუაცია ახლო

აღმოსავლეთში ძალიან ჩახლართულია. პარადოქსია, რომ მკაფიო მტრის გარდა, დასავლეთის წამყვან ქვეყნებსა და თურქეთს რეგიონში პოტენციური მოკავშირეები ჰყავთ, რომლებიც ერთდროულად მათი მტრებიც არიან. თუ ბაღდადის რეჟიმი ამერიკის მოკავშირედ მოიაზრება, დამასკოს რეჟიმი, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ ებრძვის, დასავლეთმა საკუთარ მტრად გამოაცხადა. თურქეთი არ ჩაერთვება სახმელეთო ოპერაციაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, სანამ ამას არ გააკეთებს დასავლეთი. ბაშარ ალ-ასადს თურქეთიც თავის მტრად მიიჩნევს. გაუგებარია, როგორი უნდა იყოს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში ირანის როლი, რომელსაც დასავლეთი, რბილად რომ ვთქვათ, მეგობრად არ მიიჩნევს (ისრაელი – საერთოდ, უპირველეს მტრად თვლის ირანს). ერაყის ქურთები, რომლებიც აქტიურად ებრძვიან „ისლამურ სახელმწიფოს“, თავიანთი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით თურქეთისათვის საფრთხეს წარმოადგენენ, რაც გადამდები შეიძლება აღმოჩნდეს თურქეთის ქურთებისათვის. ამერიკას არ უნდა ახლო აღმოსავლეთში ახალი სახმელეთო ოპერაციის დაწყება (და მის გარდა ვერც ვერავინ გააკეთებს ამას!). ამიტომაც ის, დიდ ბრიტანეთთან ერთად, მხოლოდ საჰაერო ოპერაციებს ახორციელებს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე დასავლეთს მეტის გაკეთება არც შეუძლია.

რაც შეეხება მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ საქმიანობის გაშუქებას, მათთვის, როგორც ყოველთვის, მთავარია სენსაციის ეფექტის მიღწევა. ჯიჰადისტების მიერ რამდენიმე ამერიკელისა და ბრიტანელის სიკვდილით დასჯა, რაც, რასაკვირველია, დიდი ბოროტებაა, უფრო მეტად გაშუქდა, ვიდრე რამდენიმე ათასი იეზიდის ჟლეტა და ასობით არაბის დახვრეტა. ზოგ შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება ან ძალიან ტენდენციურია, ან ძალიან ზედაპირული. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ წამყვანი მედიის ნაკლი არ არის...

აქვს თუ არა პერსპექტივა „ისლამურ სახელმწიფოს“?

ცოტა ხნის წინ ამ კითხვას ცალსახად უარყოფით პასუხს გავცემდი. მაგრამ ჯიჰადისტების სამხედრო წარმატებები, მათ შორის, ორმილიონიანი ქალაქ მოსულის აღება, ერაყისა და სირიის ნავთობსარეწებზე კონტროლის დამყარება, დიდი ეკონომიკური რესურსების მოპოვება მაფიქრებინებს, რომ ბრძოლა ამ ტერორისტულ წარმონაქმნთან დიდხანს გასტანს. საბოლოო ჯამში, „ისლამური სახელმწიფო“, როგორც სახელმწიფო თანამედროვე გაგებით, ვერ შედგება: მას არ ექნება ადგილი გაეროში, საერთაშორისო სატელეფონო კოდი, საერთაშორისო საჰაერო სამსახური, არც საავადმყოფოები, უნივერსიტეტები და ბიბლიოთეკები; მისი ლიდერები, საბოლოოდ, გასამართლდებიან ტერორიზმისა და მასობრივი მკვლელობების ბრალდებით. მაგრამ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს იდეა კიდევ დიდხანს არ მოკვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან ხარებელიანი

# ყველა პასუხისმგებელია

ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე დისკუსია შესამჩნევად გააქტიურდა. ამ დისკუსიის პლატფორმად არა მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ჟურნალები და ონლაინგვერდები, არამედ მეინსტრიმ მედია – ტელევიზიებიც იქცა. მიუხედავად ამისა, პრობლემის გადაწყვეტის, ძალადობის პრევენციის გზები არ ჩანს და პრაქტიკულად თვალს გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას ვადევნებთ. ვინ არის პასუხისმგებელი? ამ და სხვა საკითხებზე „ლიბერალი" სახალხო დამცველს, უჩა ნანუაშვილს ესაუბრა.

**ინტერვიუ სახალხო დამცველთან უჩა ნანუაშვილთან**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფემიციდი. ეს სიტყვა ბოლო ხანს უფრო და უფრო ხშირად გაისმის მედიის, უფლებადამცველების მხრიდან. ფაქტები ცალსახაა – ქალთა 20-ზე მეტი მკვლელობა ნახევარ წელიწადში. ცხადია, უკვე აღარ შეგვიძლია ამ მკვლელობების ინდივიდუალურ შემთხვევებად განხილვა. ეს ტენდეციაა. თქვენი აზრით, ვინ არის ამ ტენდენციაზე პასუხისმგებელი?**

როდესაც ესა თუ ის პრობლემა ტენდენციად ყალიბდება, უნდა დავიწყოთ მისი მიზეზების ძიება. მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს. სახელმწიფოს მყისიერი რეაქცია უნდა ჰქონდეს, კონკრეტული პროგრამების თუ სტრატეგიის მომზადების სახით. სამწუხაროდ, ვიდრე პრობლემა უკიდურეს ფორმას არ შეიძენს, კონკრეტული ნაბიჯები არ იდგმება.

ამ საკითხზე ომბუდსმენის ოფისს არაერთი რეკომენდაცია აქვს მომზადებული, კონკრეტულ პოლიციელებთან, კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით. მათზე რეაგირება დროულად რომ მომხდარიყო, შესაძლოა დღეს ასეთი საგანგაშო შედეგები არ დამდგარიყო.

რიგ შემთხვევაში პოლიცია რეაგირებას დაგვიანებით, ან საერთოდ არ ახდენდა. ჩვენ მთავრობას სპეციალური განცხადებით მივმართეთ. სამწუხაროდ, შესაბამისი სტრუქტურები არ დაინტერესებულან და პრობლემა, რომელზეც ვსაუბრობდით, მომავალი თვეების მანძილზე უმძიმესი ფორმით წარმოჩინდა.

აუცილებელია პრევენციული ღონისძიებები. იგივე, ვთქვათ, კანონმდებლობის გამკაცრება პანაცეა არ არის, მაგრამ არათუ ახალი რეგულაციების შემოტანა, რაც არსებობს, სრულად ის სანქციებიც არ ამოქმედებულა. როდესაც გროვდება ფაქტები, რომლებიც მიანიშნებს ფემიციდზე, კანონმდებლობის გამკაცრება, თუნდაც დროებით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნებოდა. თუმცა ამაზე საუბარი ახლა იწყება...

რა თქმა უნდა, ეს არ არის პრობლემა, რომელსაც ვინმე ერთ დღეში გადაწყვეტს. ეს საზოგადოებრივი, სოციალური პრობლემაცაა. მხოლოდ პოლიციას არ შეუძლია და ვერ შეცვლის ვითარებას. ყველა უნდა იყოს ჩართული, ყველა პასუხისმგებელია.

**რა როლი ეკისრება რელიგიურ ინსტიტუციებს? მათგან ერთ-ერთი, დომინანტი, მართლმადიდებელი ეკლესია საზოგადოებრივ აზრზე უზარმაზარი გავლენით სარგებლობს. რას აკეთებს არასწორად, ან რას არ აკეთებს (შესაძლებლობის ფარგლებში) რამაც შესაძლოა ძალადობის პრევენციას შეუწყოს ხელი?**

რელიგიურმა, მით უმეტეს, ასეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა, უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ, თუნდაც გარკვეული სოციალური კამპანიების სახით. სამწუხაროდ, ეს არ შეინიშნება.

ჩვენ ვერ მივცემთ რელიგიურ ორგანიზაციებს რაიმე რეკომენდაციას, მაგრამ სასურველი იქნება, რომ ისინი აქტიურად ჩერთონ ამ პრობლემების მოგვარებაში.

**როგორ შეაფასებთ მედიის მუშაობას ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქებისას?**

ამ კუთხით მედიის საქმიანობა არ შეგვისწავლია.

■ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ამერიკელ ექსპერტს ვესაუბრე, რომელიც მიყვებოდა თუ როგორი ეფექტი ჰქონდა ერთ-ერთ სკოლაში შეიარაღებული პირის შეჭრას, რომელმაც რამდენიმე მოსწავლე მოკლა. ეს რაღაცნაირად გადამდები აღმოჩნდა და რამდენიმე თვის განმავლობაში ამას ათობით ინციდენტი მოჰყვა, იმის გამო, რომ მედიამ კონკრეტულად ეს ფაქტი მაღალი სტანდარტებით ვერ გააშუქა. ამ საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაცია და ანალიზი არ მოგვიმზადებია. თუმცა ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ ასეთი თემების გაშუქებისას მინიმალური სტანდარტები მაინც უნდა იყოს დაცული.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ამერიკელ ექსპერტს ვესაუბრე, რომელიც მიყვებოდა, თუ როგორი ეფექტი ჰქონდა ერთ-ერთ სკოლაში შეიარაღებული პირის შეჭრას, რომელმაც რამდენიმე მოსწავლე მოკლა. ეს რაღაცნაირად გადამდები აღმოჩნდა და რამდენიმე თვის განმავლობაში ამას ათობით ინციდენტი მოჰყვა, იმის გამო, რომ მედიამ კონკრეტულად ეს ფაქტი მაღალი სტანდარტებით ვერ გააშუქა. ამ საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაცია და ანალიზი არ მოგვიმზადებია, თუმცა ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ ასეთი თემების გაშუქებისას მინიმალური სტანდარტები მაინც უნდა იყოს დაცული.

**გაცემულ და შეუსრულებელ რეკომენდაციებზე საუბრობდით... როგორ ფიქრობთ, დღეს ომბუდსმენის ინსტიტუტს აქვს თუ არა როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული ბერკეტები, რომ რეალური ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო ინსტიტუციებზე? ამ განცხადებებს თქვენთვის წერთ და კითხულობთ?**

გასულ წელს მთელი წლის შეჯამება მოვამზადეთ, თუ როგორ სრულდება ჩვენი რეკომენდაციები. ნახევარზე მეტი შესრულებული იყო. რამდენიმე თვის წინ ჩვენთან სპეციალური ანალიტიკური დეპარტამენტიც შეიქმნა, რომელიც ამ საკითხებსაც სწავლობს.

298/8

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სახალხო დამცველის ინსტიტუტის ძირითადი ფუნქცია სწორედ ხელისუფლებისთვის, სხვადასხვა უწყებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების მომზადებაა. ამ ნაწილში, რა თქმა უნდა, ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს საკმარისი არ არის. თუ გვინდა, რომ ინსტიტუტი უფრო ძლიერი იყოს, ამისთვის ის ცვლილებებია საჭირო, რასაც ვითხოვთ.**

**როგორი შედეგია ნახევარზე მეტი?**

თუ ჩვენ წინა წლებს შევადარებთ, რეკომენდაციების შესრულების საკითხი გაუმჯობესებულია. სხვა საკითხია რამდენად და როგორ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომელი რეკომენდაციები სრულდება. რა თქმა უნდა, ყველა რეკომენდაცია ყურადსაღებია, მაგრამ ხომ არსებობს რეკომენდაცია, რომელსაც გარკვეული პრეცედენტის მოხდენა შეუძლია და ძალიან ბევრ მსგავს საქმეზე ახდენს გავლენას...

**სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებით, ბოლო დროს რაც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, ეს გახლდათ, ე.წ. სპეცსაშუალებების საკითხი. სამინისტროს აქვს საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ქართულ ციხეებში შეიძლება დასაშვები გახდეს ხელკეტები, (არარეზინის), ელექტროშოკი...**

კანონპროექტის შესწავლა დავიწყეთ. უკვე არსებობს საკმაოდ ბევრი სპეცსაშუალება, რომლის გამოყენებაც ძალიან ეფექტურად შეიძლება. ჯერ კიდევ სოზარ სუბარის მინისტრობის დროს დაემატა რამდენიმე სპეცსაშუალება. ამიტომ, როცა საუბარია იმის შესახებ, რომ მოხდეს უფრო მეტი სპეცსაშუალების დამატება, განსაკუთრებით, ელექტროშოკის დამატება, ჩვენში კითხვის ნიშნებს აჩენს. მეტი არგუმენტი უნდა იყოს წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი არგუმენტები ვერ დავინახე. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ვიღაცას, უბრალოდ, საქმის გამარტივება სურს. ჩვენ ამაზე დეტალურ კომენტარებს ვამზადებთ. იმედია გაითვალისწინებენ.

**გაჩნდა შეგრძნება, რომ მარგინალიზებული ჯგუფების ხმა მინელდა, უფრო სწორად, გადაინაცვლა ინტელექტუალურ, უფრო ვიწრო წრეებში, სოციალურ ქსელებში. ხმა რომელიც გაისმოდა ქუჩებში, ეწყობოდა მსვლელობები... ეს აქტიურობა თითქოს გაქრა და ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ ჯგუფებმა, მაგალითად, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებმა ვერ იგრძნეს სახელმწიფოს მხარდაჭერა, და დაუცველები აღმოჩნდნენ ფუნდამენტალისტების პირისპირ. თქვენ თუ ფიქრობთ ასე?**

შეიძლება გარკვეულწილად დაგეთანხმოთ, თუმცა არის შედარებით უფრო აქტიური და ნაკლებად აქტიური პერიოდები. თუნდაც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას ამ ჯგუფების ხმა გამოკვეთილი იყო.

კანონის მიღებამ გარკვეულწილად მეორე მხარეც გააჩერა. იყო მოლოდინი, ამას მოჰყვებოდა სერიოზული ძალადობის ესკალაცია. არაფერი მსგავსი არ მოხდა. რეალურად, კანონი უკვე მიღებულია.

**თუმცა, პირველად ვარიანტთან შედარებით საკმაოდ შესუსტებული...**

რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ჩვენც გვქნოდა რამდენიმე სერიოზული შენიშვნა, რაც პარლამენტმა არ გაითვალისწინა, მაგრამ, არსებული კანონის სრულყოფა შემდგომ გაცილებთ უფრო მარტივია, თუნდაც იმიტომ, რომ აღსრულების მექანიზმი დაიხვეწოს.

**ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებაზე უფრო მეტი პრესინგია საჭირო?**

დამისახელეთ კონკრეტული შემთხვევა, კონკრეტული კანონდარღვევა, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირება არ მოახდინა. ზოგჯერ გარკვეული მასალის გაცნობას ბევრი დრო სჭირდება. სახალხო დამცველი თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან იმით განსხვავდება, რომ, როცა განცხადებას აკეთებს, პასუხისმგებლობა გაცილებით მეტი აქვს.

მუშაობის დაწყებიდან დღემდე ვერავინ იტყვის ისეთ თემას, რომელზეც ჩვენ გავჩუმებულვართ. საკმაოდ მყისიერად ვეხმაურებით ყველაფერს, და არა სამი თვის დაგვიანებით, როგორც ადრე ხდებოდა. ჩვენ არ ველოდებით წლიურ ანგარიშებს, რომ ფაქტები მხოლოდ მასში ავსახოთ.

**რამდენად ძლიერია ომბუდსმენის ოფისი, რამდენად შეუძლია რეალური ზეგავლენის მოხდენა პროცესებზე?**

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთგვარი მითი სახალხო დამცველის შესახებ, რომ თითქოს მას ბევრი რამ შეუძლია. ჩვენ ვამზადებთ სპეციალურ დასკვნას, სადაც აღნიშნული იქნება ყველა სუსტი წერტილი, რომელიც არ გვაძლევს შესაძლებლობას ბოლომდე რეალურად შევძლოთ პროცესებზე გავლენის მოხდენა. საუბარია პრევენციალურ მექანიზმზე. ჩვენი მუშაობა დამყარებულია სწორედ იმ ოქმებსა და იმ ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება მსჯავრდებულებისგან მივიღოთ.

ისინი აღწერენ კონკრეტულ ინციდენტებს, კონკრეტული დარღვევის ფაქტებს. რა თქმა უნდა, შემდეგ ამ ინფორმაციებს ვამოწმებთ. მაგრამ რეალურად ჩვენ მყარი მტკიცებულება, გარდა მსჯავრდებულის განცხადებისა, რიგ შემთხვევაში კი არა, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში არ გაგვაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ სახალხო დამცველს არ აქვს უფლება, რომ ფოტო და ვიდეო გადაიღოს. ეს იქნებოდა ერთ-ერთი სერიოზული მყარი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ ჩვენ მიერ დაფიქსირებული ფაქტები არა მხოლოდ ქაღალდზე არსებობდეს, არამედ რეალური მყარი არგუმენტების როლი ითამაშოს.

სახალხო დამცველის ინსტიტუტის ძირითადი ფუნქცია სწორედ ხელისუფლებისთვის, სხვადასხვა უწყებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების მომზადებაა. ამ ნაწილში, რა თქმა უნდა, ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს საკმარისი არ არის. თუ გვინდა, რომ ინსტიტუტი უფრო ძლიერი იყოს, ამისთვის ის ცვლილებებია საჭირო, რასაც ვითხოვთ.

**თქვენი ოპონენტები საუბრობენ, რომ თანამშრომლებს მიკერძოებულად არჩევთ...**

ვინ საუბრობს ამაზე? პირველად მესმის. კონკრეტული გვარები მითხარით. კომისია, რომლის წევრიც მე არ ვარ, არჩევს ყველა თანამშრომელს, დაწყებული სპეციალისტიდან, დამთავრებული წამყვანი საჯარო თანამდებობის პირებით, იგივე დეპარტამენტის უფროსებს. ვინც შეირჩა, ღია წესით შეირჩა, კონკურსით. შეგიძლიათ გამოითხოვოთ ეს ინფორმაცია, პრობლემა არ არის.

როცა ასეთ რამეს ამბობთ, კონკრეტული ფაქტები უნდა გქონდეთ. ჩემთვის ეს ყოვლად მიუღებელია...

**მაგალითად, შორენა ლათათია?**

შორენა რაღაც პერიოდი მუშაობდა იმ ორგანიზაციაში, სადაც მე ვმუშაობდი. მაგრამ მას შედეგ რამდენიმე წელი სხვაგანაც მუშაობდა. როდესაც საუბარია იმაზე, რომ გადმოვიყვანე, მე ეს სხვანაირად მესმის. კადრების შევსება ხდება იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც ადამიანის უფლებებზე მუშაობის გამოცდილება აქვთ და ეს ორგანიზაციები არ არის ძალიან ბევრი. ვიღაც შეიძლება იყოს ადამიანის უფლებათა ცენტრიდან, სადაც მე ვმუშაობდი, ზოგი შეიძლება იყოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან, 42-ე მუხლიდან და სხვა ენჯეოებიდან. ეს რეალობაა. მაშ, საიდან უნდა ამოვიდეს ახალი კადრი?

**რაც შეეხება დაფინანსებას, სახელმწიფოს მწირი დაფინანსების გამო, საერთაშორისო ფონდები რომ არა, მთელი რიგი პროექტები არ განხორციელდებოდა. ამ თვალსაზრისით როგორი სიტუაციაა ახლა?**

მიმდინარე წელს ოფისის ბიუჯეტი 13%-ით გაიზარდა, ორ მილიონს აღემატება. მას შემდეგ, რაც ახალი მანდატი დაგვემატა – დისკრიმინაციის საქმეების შესწავლა – დამატებითი ბიუჯეტი ამისთვის, ცალკე მოვითხოვეთ რისთვისაც დაახლოებით 400 000 გამოგვიყვეს. მომავალ წელს ბევრად მეტს ვითხოვთ, დაახლოებით ოთხმილიონ-ნახევარს. ეს იმისათვის, რომ აპარატის მუშაობა გამართული იყოს და ოპერატიული რეაგირება მოახდინოს იმ განცხადებებზე, რომელთა რაოდენობა მართლაც გაზრდილია. მაქსიმალური რაოდენობა თვეში100-150 განცხადება იყო. ახლა, როგორც მინიმუმ, 400-500 განცხადება მაინც შემოდის ყოველთვიურად. მომართვიანობა რამდენჯერმეა გაზრდილი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნდობა არსებობს. ეს რომ არა, არავინ მიმართავდა სახალხო დამცველის აპარატს. მეორე მხრივ, კი ომბუდსმენის მიმართ გადაჭარბებული მოლოდინებია – ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა რიგი ინსტიტუტებისა და მექანიზმებისა.

ბიუჯეტის გაზრდას იმიტომ ვითხოვთ, რომ აპარატმა სრულფასოვნად იმუშაოს, მათ შორის რეგიონალურმა ოფისებმა. ისინი არ უნდა იყოს მხოლოდ ერთგვარი განცხადების მიღების ადგილი.

რაც არ უნდა მეტი ანგარიში და რეკომენდაცია მომზადდეს, საჭიროა თუნდაც ის ფინანსური რესურსი, რასაც ჩვენ ვითხოვთ. მათ შორის, საუბარია ცხელი ხაზის შექმნაზე. ჩვენ დღეს 24-საათიანი ცხელი ხაზი არ გაგვაჩნია – შაბათ-კვირას და ღამის საათებში. რა თქმა უნდა, როცა რაღაც ხდება, მუდმივად თვალყურს ვადევნებთ, მაგრამ ეს უნდა იყოს მუდმივი და სტაბილური პროცესი.

**■ რაც არ უნდა მეტი ანგარიში და რეკომენდაცია მომზადდეს, საჭიროა თუნდაც ის ფინანსური რესურსი, რასაც ჩვენ ვითხოვთ. მათ შორის, საუბარია ცხელი ხაზის შექმნაზე. ჩვენ დღეს 24-საათიანი ცხელი ხაზი არ გაგვაჩნია - შაბათ-კვირას და ღამის საათებში. რა თქმა უნდა, როცა რაღაც ხდება, მუდმივად თვალყურს ვადევნებთ, მაგრამ ეს უნდა იყოს მუდმივი და სტაბილური პროცესი.**

*ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ოცნების" ზამთარი ახლოვდება

ამას „ქართული ოცნების“ შექმნის დღიდანვე წინასწარმეტყველებდნენ. დიდი ნათელმხილველობაც არ სჭირდებოდა იმის დანახვას, რომ, მაგალითად, სოსო ჯაჭვლიანისა და ირაკლი ალასანიასგან შემდგარი პოლიტიკური ერთობა დიდხანს ვერ გასტანდა. საერთო „ნაციონალური“ მტრის დასამარცხებლად 2011 წელს შეკრებილი ჭრელი პოლიტიკური გუნდი რაღაც დროს აუცილებლად უნდა დაშლილიყო. სხვანაირად ვერ დასრულდება „ჰაკიმ ფაშა vs 9 წელი“ რიტორიკა. არადა, ამ რიტორიკის დასრულების გარეშე, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესი არ ვითარდება და ამას პოლიტიკური ტოკშოუების ეთერებში პირდაპირ ვაკვირდებით. ალასანიას და მისი გუნდის „ოცნებიდან“ გაძევება მყიფე ქართული დემოკრატიისთვის შანსიცაა და განსაცდელიც.

**ირაკლი აბსანძე**

ამ ისტორიას ერთმნიშვნელოვანი გმირები და ანტიგმირები არ ჰყავს. ზოგს დამაჯერებლობა და პასუხისმგებლობა აკლია, ზოგს – პოლიტიკური სიმწიფე და ზომიერების გრძნობა. ალასანიას ვაბანკს, როცა მან თავდაცვის სამინისტროში პროკურატურის ქმედებები ქვეყნის ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე თავდასხმად გამოაცხადა, პრემიერმა ამ ვითარებისთვის თითქოსდა ერთადერთი ლოგიკური გადაწყვეტილება დაუპირისპირა. ცუგცვანგში აღმოჩენილმა ღარიბაშვილმა თავდაცვის აჯანყებული მინისტრი გადააყენა, მაგრამ შემდეგ განცხადებებში ზომიერების შეგრძნებამ უღალატა, როგორც ხშირად ემართება ხოლმე.

გუშინდელი თანამებრძოლის „ავანტიურისტად, უჭკუოდ და ამბიციურად“ მოხსენებამ ალასანიას სასარგებლოდ დაასრულა ამ დღეებში პრემიერსა და ექსმინისტრს შორის გამართული პიარ-ომი, რომელსაც ქარიზმატული ალასანია თავიდანვე იგებდა. ღარიბაშვილს გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ კონფლიქტის გაღვივების მერე გააქტიურებული ორი კრიმინალური საქმე უბრალოდ დამთხვევაა და არა კამპანიის ნაწილი. მის სასარგებლოდ ამ რაუნდში არც ბიძინა ივანიშვილს უთამაშია. „ქართული ოცნების“ ოფისში ზედიზედ ორ დღეში გამართულ ორ გადამწყვეტ შეკრებაზე ბიძინა ივანიშვილის დასწრება პრემიერ-მინისტრს პოლიტიკურ წონას არ მატებს. თუმცა, ამ გარემოებამ უფრო მნიშვნელოვანზეც მიგვანიშნა – უკვე ფორმალურადაც დადასტურდა, რომ ქვეყანას პოლიტიკიდან ოფიციალურად წასული ადამიანი მართავს. ყოველ შემთხვევაში – გადამწყვეტ ვითარებებში. როგორც ჩანს, დღეისათვის ქართული სახელმწიფოს მთავარი გამოწვევაც ესაა. კულუარებიდან და ფორმალური ანგარიშვალდებულების გარეშე მართვის გარდა, პრობლემა ისიცაა, რომ ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის. პოლიტიკური წესებით არც თავად და არც მისი გადაწყვეტილებების შემსრულებლები არ თამაშობენ. ამის გამო „ქართული ოცნება“ ხშირად აგებდა პიარ-შერკინებებს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და, ალბათ, ამიერიდანაც ხშირად წააგებს ხოლმე „თავისუფალ დემოკრატებთან“.

ირაკლი ალასანიას ქარიზმატულ ნაბიჯებს დამაჯერებლობა და პასუხისმგებლობა აკლია. გარდა იმისა, რომ საკუთარი თანამშრომლების დაკავება ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილებად სრულიად არაარგუმენტირებულად გამოაცხადა, გერმანიაში წარმატებული ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ მისი პირველი საჯარო გამოსვლები ცოტა ისტერიულობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი და თანაგუნდელების პოლიტიკური მომავალი დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ლოგიკურად დაასაბუთებს, როგორ უქმნის კრიმინალური საქმეები ევროატლანტიკურ კურსს საფრთხეს და ვინ დგას პროკურატურის უკან. დღეისათვის ივანიშვილის ახლადგამომცხვარი ოპოზიციონერის რიტორიკა სპეკულაციებისთვის დიდ სივრცეს ტოვებს. ღარიბაშვილის მიღმა ივანიშვილთან დაპირისპირების პირველივე ღია შემთხვევაში ალასანიამ საკუთარი კოზირი გამოიყენა – იმას, რომ ყოფილ დიპლომატს დასავლეთთან, განსაკუთრებით ამერიკულ ისტებლიშმენტთან, კარგი ურთიერთობა აქვს, მისი მომხრეებიც აღიარებენ და მოწინააღმდეგეებიც. მაგრამ, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საკმაოდ მკაცრი განცხადების

მიუხედავად, „თავისუფალი დემოკრატები“ მაინც უფრო აქტიურ დასავლურ მხარდაჭერას ელოდნენ, ალბათ. ცხადია, თუ პროკურატურამ წარდგენილი ბრალდებების დადასტურება შეძლო, ეს „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ ზამთრის კი არა, გამყინვარების მოახლოების ნიშანი იქნება.

კოალიციის კონსერვატიულ ძალებთან პირისპირ მარტო დარჩენილი „რესპუბლიკელები“ ორი ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ: ერთი მხრივ, დისკუსიებში მათ ახალი ოპოზიციის მოგერიება მოუხდებათ, რომელთანაც მთავარ კონტრარგუმენტად „9 წელი“ ვეღარ ივარგებს, მეორე მხრივ კი – კოალიციის შიგნით უკვე მარტო მოუწევთ რიცხობრივად და კონიუნქტურული გავლენით ძლიერ კონსერვატიულ ფრთასთან ბრძოლა. თუ მათ კოალიციური ინტერესების გამო ბევრ კომპრომისზე წასვლა მოუხდათ, დაკარგავენ მცირერიცხოვანი, მაგრამ ერთგული მხარდამჭერების ნაწილს, რომელთაც ოპოზიციაში გადასვლის მორალურ-„ნაციონალურ“ დილემას „თავისუფალი დემოკრატები“ გადაალახვინებენ. ეს არ აიოლებს დავით უსუფაშვილის ვითარებასაც. ყოფილი თანამებრძოლების გაოპოზიციონერება მისგან კიდევ უფრო დაბალანსებულ რიტორიკას ითხოვს მაშინ, როცა კოალიციის სიჭრელის გამო პარლამენტის თავმჯდომარეს ზომიერი რეალპოლიტიკოსის იმიჯის შესანარჩუნებლად ლამის აკრობატული ილეთების ჩატარება ისედაც უხდება. „რესპუბლიკელებს“ შერჩათ დასავლეთისათვის „ოცნების“ ხელისუფლების განუხრელად პროდასავლურობის მტკიცების ტვირთიც.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ასე არ ჩანს, ბოლო პოლიტიკური კრიზისი შორეულ პერსპექტივაში არც „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევს ხელს. ისინი ხელისუფლების საპარლამენტო კრიტიკაში მარტონი აღარ არიან, მაგრამ აღარც პროდასავლური ოპოზიციის ნიშაა სრულად მათი. ეს გარემოება ქვეყნის გარეთ უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ქვეყანაში. ყოფილი სახელისუფლებო პარტია ვეღარ იქნება დასავლური პოლიტიკური ისტებლიშმენტის უპირობო პარტნიორი ქართულ ოპოზიციურ სპექტრში. შესაბამისად, მათ მხარდაჭერის „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ გადანაწილება მოუწევთ. თანაც, თუ ალასანიას გუნდმა მათი კრიტიკა ოპოზიციაშიც გააგრძელა, ეს უფრო დამაჯერებლადაც იმოქმედებს. „ნაციონალები“ ვეღარ ამოეფარებიან ერთადერთი პროდასავლური ბასტიონის იმიჯს და საკუთარი პარტიის შეცდომებსა და დანაშაულებებზე საუბარიც მოუწევთ. აქამდე ამას აპოკალიფსური განწყობების შექმნით მოხერხებულად არიდებდნენ თავს. ახლა ისინი პოლიტიკური დებატების შეუცვლელი ოპოზიციური პერსონაჟები აღარ არიან. ალასანიას გუნდში ბევრი სპიკერია, რომელთაც, სავარაუდოდ, საჯარო სივრცეში ხშირად და დიდი დოზით ვიხილავთ.

ამ ვითარებიდან ერთმნიშვნელოვნად კვლავ გიორგი მარგველაშვილის იმიჯმა იხეირა. ხელისუფლების რეალურ ინსტრუმენტებს, შესაბამისად პასუხისმგებლობას მოკლებულ პრეზიდენტს ყველასთვის ჭკუის დარიგების ფუფუნება აქვს. მარგველაშვილი, რომლის ავტორიტეტიც ბიძინა ივანიშვილის განრისხების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა, კონფლიქტის მხარეებს თავს ამ შემთხვევაშიც ერთადერთ სწორ და ყოველთვის მომგებიან როლში – მედიატორობაში – სთავაზობს. თანაც ისე, რომ მისი პოლიტიკური რისკი, მთავრობისა და პარლამენტის მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ნულოვანია. პირიქით, ამით გაიმყარებს კიდეც უსამართლოდ დაჩაგრული სახელმწიფოებრივად მოაზროვნის რეპუტაციას.

ილუსტრაცია ეკატერინე ნაბლაოვა/ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, ცუდია, რომ ამ ფორმით, მაგრამ კარგია, რომ ქართულ პოლიტიკაში მეტი დამოუკიდებელი მოთამაშე ჩნდება. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი გამჭვირვალობაა. ალასანიამ უნდა დაამტკიცოს, ვინ დგას პროკურატურის უკან და რატომ ებრძვიან პროდასავლურ კურსს. პროკურატურამ, თავის მხრივ, მაქსიმალურად გამჭვირვალედ და დამაჯერებლად უნდა გამოიძიოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების საქმეები. ბიძინა ივანიშვილსაც მოუხდება ყოფილი თანაგუნდელებისგან დასმულ ბევრ უხერხულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, თუნდაც საკუთარ ტელეგადაცემაში. მოკლედ, საინტერესო ზამთარი გველის, რომელიც უკვე ძალიან მოახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემიერის პრეზუმფცია

ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის ჟურნალისტის ძმის საქმე, მირზა ბუჩუაძის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელის საქმე, მძევლად აყვანილი იოსებ გიორხელიძის საქმე – ეს არასრული ჩამონათვალია იმ შემთხვევებისა, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობის მეთაური, ის, ვინც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე წარადგენს, უდანაშაულობის პრეზუმფციას უხეშად არღვევს.

ქეთევან ღვედაშვილი

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე – შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა, შემდეგ კი პრემიერის თანამდებობაზე საკუთარ მემკვიდრედაც დაასახელა. მანამდეც და მერეც საკუთარი გუნდის ბევრი წევრით იმედგაცრუებული ივანიშვილისგან მუდმივად ღარიბაშვილის ქება გვესმის, ამ უკანასკნელისგან კი – მისი წინამორბედის სამადლობელი.

მას მერე, რაც ივანიშვილმა სამოქალაქო სექტორში გადასვლა გადაწყვიტა, საზოგადოებას საკუთარ შემცვლელად ირაკლი ღარიბაშვილი წარუდგინა. არჩევანი კი ღარიბაშვილის კარიერულ მიღწევებთან ერთად მისი ოჯახური მდგომარეობითაც დაასაბუთა – მას „ძალიან კარგი მეუღლე ჰყავს და სკოლის მერხიდან უყვარს ის“.

„თქვენ იცით, მე გართულება მაქვს ოჯახზე და მიხარია, რომ ირაკლი აქაც აჭარბებს და იმაზე კარგი აქვს“, – ამ სიტყვებით წარადგინა 2013 წლის 2 ნოემბერს ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის ახალი მეთაური.

თუმცა ივანიშვილს მხედველობიდან გამორჩა ის, რომ კარგი პოლიტიკოსობისა და მთავრობის მეთაურობისთვის მხოლოდ პარიზში მიღებული განათლება, სხვადასხვა სფეროში მუშაობის გამოცდილება და მისი ერთგულება არ კმარა. მით უფრო ქვეყნისთვის გარდამავალ მომენტში, როცა საქართველო დასავლურ სტანდარტებზე მორგებას ცდილობს. ასეთ დროს არასაკმარისი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანის მთავრობის მეთაურად დანიშვნა ქვეყნის განვითარებას გარკვეულწილად აფერხებს.

როგორც ღარიბაშვილმა პრემიერობის პირველ დღეს დააანონსა, მან ივანიშვილის პოლიტიკა „ღირსეულად“ გააგრძელა, თუმცა ახალი პრემიერი მხოლოდ „ჟურნალისტების მიჯირყვნით“ არ შემოიფარგლა და აქაც „გადააჭარბა“.

ღარიბაშვილმა ახალი ამპლუა მალე მოირგო და სხვადასხვა დროს სხვადასხვა საქმეზე მტკიცებითი ფორმით ნათქვამი არაერთი ბრალდება გააჟღერა. საწყის ეტაპზე პრემიერს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა საზოგადოების ნაწილმა სისხლის სამართლის კოდექსისა და საქართველოს კონსტიტუციის არცოდნად ჩაუთვალა. ზემოხსენებულ კანონთა გათვალისწინებით, ადამიანი დამნაშავედ მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ მიიჩნევა. ამ დრომდე მისი დამნაშავედ ცნობა კი ბრალდებულის უფლებების დარღვევაა.

ერთი მხრივ, პრემიერი ამბობდა, რომ დღეს ქვეყანაში კანონის უზენაესობაა, ხოლო მეორე მხრივ თვითონ არღვევდა მას და მირზა ბუჩუაძის მკვლელობაში ბრალდებულ პოლიციელს დასჯით ემუქრებოდა: "ეს პოლიციელი დაკავებულია და კანონის შესაბამისად აგებს პასუხს ჩადენილ დანაშაულზე", – პრემიერ-მინისტრმა ეს ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, როცა სასამართლოს ამ საქმეზე განაჩენი გამოტანილი არ ჰქონდა.

მას მერე, რაც პრემიერის მხრიდან მსგავსი ტიპის განცხადებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, ცხადი გახდა, რომ ეს მიზანმიმართულად ხდებოდა. რთულია, ზუსტად გაიგო, რას ემსახურება პოლიტიკოსთა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პრემიერის მსგავსი განცხადებები – სასამართლოზე ზეწოლას, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მცდელობას თუ რამე სხვას. თუმცა ცხადია, რომ ეს განცხადებები კანონის არცოდნით არ არის გამოწვეული და თავისი მიზანი აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრემიერი ირაკლი ალასანიასა და მისი თანამშრომლების კორუფციულ გარიგებაში შესაძლო მონაწილეობაზე საუბრობს, მაშინ, როცა მთავრობის პრესსამსახურის მტკიცებით, ღარიბაშვილი საქმის მასალებს არ იცნობს.

ის, რომ პრემიერი ავანტიურისტს, უჭკუოსა და ამბიციურს უწოდეს იმ მინისტრს, რომელთან ერთადაც მთავრობაში ორი წელი გაატარა და რომელსაც მან, როგორც პრემიერ-მინისტრმა ნდობა გამოუცხადა, კიდევ ერთხელ მეტყველებს მის პოლიტიკურად მოუმწიფებლობაზე.

მთავრობის მეთაურისთვის არც მეოთხე ხელისუფლება დარჩენილა ყურადღების მიღმა. როგორც აღმოჩნდა, მან მხოლოდ ჟურნალისტების მუშაობის კი არა, მათი ოჯახის წევრების შესახებაც ბევრი რამ იცის. ამის მაგალითი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის არასრულწლოვანი ძმის საქმეა. პრემიერმა იგი ტაქსის მძღოლის დაყაჩაღებაში ჯერ კიდევ წინასასამართლო სხდომამდე დაადანაშაულა. არასრულწლოვან ბრალდებულთა სასა-

მართლო სხდომები დახურულია, ამის მიუხედავად, საქმის შესახებ პრემიერი დეტალურ ინფორმაციას ფლობდა.

ექსპერტი ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ასეთი განცხადებები ქვეყნის იმიჯზე ცუდად აისახება და ამაზე ჩვენი ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები უკვე საუბრობენ.

თუმცა თავად პრემიერი ქვეყნის იმიჯის შელახვას არასამთავრობო სექტორსა და მედიას აბრალებს. ერთი მხრივ, ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს, ხოლო მეორე მხრივ კრიტიკისადმი, ამ პროცესების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტისადმი მიუღებლობას ამჟღავნებს და მედიას "სახელმწიფოს მხარდამჭერ, ობიექტური ინფორმაციის" არგაშუქების გამო საყვედურობს.

პრემიერიც, ისევე როგორც მისი გუნდის წევრები, ყველა უბედურების სათავედ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებენ, მაშინაც კი, როცა დანაშაულსა და მთავარ ოპოზიციურ ძალას შორის ლოგიკური კავშირი არ იკვეთება. აღუდგენელი სამართლიანობისა და სხვა შეუსრულებელი დაპირების ფონზე, საზოგადოების მხრიდან მთავრობის მისამართით გამოთქმულ ყველა შენიშვნაზე მისი პასუხი სწორედ ყოფილი ხელისუფლების დადანაშაულებაა. ჯერ იყო და კრიმინალის მომატებით აღშფოთებულ საზოგადოებას განუცხადეს, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურად ხდებოდა და სადარბაზოებში "შპრიცებს" „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ყრიდნენ. სულ ცოტა ხნის წინ კი პრემიერმა, საკუთარი „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, ყოფილ ხელისუფლებას იოსებ გიორხელიძის მძევლად აყვანა დასდო ბრალად. თუმცა პროკურორ თენგიზ ხარებავასთვის გაუგებარია, რა შუაშია „ნაციონალური მოძრაობის“ კავშირი მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან.

პრემიერის მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა მის დასავლურ ღირებულებებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

არც "შეთქმულების თეორიის" შესახებ არაარგუმენრიტებული განცხადებები შეეფერება იმ ადამიანს საქციელს, ვინც ქვეყნის სახელით ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ლევან ალაფიშვილი განმარტავს, რომ აქცენტის ოპონენტზე გადატანა და საზოგადოების ყურადღების სხვა ვინმეზე კონცენტრირება პოლიტტექნოლოგიურად შესაძლოა, სწორი სვლა იყოს, მაგრამ რამდენად სახელმწიფოებრივია, ეს სხვა საკითხია.

„ეს არის პოლიტიკური კულტურის, გამოცდილებისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულების საკითხი. ანუ რამდენად ღრმა არის ეს ყველაფერი პირველ რიგში პოლიტიკოსებში და შემდეგ საზოგადოებაში“, – ამბობს ექსპერტი.

შესაძლოა, საზოგადოების ნაწილს მართლაც მოსწონს ყველაფერში „ნაციონალური მოძრაობის“ დადანაშაულება, მაგრამ ასეთთა რიცხვი საკმაოდ მცირეა. თანაც წინა ხელისუფლების დადანაშაულება მხოლოდ ზეპირ განცხადებებად რჩება და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა მიმართ არანაირი სამართლებრივი პასუხისგების საკითხი არ დამდგარა.

საზოგადოების უმრავლესობას დაპირებული სამართლიანობა, აღდგენილი ღირსება და სხვადასხვა დაპირებაზე რეალური შედეგის ნახვა სურს. შესაბამისად, თუკი ხელისუფლება წარსულისკენ ხელის გაშვერის პოლიტიკას არ შეცვლის და წინა ხელისუფლების დადანაშაულების მაგიერ სიტყვას საქმედ არ აქცევს, მაშინ მისი რეიტინგი სულ უფრო და უფრო დაიწევს.



ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

# ფემისიდი, ანუ ხელტეხის მეტანოია

მალხაზ სონღულაშვილი

თბილისიდან არც ისე შორს ერთი სოფელი ძირითადად შრომისმოყვარე და მუყაითი ხალხი ცხოვრობს. ამ სოფლის არსებობის ამბავი ბევრ ჩვენგანს არც გაგვეგონა და ალბათ ვერც გავიგებდით, რომ არა ტრაგედია, რომელიც ამ სოფელში დატრიალდა.

სოფელს ლამბალო ჰქვია. აქ სოფლის მაცხოვრებლების თვალწინ ახალგაზრდა ქალს სცემეს. მერე ეს ნაცემი ქალი ადგა და თავი ჩამოიხრჩო. როგორც ამბობენ, არავის გასჩენია უმოწყალოდ ნაცემი ქალის დახმარების, სასწრაფოში ან პოლიციაში დარეკვის სურვილი, გამოსარჩლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ეტყობა თემი იზიარებდა მოძალადეთა მოსაზრებას, ეს იმიტომ, რომ ქალს ქმრის ღალატი ბრალდებოდა.

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ჩვენში ქალების ხოცვაზე ლაპარაკი უკვე დაწყებული იყო. ლამბალოელი ქალის ამბავიც სალაპარაკოდ იქცა. რაკი ეს ქალი მუსლიმი აზერბაიჯანელი იყო, გადავწყვიტე ამ ამბის თაობაზე ერთ აზერბაიჯანელ სასულიერო პირს დავლაპარაკებოდი. ამ კაცთან დიდი ხნის ძმობა და მეგობრობა მაკავშირებს. ამიტომ ვიცოდი, გულახდილად შემეძლო მასთან საუბარი. თბილად მიმიღო. სალამ-ქალამის გაცვლის შემდეგ დავსხედით და წელში გამოყვანილი ჭიქებით ჩაის დავეწაფეთ.

– რა კარგი ჩაია! სადაურია? – ვიკითხე და ჩაის ჭიქა მშრალი ხილით გაწყობილ პატარა ტაბლაზე დავდგი.

– ჩაი, აზერბაიჯანულია, მოგეწონა? – იკითხა მასპინძელმა.

– მომეწონა რომელია, ძალიან კარგია! თქვენისთანა ჩაის ვინ აკეთებს. – აქ მგონი ნამეტანი მომივიდა, რადგან, სინამდვილეში ვფიქრობ, რომ ჩაის დაყენებაში ინგლისელებს ბადალი არა ჰყავთ.

– თუ მოგეწონა, შინ გაგატან და იმასაც გასწავლი როგორ დააყენო...

მასპინძელმა ჩემი ვიზიტის მიზეზი რომ გაიგო, კოპები შეკრა. აშკარად არ ესიამოვნა.

– რას ფიქრობ, ამ შემთხვევაში მე რა უნდა ვქნა?! – ოდნავ გულმოსული კილოთი თქვა ჩემმა მასპინძელმა.

– რა უნდა ქნა, მე არ ვიცი ზუსტად, მაგრამ რამე უნდა ითქვას. გინდა ერთად დავწეროთ განცხადება. ვთქვათ რამე. ხომ იცი, ეს შეიძლება, ისევ რელიგიას დაბრალდეს...

– არა, ჩვენ ამ ამბავში არ უნდა გავერიოთ, – მტკიცედა თქვა ჩემმა მასპინძელმა და შეჭმუხნული სახით შემომხედა. – ის, რასაც წერენ ამ ამბავზე სწორი არ არის. სინამდვილეში იცი, რა მოხდა?!

– რა მოხდა? – ვიკითხე დაბნეულმა.

– იქაურმა ბიჭებმა ვიღაცას უთხრეს, წამო ქალებში გავიაროთო. იცოდნენ, რომ იმ სოფელში ვიღაცა ქალი იყო „ისეთი“, ხომ ხვდები. – თქვა მასპინძელმა და გაჩერდა, თითქოს ყოყმანობდა ეთქვა თუ არ ეთქვა ის, რისი თქმაც უნდოდა.

– მერე? – ვიკითხე.

– ჰოდა, ბიჭი, იმ ქალთან რომ მიიყვანეს, ქალი მისი ნათესავი აღმოჩნდა. ამიტომ მოხდა, რაც მოხდა. ამიტომ უთხრეს ქალს, ჩვენ არ მოგკლავთ, წადი და შენ თვითონ ჩამოიხრჩვეო თავი. აი, ამიტომ ჩვენ არ უნდა გავერიოთ ასეთ საქმეში, ჩემო ძმაო. – მითხრა მასპინძელმა და მრავლისმეტყველი სახით მომაჩერდა.

– კი მაგრამ, აქ ხომ... – უნდა მეთქვა აქ ხომ ადამიანის სიცოცხლეზეა-მეთქი ლაპარაკი, მაგრამ მასპინძელმა სიტყვა შემაწყვეტინა.

– ეს კავკასიაა, ჩემო ძმაო, ევროპა და ამერიკა არ გეგონოს!

შეხვედრიდან პირში ჩალაგამოვლებული წამოვედი. უმწეობის განცდა დამეუფლა. ეს „კავკასია“ რა ჭირი გაგვიხდა?! რატომ ვიდრეკთ მის წინაშე ქედს. იქნებ მუსლიმურსა და ქრისტიანულ მოძღვრებაში მართლაც არის ის, რაც „კავკასიურ“ ადათ-წესებსა და ჩვეულებებს ასაზრდოებს? იქნება, მართლა არის ის, რაც ახალისებს ჩვენში გახშირებულ ძალადობას ქალების წინააღმდეგ? ან იქნება, აქ მოძღვრება კი არ არის დამნაშავე, არამედ მისი ინტერპრეტაცია?

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ჩვენში ქალების ხოცვაზე ლაპარაკი უკვე დაწყებული იყო. ლამბალოელი ქალის ამბავიც სალაპარაკოდ იქცა. რაკი ეს ქალი მუსლიმი აზერბაიჯანელი იყო, გადავწყვიტე ამ ამბის თაობაზე ერთ აზერბაიჯანელ სასულიერო პირს დავლაპარაკებოდი. ამ კაცთან დიდი ხნის ძმობა და მეგობრობა მაკავშირებს. ამიტომ ვიცოდი, გულახდილად შემეძლო მასთან საუბარი. თბილად მიმიღო. სალამ-ქალამის გაცვლის შემდეგ დავსხედით და წელში გამოყვანილი ჭიქებით ჩაის დავეწაფეთ.

„სამარიელი ქალი იაკობის ჭასთან". დურა-ეურპუსის, უძველესი ქრისტიანული საშინაო ეკლესია, სავარაუდოდ, ერთ-ერთი უძველესი ფრესკა ქრისტიანულ ხელოვნებაში.

## რელიგია და ქალი

ამ საკითხის განხილვა მკვლევრისგან დიდ სიფრთხილეს და სიფხიზლეს მოითხოვს.

ისლამი და ქრისტიანობა გამოცხადებითი რელიგიებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიმდევრებს სწამთ, რომ ტრანსცენდენტულმა ღმერთმა ადამიანს თავისი ნება და განგებულება გამოუცხადა მის მიერ ნაბოძვარი სიტყვით. ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაწიერიდან ეს სიტყვა არის იესო ქრისტე, ანუ განკაცებული ლოგოსი, ხოლო ისლამის პერსპექტივიდან ეს სიტყვა არის ღვთაებრივი ყურანი. მაშასადამე, რწმენისა და ზნეობის საკითხებში წესით ერთ შემთხვევაში იესო ქრისტე უნდა იყოს ავტორიტეტი და მეორე შემთხვევაში – საღმრთო ყურანი.

იესო ქრისტეს დამოკიდებულება ქალების მიმართ რადიკალურად განსხვავდებოდა თავისი დროის რელიგიური კულტურისგან. 1930-იანი წლების დამდეგს ფრანგმა და ამერიკელმა არქეოლოგებმა სირიაში ქვიშით დაფარული ქალაქი დურა-ეურპუსი აღმოაჩინეს. ამ ქალაქში სხვა ღირსშესანიშნავ აღმოჩენებთან ერთად მიკვლეული იქნა, სავარაუდოდ, ყველაზე ძველი საშინაო ეკლესია, რომელმაც ყველაზე ადრინდელი ქრისტიანული ფრესკები შემოინახა. იესოს ცხოვრების ამსახველ ფრესკებში თვალშისაცემი ადგილი უკავია ორ ფრესკას. ესენია: „იესოს შეხვედრა სამარიელ ქალთან" და „მენელსაცხებლე ქალები იესოს საფლავთან". ორივე ნარატივი, ჩანს, მნიშვნელოვანი იყო ადრინდელი ქრისტიანული ეკლესიისთვის, რადგან ორივე ფრესკის ნარატივი ქრისტიანობაში გენდერული და ეთნიკური თანასწორობის სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს.

პირველი ფრესკა გადმოგვცემს ამბავს, რომელიც იოანეს სახარების მეოთხე თავშია აღწერილი. იესო, ამ ნარატივის თანახმად, იაკობის ჭასთან საჯაროდ ხვდება სამარიელ ქალს და მასთან თეოლოგიურ დისკუსიას მართავს. ეს მაშინ, როდესაც, ჯერ ერთი, ებრაელები და სამარიელები ერთმანეთს გადამტერებული ხალხი იყო და იესოს არ შეშვენოდა სამარიელთან საუბარი და, მეორეც, ეს ადამიანი ქალი იყო და იმ საზოგადოებაში ებრაელ მამაკაცს უფლება არ ქონდა ქალს საჯაროდ დალაპარაკებოდა, მისი ახლობელიც რომ ყოფილიყო. ამით იესო წარმოგვიდგება, როგორც გენდერული და ეთნიკური ბარიერების მლეწველი და ამდენად, გენდერული და ეთნიკური თანასწორობის მქადაგებელი.

თეოლოგიურად კიდევ უფრო მეტადაა დახუნძლული მეორე ფრესკის ნარატივი. ისიც იოანეს სახარებიდან მომდინარეობს და იმ ამბავს გადმოსცემს, თუ როგორ გახდნენ მენელსაცხებლე ქალები იესოს მკვდრეთით აღდგომის პირველი მოწმეები და ამის გამო „მოციქულთა მოციქულები".

ეს ფრესკები და მათი ნარატივები ქალთა ემანსიპაციის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ და, სავარაუდოდ, ის ასევე აღიქმებოდა ადრექრისტიანული ეკლესიის მიერ.

ის აზრი, რომ ქრისტეში არ არსებობს

და არც შეიძლება არსებობდეს გენდერული უთანასწორობა, ყველაზე კარგად ჩანს ქრისტიანული ეკლესიის ყველაზე ძველი დოკუმენტიდან, რომელიც ახალი აღთქმის კანონიკური ტექსტის ნაწილია. ვიდრე ჩვენთვის ცნობილი ოთხი სახარება დაიწერებოდა, მანამდე დაიწერა ახალი აღთქმის ყველაზე ძველი წერილი გალატელთა მიმართ. იგი დაწერილია ჩვენი წელთაღრიცხვის 48 ან 49 წელს. სახარებები რომ არ დაწერილიყო, ეს წერილი ის ტექსტი იქნებოდა, რომელიც გადმოსცემდა იესო ქრისტეს სულისკვეთებას გენდერული თანასწორობისა და ქალთა ემანსიპაციის საქმეში.

„თქვენ ყველანი (ანუ ქალები და კაცები – მ.ს.) ღვთის შვილები ხართ ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით. ვინაიდან, რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეთი შეიმოსენით. უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში“ (გალატელთა 3:26-28). ეს სიტყვები პავლე მოციქულს ეკუთვნის და უზუსტესად გადმოსცემს ქრისტეს დამოკიდებულებას ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე თეოლოგიური პერსპექტივიდან.

იესოს ამ სოფლად მოღვაწეობის განმავლობაში ქალები, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ლუკას სახარებამ შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ ქალები არა მარტო თან ახლდნენ იესოს სამისიონერო საქმიანობისას, როცა ის დადიოდა და სახარებას ქადაგებდა სოფელ-სოფელ, არამედ იესოს მთელ მისიას ისინი აფინანსებდნენ:

„იესო დადიოდა ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში, ქადაგებდა და ახარებდა ღვთის სასუფეველს. და თორმეტნიც მასთან იყვნენ, ასევე ქალებიც: მარიამი, მაგდალელად წოდებული...იოანა, ჰეროდეს მოურავი ქუზას ცოლი, სუსანა და ბევრი სხვა, რომლებიც ემსახურებოდნენ მას თავიანთი ქონებით“ (ლუკა 8:1-3).

მოკლედ რომ ვთქვათ, ქრისტიანული საღმრთო წერილი ქალთან მიმართებაში სრულებით ისეთ თეოლოგიას გვთავაზობს, რომელიც ფესვგადგმულია იესოს მოძღვრებაში და მოღვაწეობაში.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ამ მხრივ ისლამურ ტრადიციაში. ყურანის მიხედვით, ღვთის წინაშე ქალი და კაცი აბსოლუტურად თანასწორია. სურა ალ-ბაყარა ამაზე ბრძანებს:

„ქალებს აქვთ იგივე უფლებები, რაც მამაკაცებს აქვთ მათზე კანონის ფარგლებში“ (2:228).

იმისათვის, რომ ქალისა და კაცის ღვთის წინაშე თანასწორობას გაესვას ხაზი, ყურანი საამისოდ გენდერულად ინკლუზიურ ფორმულას მიმართავს: „კაცები და ქალები“. ეს კარგად ჩანს სურა აჰზაბში:

„მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისათვის, მართალი კაცებისა და ქალებისათვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისათვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისათვის, მომარხულე კაცებისა და ქალებისათვის, უმანკოების შემნახველი კაცებისა და ქალებისათვის, ღმერთის ხშირად მომხსენიებელი კაცებისა და ქალებისათვის, ღმერთმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!“ (33:35).

თუ ზემოთ მოტანილ ტექსტებს მათსავე კონტექსტში წავიკითხავთ, ჩვენ მაშინვე მივხვდებით, რომ ღვთაებრივი ყურანის მოძღვრება ქალებზე სრულებით რევოლუციური ხასიათისაა. ვიდრე არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამი გავრცელდებოდა, არაბები თავიანთ გოგოდ დაბადებულ ბავშვებს ხშირად ცოცხლად წვავდნენ. ქალი იყო სრულებით უფლებააყრილი. იგი მხოლოდ სექსუალური გრატიფიკაციისა და რეპროდუქციის საშუალებად მოიაზრებოდა. ყურანმა ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა. იუდეო-ქრისტიანული ტრადიციისგან განსხვავებით, სადაც არსებობს ალუზია, თითქოს სამოთხის ბაღის ამბის გამო ქალი უკეთურების მიზეზი იყოს, ყურანი მიიჩნევს, რომ ქალი და კაცი შექმნილია „ერთი სულისაგან“ და ქალი არანაირად არ არის ასოცირებული მემკვიდრეობით მიღებულ უკეთურებასთან (სურა ნისა 4:1).

ყურანი მარხვის დროს ცოლსა და ქმარს შორის სექსუალურ ურთიერთობაზე საუბრისას კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქორწინებაში ქალი და კაცი ერთმანეთს ეკუთვნის, რომ „ცოლი სამოსელია ქმრისათვის“ და „ქმარი სამოსელია ცოლისთვის“ (სურა ალ-ბაყარა 2: 187).

ყურანში ასევე საგანგებო ადგილი უკავია მარიამს, ისას, ანუ იესოს მშობელ დედას.

**ისლამი და ქრისტიანობა გამოცხადებითი რელიგიებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიმდევრებს სწამთ, რომ ტრანსცენდენტულმა ღმერთმა ადამიანს თავისი ნება და განგებულება გამოუცხადა მის მიერ ნაბოძვარი სიტყვით. ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაწიერიდან ეს სიტყვა არის იესო ქრისტე, ანუ განკაცებული ლოგოსი, ხოლო ისლამის პერსპექტივიდან ეს სიტყვა არის ღვთაებრივი ყურანი. მაშასადამე, რწმენისა და ზნეობის საკითხებში წესით ერთ შემთხვევაში იესო ქრისტე უნდა იყოს ავტორიტეტი და მეორე შემთხვევაში – საღმრთო ყურანი.**



ხაჯიდას მავზოლეუმი მექაში, ვიდრე მას პურიტანული ახირებების გამო დაანგრევდა საუდის არაბეთის ხელისუფლება 1925 წელს. მუჰამედის საფლავი, საბედნიეროდ, დაზოგეს, ხოლო ხაჯიდასი – დაანგრიეს.

მარიამი ერთადერთი ქალია, რომლის სახელიც ყურანშია მოხსენიებული. მის სახელს ატარებს მეცხრამეტე სურა. მისი სახელი ყურანში უფრო მეტჯერ არის ნახსენები, ვიდრე მთელ ახალ აღთქმაში. ყურანში არც ერთი ქალი არ იხსენიება ისეთი პატივით, როგორითაც მარიამი. სურა ალ-მრანში ანგელოზები ამ სიტყვებით მიმართავენ მას:

„მარიამ, ნამდვილად ღმერთმა ამოგირჩია შენ და გაგწმიდა შენ და ყველა ერის ქალებს შორის ყველაზე მაღლა შენ დაგაყენა“.

(სურა ალ-იმრანი 3:42)

მუჰამედ წინასწარმეტყველმა პირადადაც ბევრი გააკეთა, რათა ქალების მიმართ დამკვიდრებული მხეცური დამოკიდებულება აღმოეფხვრა არაბული საზოგადოებიდან. ის ასწავლიდა მუსლიმებს ქალის პატივისცემას ღმერთის სახელით. მას ეკუთვნის სიტყვები, რომლებიც ისლამურ გადმოცემებში, ანუ ჰადისებშია შემონახული:

„ქალების პატივისცემაში ღმერთის შიში იქონიეთ“: „თქვენ შორის საუკეთესო ადამიანები ისინი არიან, ვინც თავიანთ ცოლებს ყველაზე კარგად ექცევიან“; „მუსლიმ კაცს არ უნდა სძულდეს თავისი ცოლი, თუ ის თავისი ცოლის რომელიმე თვისებით კმაყოფილი არ იქნება, მაშინ იმ თვისებით იყოს კმაყოფილი, რაც იმ ქალს კარგი აქვს“; „რაც უფრო თავაზიანი და კეთილია მუსლიმი კაცი თავისი ცოლის მიმართ, მით უფრო სრულყოფილია მისი რწმენა“;

არის კიდევ ერთი ჰადისი – ერთ ახალგაზრდა კაცს, ჯაჰიმას, საღვთო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება სურდა და წინასწარმეტყველ მუჰამედს რჩევა სთხოვა, რაზედაც წინასწარმეტყველმა უპასუხა: „დარჩი დედაშენის სამსახურში, რადგან სამოთხე მის ფეხქვეშ მდებარეობს“. ეს ფრაზა, „სამოთხე დედის ფეხქვეშ მდებარეობს“ მუსლიმებს შორის ქალისადმი უსაზღვრო მოწიწების სიმბოლოდ არის ქცეული.

ქალებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს ისლამის გავრცელებასა და გამყარებაში. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქალი ისლამის ისტორიაში იყო ხადიჯა ბინთ-ხუვაილიდი, მუჰამედ წინასწარმეტყველის ცოლი, რომელსაც მუსლიმები მოიაზრებენ, როგორც „ისლამის დედას.“

მას შემდეგ, რაც მუჰამედ შუამავალმა გამოცხადება მიიღო ჯიბრილ (გაბრიელ) ანგელოზისაგან, ხადიჯამ პირველმა მიიღო ისლამი. მანვე დაარწმუნა წინასწარმეტყველი მუჰამედი მისი მისიის მნიშვნელობაში და ისლამის გავრცელების აუცილებლობაში. ხადიჯამ, რომელიც ძალიან შეძლებული ქალი იყო, მთელი თავისი ავლა-დიდება ამ მისიის წარმატებას მოახმარა.

## ბრძოლა ქალების წინააღმდეგ

თუკი ქრისტიანობისა და ისლამის ფუნდამენტალური მნიშვნელობის წყაროები გენდერული თანასწორობისა და ქალთა ემანსი-

პაციის რევოლუციურ ტექსტებს შეიცავენ, მაშინ რატომ არ ფასდება ქალი და მისი სიცოცხლე ქრისტიანულსა თუ მუსლიმურ კულტურებში ისე, როგორც უნდა ფასდებოდეს? რატომ მოეცარათ ხელი ქრისტიანობასა და ისლამს იმაში, რომ პირველმა 2000, ხოლო მეორემ 1400 წლის განმავლობაში ვერ დაამკვიდრეს ის, რასაც იესო და ყურანი ქადაგებენ?!

რატომ მოხდა, რომ ლამბალოში კაცმა ქალს თავის მოკვლა აიძულა ზუსტად იმავე ცოდვის გამო, რომლის ჩადენასაც თვითონ აპირებდა? ცოდვა ხომ ცოდვაა, კაცი ჩაიდენს მას თუ ქალი, არ აქვს მნიშვნელობა. რა არის ის ჯადოსნური ძალის მქონე „კავკასიელობა", რომელიც ქალთან მიმართებაში ქრისტიანს ქრისტიანულ პრინციპებზე აღებინებს ხელს და მუსლიმს – მუსლიმურზე?

ამ კითხვების დასმა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მათზე პასუხის გაცემა. მიზეზი იმისა, რაც ლამბალოში მოხდა და რაც საქართველოში ხდება ქალების მიმართ, მარტო ერთი არ არის. სოციალური სტრესის, პოლიტიკური ბუნდოვანებისა და შურისძიების სოციალური სენის გარდა, არსებობს ის, რაც ჩვენს კულტურაში ისტორიულსა და რელიგიურ სიმახინჯეს წარმოადგენს.

ის რასაც „კავკასიურს" ვეძახით სინამდვილეში არის პატრიარქალური კულტურა, მისთვის დამახასიათებელი მიზოგენური მიდრეკილებებით. პატრიარქალური კულტურა და მისი სხვადასხვაგვარი გამოვლინებები კი მარტო კავკასიელებისთვის როდია დამახასიათებელი.

ჩვენ საქმე გვაქვს ქალების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომელიც თავის გამოხატულებას ინსტიტუციურ, კულტურულ და პერსონალურ სივრცეში პოულობს. ფორმატის გამო მე აქ მხოლოდ რელიგიური ასპექტებით უნდა შემოვიფარგლო.

საინტერესო ის არის, რომ როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის საწყის ეტაპზე ამ რელიგიებში ქალს მეტი სივრცე ჰქონდა. მაგრამ თანდათანობით ეს სივრცე შეიზღუდა. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა როგორც ისლამში, ასე ქრისტიანობაში ძალაუფლებისა და გავლენისათვის ბრძოლას შეეწირა. ეს, რაღა თქმა უნდა, თანდათანობით მოხდა. ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ქალის ადგილი ქრისტიანული თემის ცხოვრებაში განუზომლად დიდი იყო. როგორც კი ქრისტიანობა სახელმწიფო იდეოლოგიად იქცა, ქალების უშუალო მონაწილეობა თემის სოციალურ, რელიგიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადიკალურად შემცირდა და საამისოდ სხვადასხვა სახის ფსევდო-თეოლოგიური მიზეზები გამოიძებნა.

ქალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ისეთი ცნობილი ეკლესიის მამები როგორებიც იყვნენ ათანასე დიდი, ბასილი კესარიელი, გრიგორი ნაზიანზნელი, იოანე დამასკელი, ამბროსი მილანელი, იერონიმე და სხვები.

„ისე არ არის, რომ ქალს ერთი სახის ადამიანური ბუნება ჰქონდეს და კაცს მეორე მეორე სახის. ორივეს ერთი ბუნება აქვს", – ღაღადებდა თავის დროზე კლიმენტი ალექსანდრიელი (150 – 215).

„...კაცმაც შესცოდა და ქალმაც", – მიმართავდა კაცებს იოანე ოქროპირი (349 – 407). – „გველმა ერთიც გააცურა და მეორეც, და ვერ ვიტყვით, რომ ერთი სუსტი აღმოჩნდა და მეორე - ძლიერი. თქვენ რა, თავი უკეთესი გგონიათ? თავისი ტანჯვით ქრისტემ ქალიც იხსნა და კაციც. ის რა, მარტო კაცისთვის განკაცდა?... ის რა, მარტო კაცისთვის მოკვდა? მისი სიკვდილით ქალიც ისეთივე დახსნილია, როგორც კაცი".

მიუხედავად ამ გამოსარჩლებისა, ეკლესიაში ძალაუფლება საბოლოოდ მამაკაცების ხელში გადავიდა და დღემდე ასე გრძელდება ქრისტიანული ეკლესიების უმეტესობაში....

ისლამშიც დაახლოებით ისეთივე სცენარი განმეორდა, რაც ქრისტიანობაში. წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდეგ, ქალის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე დაიწყო მამაკაცის პრივილეგიების ზრდა. სწავლულების აზრით, ბაღდადში აბასიდების მმართველობის დამყარებით ისლამში ანტიფემინისტური მიმართულება დაწინაურდა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ისლამმა შეინარჩუნა გენდერული თანასწორობის განცდა ჰაჯობის რიტუალის შესრულებისას. მექაში მომლოცველობისას ქალი და მამაკაცი ერთად ლოცულობს ქააბას სალოცავის ირგვლივ.

თავად ეს გამოცდილება უარღესად შთამბეჭდავია ვიზუალურად და უაღრესად მრავლისმეტყველია თეოლოგიურად. აქ ქააბას სალოცავის ირგვლივ მექაში თავს იყრის ყველა მუსლიმი: შია, სუნიტი, სუფია, ისმაი-

**„თქვენ ყველანი (ანუ ქალები და კაცები – მ.ს.) ღვთის შვილები ხართ ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით. ვინაიდან, რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეთი შეიმოსენით. უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში" (გალატელთა 3:26-28). ეს სიტყვები პავლე მოციქულს ეკუთვნის და უზუსტესად გადმოსცემს ქრისტეს დამოკიდებულებას ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე თეოლოგიური პერსპექტივიდან.**

**სურვილის შემთხვევაში, კულტურას შეუძლია რელიგიური რიტორიკის მოშველიებით გაამართლოს ძალადობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რელიგიას შეუძლია ძალადობის გამართლება. ის რელიგია, რომელიც თუნდაც ერთი ადამიანის დაჩაგვრისკენ ან დამცირებისკენ მოგიწოდებს, რელიგია არ არის. ის არის ადამიანის და რელიგიური იერარქების მიერ მანიპულირებული ძალადობა, რომელსაც ღვთის იდეასთან საერთო ვერ ექნება.**

ლიტი, ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი. აქ ღვთის წინაშე ყველა თანასწორია.

ქრისტიანობაში დაახლოებით ასეთივე გამაერთიანებელი ფუნქცია ჰქონდა ევქარისტიას, მაცხოვრის ტაბლას, რომლის ირგვლივაც ყველას უნდა მოეყარა თავი, ყველა თანასწორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სადღეისოდ ის, რაც ქრისტიანთა ერთობის სიმბოლო უნდა ყოფილიყო, ქრისტიანთა გათიშულობის სიმბოლოდაა ქცეული: მართლმადიდებელი კათოლიკეების ევქარისტიაში არ ღებულობს მონაწილეობას, კათოლიკე – ორმოცდაათიანელებისაში, ორმოცდაათიანელი – სხვებისაში და ასე შემდეგ. თითქოს ეს ევქარისტიული ტაბლა მაცხოვრისა კი არა, რომელიმე კონკრეტული მიმდინარეობისაა.

## ჩაგვრა და მეტანოია

ჩვენში ასე გახშირებულ ფემიციდსა და ქალებზე ძალადობის მასობრივ შემთხვევებს კვებავს, ერთი მხრივ, პატრიარქალური საზოგადოების მიზოგენური იმპულსები, მეორე მხრივ, რელიგიური მოძღვრების მიზოგენური ინტერპრეტაცია რელიგიური იერარქების მიერ, რომლებიც მამაკაცები არიან და, მესამე მხრივ, ასევე ჩვენში უკვე კარგად ფეხმოკიდებული სუსტის ჩაგვრის კულტურა.

საქართველოში ხან ოსები დავჩაგრეთ და მტრად მოვიკიდეთ, ხან აზერბაიჯანელებს დავერიეთ, ხან იეღოველები დავაწიოკეთ, ხან - სხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, ხან სომხებს „ავახიეთ“ მათი მამა-პაპის ნაშენი ტაძრები და ხან – კათოლიკეებს... სულ ახლახანს კი, სრულებით სუიციდური კამპანია წამოვიწყეთ ჩვენი მუსლიმი დებისა და ძმების წინააღმდეგ.

ბოლოს კი ქალებზე გავილაშქრეთ ისე, აქამდე რომ არ გაგვილაშქრია. ჩვენ გვგონია, რომ ქალი სუსტია და, ამდენად, იგი მამაკაცის ნებას უყოყმანოდ უნდა დაჰყვეს. არ დაჰყვება და, რაც მოუვა, თავის თავს უნდა დააბრალოს!

ჩვენ გვეშლება, ძალიან მწარედ გვეშლება: ქალი არ არის სუსტი არსება, არც ფიზიკურად, არც ინტელექტუალურად. ჩვენმა დროებამ აჩვენა, რომ მძიმე ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმების ეპოქაში ქალი ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მამაკაცი. ქალებთან მიმართებაში ჩვენ თავს დავმართეთ ის, რაც თეოლოგიური პერსპექტივიდან სრული შიზოფრენია, ანუ გახლეჩილობაა. ჩვენ ვთქვით, რომ მამაკაცს აქვს შეცდომისა და ცოდვის ჩადენის და ჩადენილზე შენდობის მიღების უფლება, ქალს კი – არა. ადამიანს, ქალსაც და კაცსაც, ღვთისაგან აქვს ნაბოძები თავისუფლება. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ადამიანს შეუძლია შეცდომა ჩაიდინოს, ზოგ შემთხვევაში ეს შეცდომა გამოუსწორებელიც კი შეიძლება იყოს, მაგრამ რაც არ უნდა დააშავოს ადამიანმა, იგი შენდობასა და პატიებას იმსახურებს. არავისა აქვს უფლება ის ამის გამო სიცოცხლეს გამოასალმოს. თუ თეოლოგია და ღმერთი გვინდა, ასეა, თუ ტომობრივი ადათ-წესები გვინდა – ასე არ არის.

ჩვენ, ადამიანები, შეცდომებს ვუშვებთ, ცოდვას ჩავდივართ, მაგრამ ღმერთი, რომლებიც მუსლიმებსა და ქრისტიანებს ერთი გვყავს – და ჩემი აზრით, ღმერთი ერთის მეტი არ შეიძლება იყოს – მოწყალე და მწყალობელია, მოსიყვარულე, შემნდობი და მპატიებელია, თავად „სიყვარულია“, როგორც ამას ქრისტიანობა გვასწავლის და „ლამაზია“, როგორც ამას ისლამი გვასწავლის.

მე იმას არ ვამბობ, რომ რომელიმე ცოდვის ჩადენა კარგია, მაგრამ ეს არის ადამიანის თავისუფლების საქმე, რომელიც ღვთისაგან არის ნაბოძები. ღმერთი თითოეულ ჩვენგანს გვპატიობს ცოდვებსა და დანაშაულს, ჩვენც, შესაბამისად, შეგვშვენის, რომ ერთმანეთს ვაპატიოთ.

გარდა ამისა, აუცილებელი სულაც არ არის, ადამიანი მუსლიმი, ქრისტიანი ან რომელიმე რელიგიის აღმსარებელი იყო, რათა მიხვდე, რომ პატიება და შენდობა ერთადერთი ჰუმანური გზაა ადამიანებს შორის ჰარმონიული თანაარსებობისთვის. თემმა შეიძლება ადამიანი ან სხვადასხვა სახის უმცირესობა გარიყოს, გაინაპიროს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თემი მართალია. „ხმა ერისა“ აუცილებელი არ არის, „ხმა ღვთისა“ იყოს.

კულტურა ხშირად თავის ჭახრაკებს უჭერს რელიგიას და ამახინჯებს მას.

სურვილის შემთხვევაში, კულტურას შეუძლია რელიგიური რიტორიკის მოშველიებით გაამართლოს ძალადობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რელიგიას შეუძლია ძალადობის გამართლება. ის რელიგია, რომელიც თუნდაც ერთი ადამიანის დაჩაგვრისკენ ან დამცირებისკენ მოგიწოდებს, რელიგია არ

არის. ის არის ადამიანის და რელიგიური იერარქების მიერ მანიპულირებული ძალადობა, რომელსაც ღვთის იდეასთან საერთო ვერ ექნება.

ერთი და იგივე რელიგია სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულად რეაგირებს გარემო მოვლენებზე. განსხვავებულ პასუხს იძლევა ერთსა და იმავე მოვლენაზე. მაგალითად, ეგვიპტე და ბალი ერთი რელიგიის მატარებელი ქვეყნებია – ორივე მუსლიმური და ორივე სუნიტური. ამ ქვეყნებში განსხვავებულად რეაგირებენ ბავშვის სიკვდილზე. ეგვიპტეში ბავშვს მოთქმით და წივილ-კივილით დასტირიან, მკერდში მჯიღს იცემენ და დიდხანს იხოკავენ სახეს. ბალიში ბავშვის სიკვდილს სიმშვიდით ხვდებიან. სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს ისინი სევდანარევი ღიმილით, ლაღობითა და ხუმრობით გამოხატავენ. ეგვიპტელები და ბალელები ისლამის წყაროებიდან იმ ასპექტებს ეწაფებიან, რომლებიც მათი კულტურის აფირმაციისთვის არის საჭირო. ეგვიპტელები ფიქრობენ, რომ ემოციის გამოხატვა არსებითი მნიშვნელობის მქონეა ჯანმრთელობისთვის, ხოლო ბალელები კი მიიჩნევენ, რომ ცუდი გრძნობები გავლენას ახდენენ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაზე და საზოგადოებისთვის რისკს შეიცავენ. იგივე ხდება ქრისტიანობაშიც. სწავლულების დაკვირვებით პოლონელი და ესპანელი ქრისტიანები უფრო ოპტიმისტები არიან კრიტიკულ ვითარებაში, ვიდრე ირლანდიელი, იტალიელი და გერმანელი ქრისტიანები.

ყველა კულტურას თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ნიშნები რომელთა გასამყარებლადაც რელიგიაა გამოყენებული. მაგრამ კულტურის სიკეთე კი ის არის, რომ კულტურა შეიძლება შეიცვალოს. კულტურის ცვლილება კი ცალკეული ინდივიდების გულში მომხდარი ცვლილებით იწყება.

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი საყვარელი გმირი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში – ჯათია, გუდამაყრელი ქვრივი დედაკაცი, რომელიც გადააწყდება ცოდვაში მხილებულ ახალგაზრდა ქალს, მაყვალას. თემს არა მარტო მაყვალა ჰყავს დაწყევლილი, არამედ ყველა, ვინც მას დახმარების ხელს გაუწოდებს, ჭიქა წყალს დაალევინებს და ლუკმა პურს მიაწოდებს. ჯათია თემის გადაწყვეტილებას პატივსა სცემს, მაგრამ არ შეუძლია უარი თქვას მაყვალას დახმარებაზე.

ჯათიას შინაგან ბრძოლას ოსტატურად გადმოგვცემს ავტორი: „დედაკაცს ეტყობოდა, რომ მის არსებაში ორს მოპირდაპირე გრძნობას ბრძოლა ჰქონდა და არ იცოდა, რომელს მიჰკედლებოდა. ერთის მხრით, რწმუნება, რომ თემის დებულება უნდა შეესრულებინა და მისი დარღვევისთვის პასუხისმგებელი უნდა შექმნილიყო კაცისა და ღმერთის წინაშე; მეორე მხარეს კი, უბედური, რომელსაც მშველელი ხელი ეჭირვებოდა, უამისოდ ადამიანი იღუპებოდა“.

ამ შინაგან ბრძოლაში ჯათია აკეთებს გენიალურ დასკვნას: „ხალხი ცოდვილია და მხოლოდ ღმერთი – შეუცდომელი.“ ხალხის გადაწყვეტილება შეიძლება მცდარი იყოს, ამიტომ, ჯათია თავისი სინდისის ხმას უგდებს ყურს. იგი თანდათანობით რწმუნდება, რომ ადამიანის ასეთ დღეში ჩაგდება, რა დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს მას ჩადენილი, ღმერთის მოსანონი ვერ იქნება. ჯათია არჩევანს აკეთებს თუმცა, როცა მაყვალას დასახმარებლად მიემგზავრება, პირჯვარს იწერს და წყნარად ამბობს: „უფალო, გული საშველად მერჩის და, თუ ცოდოს ჩავდივარ, შენ მაპატიე!“

ჯათია კლასიკური მაგალითია იმისა, რასაც რელიგიაში მონანიება, ბერძნულად მეტანოია, ანუ აზრის შეცვლა ჰქვია. ამ აზრის შეცვლით ჯათია იქცა პიროვნებად, რომელიც ბრმად არ ასრულებს თავისი კულტურის იმპერატივებს. იგი ყურს უგდებს თავისი სინდისის კარნახს და უანგარო და უპირობო სიკეთის მხარეზე დგება.

ანდალუზიელმა მუსლიმმა თეოლოგებმა შუა საუკუნეებში თემსა და ინდივიდს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების უმარტივეს ფორმულას მიაგნეს: „ის, რაც კარგია ადამიანისთვის, ის კარგია ისლამისთვის; ის, რაც ცუდია ადამიანისთვის, ის ცუდია ისლამისთვის“. მსგავსი სულისკვეთების მატარებელია იესოს სიტყვები: „ადამიანი კი არ შეიქმნა შაბათისათვის“, ანუ რელიგიისათვის, არამედ „შაბათი“, ანუ რელიგია, „შეიქმნა ადამიანისთვის“. შესაბამისად, შეუძლებელია, რომ რელიგიის, კულტურის, ადათ-წესების ანდა ტრადიციების მოშველიებით რაიმე გამართლება მოეძებნოს თუნდაც ერთი ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას. არა აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ქალი, ბავშვი, მოხუცი, რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი თუ სქესობრივი უმცირესობის წარმომადგენელი.

**ჩვენ, ადამიანები, შეცდომებს ვუშვებთ, ცოდვას ჩავდივართ, მაგრამ ღმერთი, რომლებიც მუსლიმებსა და ქრისტიანებს ერთი გვყავს – და ჩემი აზრით, ღმერთი ერთის მეტი არ შეიძლება იყოს – მოწყალე და მწყალობელია, მოსიყვარულე, შემნდობი და მპატიებელია, თავად „სიყვარულია“, როგორც ამას ქრისტიანობა გვასწავლის და „ლამაზია“, როგორც ამას ისლამი გვასწავლის.**

ფოტო: სოფო ასანიძისა

დიანა ნარეკიძეცილი, სოფელი გულგული

# ქალები სოფლად

დღე მამლის ყივილამდე იწყება, უვლიან საქონელს, მოჰყავთ ბოსტნეული, დადიან ვენახებში, ხეხილის ბაღებში, სახნავ-სათესებში, სახლებში შეღამებულზე შედიან, ვახშამს ამზადებენ, სახლს აწესრიგებენ, ტელევიზორის წინ ჩაძინებულ ოჯახის წევრებს საწოლ ოთახებში აცილებენ, მათი საქმე გვიან ღამით მთავრდება – ასეთია ქალების ცხოვრება სოფელში, დაკავშირებული მძიმე ფიზიკურ შრომასთან, დამოკიდებული ბუნების კეთილ ნებასა და ერთმანეთის იმედზე.

**თათია ხალიანი**

## კახეთი, გულგული

საწოლიდან ღამის სამ საათზე დგება. ნახევრად მძინარე სკამზე გადაკიდებულ ტანსაცმელს იცვამს და სახლთან ახლოს, თონეში მიდის. ორი ტომარა პურის ფქვილი უნდა მოზილოს. სანამ ცომი გაფუვდება და გამოსაცხობად მზად იქნება, ისევ სახლში ბრუნდება. ძროხებს წველის და ნახირში უშვებს. ეზოში ქათმებს სიმინდის მარცვლებს უყრის. პირველი საათისთვის პური უკვე გამომცხვარია. სახლში ეჩქარება, სადილს ამზადებს, სახლს სწრაფად ალაგებს და ბოსტანში გადადის.

ნორა კობრეშვილი პროფესიით ფარმაცევტია, რამდენიმე წელია აღარ მუშაობს, სოფლის მეურნეობას მისდევს. ამბობს, რომ შეუძლებელია სოფელში ცხოვრობდე და უქმად გაჩერდე. ნორას და მის მეუღლეს თხუთმეტი ძროხის, ქათმების, ღორების, ბოსტნის,

ვენახის და სამასი ძირი ატმის მოვლა უწევთ. მოსავლის აღების დროს, როცა საქმე ძალიან ბევრია, ყურძნის საკრეფად თუ სიმინდის სამტვრევად მეზობლები ეხმარებიან.

ნორას სამი შვილი ჰყავს. უფროსი ბიჭი სამხედრო სამსახურშია, მეორე სკოლას ამთავრებს, გოგო კი მეშვიდე კლასში სწავლობს.

ყვება, რომ ოჯახში საქმე განაწილებულია - ვენახის გაფურჩვნა, ბოსტნის მოვლა, ძროხების და ქათმების მიხედვა ქალის საქმეა, ვენახის გასხვლა და შეწამვლა – კაცის.

„გულგულაში თუ ბოსტანი არ გაქვს, ქალი არ ხარ. რობოტივით ვარ, ვიცი რის შემდეგ რა გავაკეთო. თუ ერთი ამერია, მერე უკვე ძალიან ძნელია“, – ეღიმება, შრომისგან გაუხეშებულ ხელებს მუხლებზე იწყობს.

წელს პომიდვრის თერთმეტი ასმეტრიანი რიგი ჰქონდა, მაგრამ სიცხის გამო სულ გადაიწვა. სოფელში წყალიც გრაფიკით მიეწოდებათ, სარწყავი სისტემა მოუწესრიგებელია, მოსავლის გადასარჩენად სარწყავ წყალს ცისტერნებით ეზიდებოდნენ, მაგრამ ამანაც არ უშველა.

გაზაფხულისთვის წვეთოვანი მორწყვის სისტემის გამოცდას აპირებს. სოფლის სათემო ცენტრის დახმარებით ამის შესახებ ბევრი რამ გაიგო. ჩავიდა სხვადასხვა სოფელში, სადაც ნახა, ამ სისტემით როგორ ირწყვებოდა ბაღ-ვენახები.

„ჩვენ ამინდზე დამოკიდებული ხალხი ვართ, სხვა არაფერი გვაქვს, ბევრი შრომის მიუხედავად, თუ ბუნებამ არ გაამართლა, ყველაფერი წყალში გვეყრება“, – გვეუბნება ნორა.

საღამოს ნახირიდან ძროხები ბრუნდებიან. ნორა ეზოდან ამოდის. პირუტყვს აბინავებს. შემდეგ რძით სავსე სათლებს ღუმელზე შემოდგამს და ყველის ამოყვანას იწყებს. ნანილით მაწონს აკეთებს. ჭურჭლის დარეცხვის შემდეგ ღამის თორმეტი საათი ხდება და დასაძინებლად მიდის. ხვალ ასეთივე დღე იწყება.

ამავე სოფელში ცხოვრობს დიანა ნარეკიშვილიც. მას ადრე სასათბურე მეურნეობა ჰქონდა, მაგრამ უწყლობის გამო, არ გაამართლა. პენსიონერ მეუღლესთან ერთად ვენახს უვლის, პატარა ბოსტანიც აქვს. მათი შემოსავლის ძირითადი წყარო შემოდგომაა.

საკუთარი მცირე მეურნეობის მოვლის გარდა, დიანა ბრიგადებში მუშაობს – ასე ეძახის ჯგუფს, რომელიც რამდენიმე მუშახელისგან შედგება. ბრიგადები ქალებმა შექმნეს, დიდი ვენახების და სახნავ-სათესების მეპატრონეებს მოსავლის აღებაში ეხმარებიან. ანაზღაურება დღეში 20-25 ლარია. ამბობს, რომ კაცების ბრიგადები არ არსებობს, მაგრამ ქალებს დასახმარებლად ხანდახან შვილები ან მეუღლეები მიჰყავთ.

„უჭირს ხალხს, ზამთრის დადგომამდე ორი კაპიკის შოვნას ვცდილობთ. ვისაც დიდი ვენახი აქვს ისინი გვქირაობენ, ყველაფერს ვაკეთებთ: ვენახის დაკავება, გაფურჩვნა, გადაჭრა, მერე უკვე ყურძნის კრეფა. სექტემბერში ვენახში თითქმის ყოველდღე დავდიოდი, 8 საათი სიცხეში ვმუშაობდი. ახლა აქა-იქ დარჩა სიმინდი ასაღები, მაგრამ სიმინდში დიდი ბრიგადა არ უნდათ. თუ მანქანა მიდის მტვრევის დროს, 14 -15 ადამიანზე მეტი არაა საჭირო“, – გვიყვება დიანა და თან ჩურჩხელისთვის ნიგოზს არჩევს. ზამთარში ჩურჩხელები თბილისში უნდა წაიღოს გასაყიდად.

## კახეთი, ნაფარეული

ხუთი თვის წინ მეზობელ სოფელ სანიორეში გათხოვდა. სოფოს მეუღლე ვენახს უვლის, თვითონ ნაფარეულში მინანქრის სახელოსნოში მუშაობს. ამ სოფელში დაიბადა და გაიზარდა. წუხს, რომ, რაც ყველაზე მეტად სურდა – სწავლის გაგრძელება - ვერ შეძლო. ამიტომ სოფლის ცხოვრებაში აქტიურად ჩაება. 2004 წლიდან კავშირ „ნაფარეულის“ წევრია, სოფლის ქალებთან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაუკეთებია. თუმცა ამბობს, რომ მინანქრის სახელოსნოში, სადაც 14 ქალია დასაქმებული, თავს ყველაზე უკეთ გრძნობს.

სახელოსნოში მინანქარზე და კერამიკაზე მუშაობს. ქალების ნანილი ტექსილსაც ამუშავებს. ხელფასი გაყიდული ნამუშევრების 50%-ია.

სოფო ფოთოლაშვილი გვიყვება, რომ ორი წლის წინ მეფუტკრეობით დაინტერესდა, მათი მოვლა ისწავლა და ახლა, ბებოს სახლში, სადაც გათხოვებამდე ცხოვრობდა, ხუთი ოჯახი ფუტკარი ჰყავს.

კარალიოკის ხეებიან ეზოში 86 წლის ნათელა ბებო კურდღლებს ბალახს აჭმევს. სოფო ფუტკრებისთვის საბოლველს ამზადებს. ფუტურო ხის ნაჭრებს ნაფოტებად აქცევს, მერე ცეცხლს უკიდებს და ჩაიდნის მსგავს სპეციალურ ჭურჭელში დებს. შემდეგ დიდ, თეთრ, ქუდიან ჩასაცმელს ირგებს და სკას თავს ხდის. საბოლველი იმისთვისაა საჭირო, რომ ფუტკრები შედარებით უვნებლები გახდნენ. ფიჭით ხელში, რომელსაც ათასობით ფუტკარი დახვევია, სოფო გვიღიმის და ახლოს მის-

„უჭირს ხალხს, ზამთრის დადგომამდე ორი კაპიკის შოვნას ვცდილობთ. ვისაც დიდი ვენახი აქვს ისინი გვქირაობენ, ყველაფერს ვაკეთებთ: ვენახის დაკავება, გაფურჩნა, გადაჭრა, მერე უკვე ყურძნის კრეფა. სექტემბერში ვენახში თითქმის ყოველდღე დავდიოდი, 8 საათი სიცხეში ფიზიკურად ვშრომობდი. ახლა აქა-იქ დარჩა სიმინდი ასაღები, მაგრამ სიმინდში დიდი ბრიგადა არ უნდათ. თუ მანქანა მიდის მტვრევის დროს, 14 -15 ადამიანზე მეტი არაა საჭირო“, - გვიყვება დიანა და თან ჩურჩხელისთვის ნიგოზს არჩევს. ზამთარში ჩურჩხელები თბილისში უნდა წაიღოს გასაყიდად.

„სკა არასდროს მენახა. როცა სახლში მოვიტანე, თავი ავხადე და ფუტკრები დავინახე, შეშინებულმა სწრაფადვე დავაფარე. ძალიან ცუდი შეგრძნება იყო, მეგონა ვერასდროს მოვუვლიდი, მაგრამ მოვინდომე, მერე გავამრავლეთ და ახლა იქით ვეხმარები სხვებს. 18 ფუტკარსაც კი უკბენია ჩემთვის. სამი დღე ვერ ვდგებოდი, ჩემი ბრალია, საბოლველის გარეშე მივედი“, – გვიყვება სოფო.

ვლას გვთხოვს. გვირჩევნია შორიდან ვუყურით.

„სკა არასდროს მენახა. როცა სახლში მოვიტანე, თავი ავხადე და ფუტკრები დავინახე, შეშინებულმა სწრაფადვე დავაფარე. ძალიან ცუდი შეგრძნება იყო, მეგონა ვერასდროს მოვუვლიდი, მაგრამ მოვინდომე, მერე გავამრავლეთ და ახლა იქით ვეხმარები სხვებს. 18 ფუტკარსაც კი უკბენია ჩემთვის. სამი დღე ვერ ვდგებოდი, ჩემი ბრალია, საბოლველის გარეშე მივედი“, – გვიყვება სოფო.

ნაფარეულში მზიანი დღეა, სოფოს სახლიდან გზას ფეხით მივუყვებით. მარი ბერიაშვილთან მივდივართ. შესასვლელში კაცები სხედან, როგორც კი მარის ვკითხულობთ, ისინი მაშინვე იშლებიან და სახლს უკან უჩინარდებიან.

მარი დიასახლისია. მეუღლესთან, ექვსი წლის შვილთან და დედამთილ-მამამთილთან ერთად ცხოვრობს. წარმოშობით ბათუმიდანაა. დედამთილი ამბობს, რომ მართალია „ქალაქში გაზრდილი გოგოა“, მაგრამ სოფელსაც ადვილად შეეგუა.

მარი მხრებს უხერხულად ინურავს. სიტყვაძუნწია, ძირითადად დედამთილი ლაპარაკობს.

რამდენიმე წლის წინ სათბური გააკეთეს. ბოსტნეულის მოვლაში მთელი ოჯახი იყო ჩართული. გათბობა რომ არ შეწყვეტილიყო – ზამთარში ღამეებს ათენებდნენ. მარის ახლა მწვანილი მოჰყავს და იქვე, სოფელში ყიდის. წელს თხილის მოსავალიც კარგი ჰქონდათ.

მარის დილა 6 საათზე იწყება, სოფელში ათასი საქმეა. შვილი სკოლისთვის უნდა მოამზადოს. ნუცა პირველკლასელია. კითხვაზე - უნდა თუ არა მისმა შვილმა სოფელში იცხოვროს, თვალებს ხრის, ხელებს მაგიდის ქვეშ მალავს და ამბობს, რომ ამაზე არ უფიქრია. საუბარში ისევ დედამთილი ერთვება.

„სხვა სოფლებთან შედარებით ნაფარეული ყველაზე კარგი ადგილია. სადაც მიგდებული სოფლებია, კომუნიკაცია არ არის და არაფერი არსებობს, ალბათ ძალიან რთულია იქ ცხოვრება“.

მარი გვიყვება, რომ ნაფარეული ადრე ვარდის მდელოებით იყო ცნობილი. ამბობს, რომ თუკი შესაძლებლობა ექნება, სხვადასხვა სახეობის ვარდის ბაღებს სიამოვნებით გააშენებს.

## თეთრიწყარო, ნამტვრიანის დასახლება

ცივი და ნესტიანი საღამოა. გზაზე ცხვრები ჩანან. უკან ციმარი მოჰყვებათ, დიდი ბოტებით, მხიარული შეძახილებითა და ჯოხით ხელში. ცხვრებს ეზოში ერეკება. სანამ ჭიშკარს ძროხები და ღორები მოადგებიან, სახლში გვეპატიჟება. შეშის ღუმელის ქვეშ გასაშრობად სიმინდი ყრია. იატაკზე კარტოფილია მიმობნეული. ფეხით ერთ ადგილას აქუჩებს და დასაჯდომ ადგილს გვითავისუფლებს. წელს ოცი ტომარა კარტოფილი აიღო.

ციმარ თვაური 48 წლისაა. ოჯახის მეურნეობას თვითონ უძღვება. მეუღლე მთელი შე-

ფოტო: სოფო ავსიტაშვილი

სოფო ფოთოლაშვილი, სოფელი ნაფარეული

ხელნაკეთი ნივთების სახელოსნო, სოფელი ნაფარეული

ფოტო: ლონდონ აბაშიძისა

მოდგომა მიწებს ყარაულობს, რომ ცხვრებმა არ გააფუჭონ, სახლში ღამე ბრუნდება, მაშინ როდესაც ციმარის ყველა საქმე დასრულებული აქვს.

„ასეთია სოფლის ცხოვრება. მთელი დღე შეუსვენებლად მუშაობ და საქმე არ ილევა. დილა-საღამოს ერთი და იგივე: ქათმებს ვაჭამო, ცხვრები მოვიყვანო, ძროხები და ღორები დავაბინაო. ახლა სამი თვე, იანვრამდე, ძროხები უნდა „გავაშრო“. ასეთი წესია. აი, ეს სამი თვეა ჩემი არდადეგები“, - ციმარი მხიარულია და ენერგიული.

სამი შვილი ჰყავს, ორი ბიჭი და ერთი გოგო. შვილები თბილისში ცხოვრობენ, ორი დაოჯახებულია. შვილიშვილების ნახვას კვირაში ერთხელ, შაბათ დღეს ახერხებს. პროდუქტებით და ხილით დატვირთული „მარშუტკას“ თბილისში მიჰყვება და უკან იმავე დღეს ბრუნდება. შვილებთან დარჩენას ვერ ახერხებს, რადგან სახლში მის საქმეს ვერავინ გააკეთებს და ყველაფერი გაუფუჭდება. სოფლის მოსავალს ოთხ ოჯახზე ანაწილებს.

იხსენებს, რომ ადრე მეზობლები, კაცები თუ ქალები, როდესაც მინდორში გველს გადააწყდებოდნენ მასთან გამორბოდნენ. არასოდეს ეშინოდა. გველს ადვილად იჭერდა. როცა ვინმეს რამე უჭირს, ყოველთვის ციმარის ეძახიან. ასეთია.

26 წელია დაოჯახებულია. მთელი ცხოვრება ფიზიკურად შრომობს. მიუხედავად ამისა, კარგად გამოიყურება, სიცოცხლით სავსეა, მუდმივად იღიმის.

## სოფელად მცხოვრები ქალების გამოწვევები

საქართველოს სოფლებში მცხოვრები ქალები საოჯახო მეურნეობებში წამყვან როლს ასრულებენ. თუმცა ხშირად მათი შრომა შეუმჩნეველია. მძიმე პირობები და მოვალეობების არათანაბარი განაწილება ქალს თვითგანვითარებისა და დასვენებისთვის დროს არ უტოვებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობა არასაკმარისია და მამაკაცებთან შედარებით თვითრეალიზების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.

„როდესაც საზოგადოებაში მხოლოდ მამაკაცია აქტიური, ქალი კი იზოლირებულია, ვერასოდეს მივიღებთ კარგ შედეგს. ნებისმიერი საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია სხვადასხვა მოსაზრების გათვალისწინება.

„ასეთია სოფლის ცხოვრება. მთელი დღე შეუსვენებლად მუშაობ და საქმე არ ილევა. დილა-საღამოს ერთი და იგივე: ქათმებს ვაჭამო, ცხვრები მოვიყვანო, ძროხები და ღორები დავაბინაო. ახლა სამი თვე, იანვრამდე, ძროხები უნდა „გავაშრო“. ასეთი წესია. აი, ეს სამი თვეა ჩემი არდადეგები,“ – ციმარი მხიარულია და ენერგიული.

ციმარი თვალური, ოფერიწყაროს დასახლება – ნამტვრანი

ПРОЕКТ «ПРОТИВ ОБЕЗЛИЧКИ»

პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა შესაძლებლობის დანახვა. ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებისთვის ყოველთვის სასარგებლოა", – ამბობს, გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომელი, გენდერული თანასწორობის პროგრამის მენეჯერი ქეთი მახარაშვილი.

გაეროს განვითარების პროგრამა ხელს უწყობს სოფელში მცხოვრები ქალების პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას - ეხმარება ქალებს სრულფასოვნად გამოიყენონ საკუთარი უფლებები და უფრო აქტიურად ჩაერთონ მათი სოფლებისა და რეგიონების პრობლემების მოგვარებაში.

ქეთი მახარაშვილის აზრით, სოფლად და ქალაქად მცხოვრები ქალები ხშირად ერთსა და იმავე პრობლემებს ანყდებიან, ერთნაირი სტრესი აქვთ და ერთნაირი სიხარული. სოფელში მცხოვრები ქალებისთვის ყოველდღიურობა გაცილებით უფრო მძიმე და შრომატევადია. ჩვეული რუტინიდან თავის დაღნევა მათთვის ძალიან რთულია.

„ეს არა იმდენად შემოსავლის პრობლემაა, რამდენადაც საკუთარი თავის რეალიზების. სოფლად ქალებს ცხოვრებისთვის დრო აღარ







ეროვნული ბიბლიოთეკა

**„ეს არა იმდენად შემოსავლის პრობლემაა, რამდენადაც საკუთარი თავის რეალიზების. სოფლად ქალებს ცხოვრებისთვის დრო აღარ რჩებათ, ამიტომაც თავს ვერ აღწევენ რუტინას. მაგრამ ის, ვინც ახერხებს ამ დახშული წრიდან გამოსვლას, შემდეგ კრიტიკულად იაზრებს თავის სოციალურ როლს როგორც საზოგადოებაში, ასევე ოჯახში, ცდილობს დასძლიოს სტერეოტიპები და გახდეს უფრო რეალიზებული და აქტიური", – ამბობს ქეთი მახარაშვილი.**

*Empowered lives.*
*Resilient nations.*

სტატია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

რჩებათ, ამიტომაც თავს ვერ აღწევენ რუტინას. მაგრამ ის, ვინც ახერხებს ამ დახშული წრიდან გამოსვლას, შემდეგ კრიტიკულად იაზრებს თავის სოციალურ როლს როგორც საზოგადოებაში, ასევე ოჯახში, ცდილობს დასძლიოს სტერეოტიპები და გახდეს უფრო რეალიზებული და აქტიური", – ამბობს ქეთი მახარაშვილი.

ამის მაგალითად ის წარმატებული პროექტები მოჰყავს, რომლებმაც შესაძლებლობა მისცეს სოფელში მცხოვრებ ქალებს, მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი სოფლის პრობლემების მოგვარებაში: საბავშვო ბაღის სანიტარული მდგომარეობის მონესრიგება სოფელ კარიუბანში, ქალთა ცენტრის მონყობა სოფელ ენისელში, საბავშვო ბაღების, ბიბლიოთეკებისა და სკვერების მონყობა კახეთისა და სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში.

გენდერის მკვლევარი და ფონდი „ტასოს" წარმომადგენელი თამთა თათარაშვილი ამბობს, რომ ქალაქში მცხოვრები ქალებისგან განსხვავებით, სოფელში მცხოვრები ქალებისთვის არჩევანი მნირია. სკოლის დამთავრების შემდეგ თუ ქალი არ წავიდა სნავლის გასაგრძელებლად, სხვა გზა არ აქვს, ან უნდა გათხოვდეს და შვილები გაზარდოს, ან სახლში დარჩეს და სახლის საქმეები აკეთოს.

„სოფლად ქალი ფიზიკურად მეტს შრომობს. სოფელი უფრო ჩაკეტილია, თავისუფლება ნაკლებია. მაგალითად, ქალს არ აქვს მინა. ტრადიციული სამართლის მიხედვით ნყდება ვის დარჩება ქონება, ამიტომ მან შეიძლება მთელი ცხოვრება მინაზე იმუშაოს, მაგრამ თუ ერთ დღეს მეუღლესთან გაშორებას გადაწყვეტს, მას არაფერი რჩება", – ამბობს თათარაშვილი.

სოფელში მცხოვრები ქალების მდგომარეობის შემსუბუქების გზად თავად ამ ქალების გააქტიურება და სახელმნიფოს ჩართულობის გზრდა მიაჩნია: „არასამთავრობო ორგანიზაციებს ხელი ყველგან არ მიუნვდებათ, მაგრამ სახელმნიფოს შეუძლია უფრო მეტად იმუშაოს ადგილობრივ დონეზე, ნარმომადგენლები გააქტიუროს, თანხები გამოყოს".

ყოველწლიურად საქართველოში სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე აღინიშნება, რომელიც 2007 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დაფუძნდა. ამ დღეს კიდევ ერთხელ ხდება სოფელში მცხოვრები ქალების როლისა და ნვლილის აღიარება როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ისე ადგილობრივი სიღარიბის დაძლევაში. წელს ეს დღე კახეთში, სოფელ ნინწმინდაში აღინიშნა.

***

ზამთარი ახლოვდება. სოფლები ნელ-ნელა ჩუმდება. სიცოცხლე სახლებიდან ამოშვალი კვამლით იგრძნობა. მოსავალი დაბინაუებულია. ქალების ცხოვრებამ სახლებში გადაინაცვლა, მაგრამ მათი ფუსფუსი მაინც არ ნყდება. გაზაფხულისთვის ზამთრიდადანე ემზადებიან – ყანებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს ყურადღება სჭირდება. ოჯახისთვის საკვებს ქილებში ინახავენ, ხილს ამბობენ. მერე კი სამთვიანი მოსანყენი საღამოები დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასაქმებულობის ილუზია

**თუკი თქვენ გასული შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც საქმიანობდით, თუნდაც ზამთრისთვის კაშნეს იქსოვდით, დასაქმებულად ითვლებით.**

**თათია ხალიანი**

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო გამოკითხვებით, მოსახლეობის 67% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს, ოფიციალური სტატისტიკა საკმაოდ ოპტიმისტურია. ქვეყანაში უმუშევრობის დონე 14,6%-ია. როგორც წესი, ამის მიზეზად უმუშევრობის გამოთვლის მეთოდოლოგია სახელდება, რომელიც სოფლის მეურნეობაში ჩართულ ადამიანებს თვითდასაქმებულად მიიჩნევს. სტატისტიკაში თვითდასაქმებული ადამიანების წილი ყველაზე მაღალი – 61%-ია.

* * *

სახლთან ახლოს პატარა მიწა, ხუთი ძროხა, რამდენიმე ქათამი და სათიბი ადგილი – ასე გამოიყურება ბადრი გიგაურის საოჯახო მეურნეობა. ოჯახი გამოსაკვებად მთელი წელი შრომობს. წელს ზამთრისთვის სამი ტომარა კარტოფილი აიღო, სხვა არაფერი მოჰყავს.

ბადრი თეთრიწყაროში ცხოვრობს. 57 წლისაა. ბოლოს 2000 წელს, მძღოლად მუშაობდა. მას მერე უმუშევარია. წელიწადში რამდენჯერმე მეუღლეს თბილისში გასაყიდად მაწონი მიაქვს. ოჯახის ფულადი შემოსავალი მხოლოდ ესაა.

ორი შვილი ჰყავს. გიული მეცხრეკლასელია, გურამი – სტუდენტი. შვილები სახლის საქმეებში ეხმარებიან.

ბადრი და მისი ოჯახის წევრები დასაქმებულთა სტატისტიკაში ხვდებიან, რადგან სოფლის მეურნეობაში ყველა მონაწილეობს.

ადამიანი დასაქმებულად ითვლება, თუკი გამოკითხვის მომენტში გასული შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც რაიმე ტიპის საქმიანობას ეწეოდა მოგების, შემოსავლის ან სხვა სახის სარგებლის მისაღებად. მაგალითად, უვლიდა საქონელს, ამოყავდა ყველი, ფქვავდა სიმინდს, აყენებდა ღვინოს, კერავდა, ქსოვდა და ა.შ. ასრულებდა ნებისმიერ სამუშაოს, რომელსაც სარგებლის მოტანა შეეძლო თავისთვის, თავისი ოჯახისთვის თუ მეზობლებისთვის. შესაბამისად, დასაქმებულია არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და ხელფასს იღებს, არამედ სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანიც.

უმუშევრად ითვლები, თუკი გამოკითხვის მომენტში გასული ერთი კვირის განმავლობაში ერთი საათითაც კი არ მუშაობდი, ბოლო ოთხი კვირის მანძილზე სამუშაოს ეძებდი და ამბობდი, რომ მომავალი ორი კვირის განმავლობაში მუშაობის დასაწყებად მზად იყავი.




დიზაინერი: ირაკლი ჭუმბურიძე (ჯამპსტარტ ჯორჯია)

რამდენიმე წელია, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 13%-დან 15%-ამდე მერყეობს. ერთი შეხედვით, ჩანს, რომ ქვეყანაში დაახლოებით 85% დასაქმებულია. თუმცა, საქსტატის მონაცემების მიხედვით, დასაქმების მაჩვენებელი 56,6%-ია, რადგან დასაქმების დონის გამოსათვლელად დასაქმებულთა რაოდენობას მთელ მოსახლეობაზე ყოფენ, ხოლო უმუშევრობის დონის დასადგენად, უმუშევრობის რაოდენობა მხოლოდ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე იყოფა.

ეკონომიკურად აქტიურად მიიჩნევა 15 წლის და უფროსი ასაკის ადამიანი, რომელიც მუშაობს ან ეძებს სამსახურს.

ბადრი გიგაური

ფოტო: სერგო ენგიბაროვი

**„დასაქმებულთა რაოდენობა გაზვიადებულია, ანუ უფრო მეტს ვუწოდებთ დასაქმებულებს, ვიდრე რეალურად ჩანს. თვითდასაქმებულებულთა 83% სოფლადაა. ამ ადამიანების უმეტესობა მიეკუთვნება ოჯახებს, რომელთა ჯამური შემოსავალი 500 ლარზე ნაკლებია. ის მოიცავს პენსიებს, გზავნილებს, პროდუქტის გაყიდვიდან მიღებულ თანხას, ნებისმიერი ტიპის შემოსავალს. სოფლად მინიფერმერულ მეურნეობაში ოჯახის ყველა წევრი შეიძლება იყოს ჩართული, შესაბამისად, ისინი დასაქმებულებად ითვლებიან.**

2013 წლის მონაცემებით, ქვეყანაში სულ მილიონ 712 ათასი კაცია დასაქმებული, აქედან 658 ათასი - დაქირავებით (ანუ ვინც ხელფასს იღებს), დანარჩენი კი – თვითდასაქმებულია.

„მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა დამატებით სხვა სამსახურს ეძებდნენ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს, ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს“, – ნათქვამია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ აღწერაში.

თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე გასაყიდად.

შესაბამისად, უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. უმუშევრობის დონე სოფელში 6.5%, ქალაქში კი 25.6%-ია.

თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) უფროსი მკვლევარი მაია გრიგოლია ამბობს, რომ, თუკი დასაქმებულთა სტატისტიკას უფრო დეტალურად ჩავშლით, შედარებით რეალურ სურათს მივიღებთ.

„დასაქმებულთა რაოდენობა გაზვიადებულია, ანუ უფრო მეტს ვუწოდებთ დასაქმებულებს, ვიდრე რეალურად ჩანს. თვითდასაქმებულებულთა 83% სოფლადაა. ამ ადამიანების უმეტესობა მიეკუთვნება ოჯახებს, რომელთა ჯამური შემოსავალი 500 ლარზე ნაკლებია. ის მოიცავს პენსიებს, გზავნილებს, პროდუქტის გაყიდვიდან მიღებულ თანხას, ნებისმიერი ტიპის შემოსავალს. სოფლად მინიფერმერულ მეურნეობაში ოჯახის ყველა წევრი შეიძლება იყოს

ჩართული, შესაბამისად, ისინი დასაქმებულებად ითვლებიან.

უმუშევრების რაოდენობა კი სინამდვილესთან შედარებით ზედმეტად შევიწროებულია. საქართველოში ძალიან ბევრი იმედდაკარგული მუშახელია. შესაძლოა, რომ ადამიანს გასული ოთხი კვირის განმავლობაში არ უძებნია სამსახური, მაგრამ თავს უმუშევრად მიიჩნევდეს და სამსახურის დასაწყებად ნებისმიერ მომენტში მზად იყოს. მაგალითად, საქსტატი სვამს კითხვას – ეძებდი თუ არა სამსახურს? თუ პასუხია – არა, მაშინ ის არც დასაქმებულია, არც უმუშევარი და საერთოდ არ მონაწილეობს უმუშევრობის დათვლის სტატისტიკაში. უმუშევართა რაოდენობაში, რომელიც დღეს გვაქვს, მხოლოდ ის უმუშევრები შედიან, რომლებმაც გამოკითხვის მომენტში უპასუხეს რომ – გასული ოთხი კვირის განმავლობაში სამსახურის ძებნა სცადეს. როგორც წესი, ასე ცოტა პასუხობს",- გვეუბნება მაია გრიგოლია.

კვარტალში ერთხელ საქსტატი კითხვარს ამზადებს, რომელსაც 15 წლის ზემოთ ოჯახის ყველა წევრი ავსებს. ერთ-ერთი კატეგორია დასაქმებას ეხება. თუმცა, როგორც მაია გრიგოლია ამბობს, როცა კითხვარს ავსებ, შეიძლება ვერ მიხვდე, ამის მიხედვით მიგაკუთვნებენ თუ არა დასაქმებულ ადამიანთა რიცხვს, რადგან პირდაპირ არ არის დასმული კითხვა – ხარ თუ არა დასაქმებული? გეკითხებიან ბოლო კვირის განმავლობაში რას საქმიანობდი, და ჩამოთვლილია სავარაუდო პასუხები, თუკი ჯამში ერთი საათით მაინც საქმიანობდი, თვითდასაქმებული ხარ.

სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსი გიორგი კალაკაშვილი ამბობს, რომ გაეროს რეკომენდაციით საქსტატი უმუშევრობის დონეს ქვეყანაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით ითვლის.

„უმუშევრობის დონეს იდენტური მეთოდოლოგიით ითვლის ყველა განვითარებული ქვეყანა და განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილი. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც არ იყენებენ ამ მეთოდოლოგიას, ითვლიან რეგისტრირებულ უმუშევრობას, რაც გაცილებით დაბალია, რადგან, როგორ წესი, უმუშევარი არ გადის რეგისტრაციას, არ აქვს დასაქმების იმედი და ა.შ. ამიტომ გაეროს რეკომენდაციაა, რომ არაზუსტი მონაცემების თავიდან ასაცილებლად გამოვიყენოთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგია", – ამბობს კალაკაშვილი.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სოსო არჩვაძის თქმით, მეთოდოლოგიას ვერ შევცვლით, რადგან საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, ამიტომ ვალდებულები ვართ გამოვიყენოთ ის მეთოდოლოგია, რასაც ეს ორგანიზაცია ამუშავებს. თუმცა, მიიჩნევს: „იმისათვის, რომ რეალურად ავსახოთ პრობლემის სიმწვავე, კარგი იქნებოდა დაგვეთვალა არა მხოლოდ უმუშევრობის დონე როგორც ასეთი, არამედ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობაც".

„საშუალოდ ერთი დაქირავებით დასაქმებულის საშუალო ხელფასი სამჯერ აღემატება თვითდასაქმებულის შემოსავალს. მაგალითად, რომ შევამციროთ ორი ერთეულით თვითდასაქმებული და გავზარდოთ ერთი ერთეულით დაქირავებით დასაქმებული, სტატისტიკაში გამოჩნდება, რომ უმუშევრობა გაგვეზარდა, დასაქმებულთა რაოდენობა კი შემცირდა. თუმცა საზოგადოების კეთილდღეობა მაინც გაიზრდება, რადგან ერთი დაქირავებით დასაქმებული სამჯერ მეტ დოვლათს ქმნის, ვიდრე სამი თვითდასაქმებული. ამიტომ ეს სტატისტიკა გვიქმნის ილუზიას, რომ მდგომარეობა კარგადაა", – ამბობს სოსო არჩვაძე.

მისივე თქმით, მართალია ქვეყანაში უმუშევრობის დონე 15%-მდეა, მაგრამ რეალურად უმუშევრობის სიმწვავე ისეთივეა, როგორიც იქნებოდა ევროპის რომელიმე ქვეყანაში 45%-იანი უმუშევრობისას: „პროპორციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუკი ჩვენთან 61% თვითდასაქმებულია და დანარჩენი დაქირავებით დასაქმებული, ევროპის ქვეყნებში 85% დაქირავებულია, 15% კი თვითდასაქმებული".

სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ახალგაზრდებში უმუშევრობა ყველაზე მაღალია. სტატისტიკა აჩვენებს, რომ 20-დან 29 წლამდე მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილები არ არსებობს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც უნივერსიტეტები დაასრულეს და სამუშაოს აქტიურად ეძებენ.




დიზაინერი: ირაკლი ჭუმბურიძე (ჯამპსტარტ ჯორჯია)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

CELEBRATING

130 years

CONGRATULATIONS

*Years*

ANNIVERSARY

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალები ოჯახების საჩრდილოდ

ვახო ხეთაგური

საუკუნეებია საქართველოში არსებობს პატრიარქალური კულტურა, რომელიც აღიარებს მამაკაცის, როგორც დომინანტის, უპირატესობას. გაბატონებული სტერეოტიპის მიხედვით, მამაკაცი წარმოადგენს ოჯახის თავს და მარჩენალს, რომელიც ერთპიროვნულად ილებს ყველა გადაწყვეტილებას.

ქალის მთავარი ფუნქცია კი საოჯახო საქმიანობა, შვილების, უფრო ვაჟის – „ქართველი ვაჟკაცის" – გაჩენა და აღზრდაა.

90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკა დაინგრა, სამუშაო ადგილები გაქრა და ქვეყანა ტოტალურმა უმუშევრობამ მოიცვა. მამაკაცებმა, რომლებმაც დაკარგეს ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, ვერ შეძლეს ახალ სისტემაზე მორგება და თავისა და ოჯახის გადარჩენაზე ზრუნვა. ეს ფუნქცია ქალებმა, ეგრეთ წოდებული, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა, შეითავსეს. ისინი გავიდნენ ქუჩებში, ხელი მიაყვეს ვაჭრობასა და სხვა მძიმე სამუშაოს. ამის პარალელურად მათ მხრებს ისევ ამძიმებდა იმ მოვალეობების ტვირთი, რომელსაც მათ პატრიარქალური კულტურა აკისრებდა.

მას შემდეგ 20 წელი გავიდა. თუმცა ეკონომიკურად შედარებით დაბალი სოციალური ფენებისთვის არაფერი შეცვლილა. ქალებს დღესაც იგივე ფუნქციები აკისრიათ.

თბილისის ცენტრალური ბაზრის ტერიტორიაზე გადაღებული ფოტოები, კიდევ ერთხელ გვიყვება ქალთა მძიმე ხვედრის შესახებ. ისინი იმ სამუშაოს შესახებ გვიამბობენ, რომლის შესრულებაც მათ ყოველდღიურად საშინელ პირობებში უწევთ. იძულებულნი არიან ყურადღება მიაქციონ შვილებს და აჩრნონ ქმრები, რომლებიც შინ სხედან და არც თუ იშვიათად, ფიზიკურად და მორალურად ძალადობენ მათზე...



MODEL 24M018 BIKE
C/NO.
MADE IN

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტოპროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტოპროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნობელის პრემიაზე სხვა გადაფრინდა

ვისაუბროთ, იმაზე, თუ როგორ გასცემს შვედეთის მეცნიერებათა აკადემია პრემიას ლიტერატურაში.

ლევან ბერძენიშვილი

ნობელის პრემია 1901 წლიდან გაიცემა და კითხვები ნობელის კომიტეტის მიმართ პირველივე პრემიამ გააჩინა. ანდერძში თავად ალფრედ ნობელმა აღნიშნა, რომ სურდა პრემია ლიტერატურის დარგში „მაღალი და გამოკვეთილი იდეალიზმისთვის“ გაცემულიყო. კომიტეტზე ამან სერიოზულად იმოქმედა.

უაღრესად პრესტიჟული პრემია, რომელიც, ამავე დროს, უზარმაზარი თანხაა, ისეთი სახელგანთქმული მწერლებისთვისაც კი საინტერესოა, რომელთაც „ორი კაპიკი უნახავთ“. სხვადასხვა ეპოქაში იყვნენ მწერლები, რომლებსაც არა მხოლოდ ნობელის პრემია, არამედ ბევრი სხვა რამაც ეკუთვნოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრემია ზოგიერთ შემთხვევაში ისეთმა ადამიანებმა მიიღეს, რომლებიც ისტორიამ დაივიწყა.

ნობელიანტების სიას თუ გადავხედავთ, მათ რიგებში აღმოვაჩენთ ხალხს, რომელთა წიგნები უკვე 20-30-40 წელია აღარ გამოცემულა და არც არასდროს გამოიცემა. მათ რიგებში იქნებიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც დღეს „დიდები“ და მნიშვნელოვნები არიან.

განსაკუთრებულად საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა მწერლები თავად გამოთქვამდნენ პრეტენზიას – მე კი მომეცით პრემია, მაგრამ აი „იმისთვის“ რომ არ მიგიციათ, რა ხალხი ხართო. ასეთი სულ მცირე სამი შემთხვევა მახსენდება:

როდესაც ნობელის პრემია შესანიშნავ ავტორს, ხუან რამონ ხიმენესს გადაეცა, მან თქვა – ეს პრემია მე კი არა, ლორკას ეკუთვნოდაო. სადაც სამართალია, ლორკაც და რაფაელ ალბერტიც იმსახურებდნენ პრემიას, საერთოდ, ხიმენესამდე ესპანური პოეზია არ უნდა დაჩაგრულიყო.

ჯონ სტაინბეკისთვის პრემიის მინიჭების შემდეგ გაირკვა, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ მიიღეს, სხვა, უკეთესი ვერ იპოვეს. მე არ ვიზიარებ იმ სკეპტიკოსთა აზრს, რომლებიც მიიჩნევენ – სტაინბეკი რა სანობელე კაცი იყო. ის დიდი მწერალია და მისთვის ნობელის პრემიის მინიჭებით არაფერი დაშავებულა. ზოგადად, ამერიკის კონტინენტი იჩაგრება, ამერიკის შეერთებული შტატების მწერლობას მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი ეკუთვნოდა, ვიდრე ჰყავს და სხვათა შორის, არა ისინი, რომლებიც ჰყავს. რას ვიზამთ, ამერიკის მიმართ შვედეთის აკადემიას ყოველთვის აქვს პრობლემები, ამბობენ, რომ ნობელის კომიტეტი ევროპაცენტრულია და შვედური ლიტერატურა განსაკუთრებით რომ უყვარდეთ, არც ეგ არის გასაკვირი. ალფრედ ნობელი შვედი რომ არ ყოფილიყო, ალბათ არც ამდენ შვედს მოუწევდა ეს პრემია.

პრემიის მიღებისას სტაინბეკმა თქვა – როგორ გამოგრჩათ შერვუდ ანდერსონი!

მეც ძალიან მიკვირს, როგორ შეიძლებოდა არ დაენახათ შერვუდ ანდერსონი, თუმცა ყველაფერი შეიძლება. უამრავი მწერალია „აცილებული“, ბევრს არ მოუწია ნობელის პრემია.

როდესაც დიდ ფრანგ მწერალს, ჩემი აზრით, ერთ-ერთ საუკეთესო რომანისტს და კათოლიკური მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელს, ფრანსუა მორიაკს მიანიჭეს ნობელის პრემია, საფრანგეთისკენ „გახედვისთვის“ აკადემიას მადლობა გადაუხადა, თუმცა ისიც აღნიშნა, ახლო-მახლო მიგეხედათ და ეს პრემია ავგუსტ სტრინდბერგისთვის მიგეცათო.

სტრინდბერგს რომ ნობელის პრემია არ აქვს, ეს უკვე ყოველგვარ საზღვრებს სცდება და სასაცილოც აღარაა, თავის დროზე, ეს ამბავი გარკვეული გაგებით ნობელის კომიტეტის პროფანაციას ნიშნავდა. მოკლედ, ბევრი უცნაური ამბავი მოხდა.

ახლა ის მწერლებიც ვახსენოთ, ვინც წარდგენილი იყო, მაგრამ ნობელის პრემია არ მიენიჭა. თუ წარდგენილი არ იყო, არ იცოდნენ და არ დასიზმრე-

ბიათ არ შევედავოთ, მაგალითად კაფკაზე, იმიტომ რომ ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მისი დანახვა. ვაპატიოთ კაფკა, მაგრამ როგორ ვაპატიოთ ტოლსტოი?

XX საუკუნეში ლევ ტოლსტოიმ 10 წელი იცხოვრა, ნობელის პრემიაზე 1902 წელს იყო წარდგენილი. როდესაც ორმოცდაათი წლის შემდეგ 1902 წლის ნობელის კომიტეტის ჩანაწერები გასაჯაროვდა, გაირკვა, რომ, თურმე, ნუ იტყვით, და პრემიაზე წარდგენილი მსოფლიოს №1 მწერალი შვედეთის აკადემიის მდივანს, კარლ ვილსენს დაუწუნებია, უთქვამს – ნობელმა დაგვიბარა, რომ პრემია მაღალი და იდეალისტური მწერლობისთვის გავცეთ, ეს კაცი კი ცივილიზაციის მოწყვეტას, ხიფთნის ჩაცმას და სისულელეების კეთებას ქადაგებსო. ტოლსტოის მწერლობა მან ტოლსტოვშინამდე და ტოლსტოვკამდე დაიყვანა, რაც ძალიან, ძალიან „საინტერესოა."

მოდი ვთქვათ ასე, იმ წლებში ნობელის პრემია არა მარტო ტოლსტოიმ, არამედ ანტონ ჩეხოვმაც ვერ მიიღო. ტოლსტოისა და ჩეხოვის დარი მწერალი პირველ წლებში საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი. ამ პერიოდში ნობელის პრემიას იღებდნენ: სიული პრიუდომი – ფრანგი პოეტი, ჩემი აზრით, საკმაოდ მოკრძალებული; თეოდორ მომზენი – შესანიშნავი ისტორიკოსი, თუმცა ლიტერატურასთან რაიმე სერიოზული შეხება არ ჰქონია; ბიორნსტიერნე ბიორნსონი, ფრედერიკ მისტრალი, ჰენრიკ სენკევიჩი, ჯოზუე კარდუჩი – ამაზე მე ვერ ვიტყვი საყვედურს, იმიტომ რომ მომავალში სეტემბრინი იქნება მისი მოსწავლე; რადიარდ კიპლინგი – რა გვეთქმის, რა გვეთქმის! სელმა ლაგერლოფი – ახლა ქალისთვისაც ხომ უნდა მიეცათ პრემია?! პაულ ფონ ჰაიზე, მორის მეტერლინკი და გერჰარტ ჰაუპტმანი – კარგი მწერლები არიან, მაგრამ მათ რიგებში ნამდვილად ვიცი რომ არც ტოლსტოია ვინმე, და არც ჩეხოვი.

ამბობენ, რომ აქ იმუშავა ტრადიციულმა, შვედურმა მტრულმა დამოკიდებულებამ რუსეთის წინააღმდეგ. კი ბატონო, დავიჯეროთ რომ ეს რუსების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. ზოგიერთს საქართველოში მოეწონება კიდეც – აბა რა, აბა როგორ, რუსებს რა აქვთ მოსაწონი, მათ შორის ლიტერატურა!

ვთქვათ ისიც, რომ რუსი მწერალი, რომელიც საერთოდ სხვა ქვეყანას წარმოადგენდა ასევე დაიწუნეს. ვლადიმერ ნაბოკოვის წინააღმდეგი იყო ანდერს ესტერლინგი, აკადემიის მუდმივი წევრი, რომელმაც თქვა, რომ ნობელის პრემიას ვერ მისცემდა აღვირახსნილი, საზიზღარი რომანის, „ლოლიტას", ავტორს. ამ ფრაზით შეგვიძლია მივხვდეთ, რატომ არ მიუციათ ეს პრემია პოლ


გაბრიელ გარსია მარკესი


ფიდელ კასტრო

ვალერისთვის, ჟან ჟენესთვის და ა.შ. თუმცა მისცეს ანდრე ჟიდს. ასე რომ, შვედეთის აკადემიის ლოგიკას ვერაფერს გაუგებ კაცი.

არ მისცეს ტოლსტოის, არ მისცეს ნაბოკოვს. შესაბამისად, გასაგებია პრემიების გაცემა/არ გაცემა პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ყველაზე აღმაშფოთებელი, ყველაზე გამანადგურებელი რამ.

■ თურმე, ნუ იტყვით, და პრემიაზე წარდგენილი მსოფლიოს №1 მწერალი შვედეთის აკადემიის მდივანს, კარლ ვილსენს დაუწუნებია, უთქვამს – ნობელმა დაგვიბარა, რომ პრემია მაღალი და იდეალისტური მწერლობისთვის გავცეთ, ეს კაცი კი ცივილიზაციის მოწყვეტას, ხიფთნის ჩაცმას და სისულელეების კეთებას ქადაგებსო. ტოლსტოის მწერლობა მან ტოლსტოვშინამდე და ტოლსტოვკამდე დაიყვანა, რაც ძალიან, ძალიან „საინტერესოა."

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვინც კი XX საუკუნის ლიტერატურაში გარდატეხა შეიტანა, ასე ვთქვათ, მოდერნის ავტორები: ჯეიმს ჯოისი, მარსელ პრუსტი, ფრანცკ კაფკა, რობერტ მუზილი და მცირე ფორმებში თანამედროვე მწერლობის გვირგვინი ბორხესი – ნობელიანტი ვერცერთი ვერ გახდა.**

ჟან პოლ სარტრი

იოსებ სტალინი

რუსები რომ იჩაგრებიან ეს ტრადიციაა. როგორც ბულგაკოვს, ასევე სრულიად უთარგმნელ ზოგიერთ რუს ავტორს, მაგალითად, ზანიატინს რომ არ მოუწევდა პრემია, ეს ნათელია. ვფიქრობ, კარგად მოიქცნენ, როდესაც ნობელის პრემია სოლჟენიცინს მიანიჭეს, მართალია პოლიტიკური მოტივით, მაგრამ მაინც სწორი გადაწყვეტილება იყო.

თუმცა...

XX საუკუნის შუა პერიოდიდან მსოფლიოს ჰყავდა ლიდერი მწერალი – ხორხე ლუის ბორხესი. ბორხესს პრემია არ მისცეს – ეგ მემარჯვენეა და აუგუსტო პინოჩეტთან აქვს ურთიერთობაო. ბორხესის შემთხვევისგან განსხვავებით, პოლიტიკურმა მიდრეკილებებმა არ შეუშალა ხელი სტალინის მაქებარი და მადიდებელი ხალხისთვის, სარტრისა და ნერუდასთვის მიეცათ პრემია. ეტყობა შვედური გადმოსახედიდან ასე ჩანდა, რომ სტალინი ჯობია პინოჩეტს: პინოჩეტმა რამდენიმე ათასი კაცი შეიწირა, სტალინმა კი მილიონები.

დავუშვათ პრემია არ ეკუთვნოდა ბორხესს, რადგან ის მემარჯვენე იყო, შვედეთის აკადემიას კი უფრო მემარცხენეები მოსწონს. ეს იქიდანაც ვიცით, რომ ფიდელ კასტროს ვერ მისცემდნენ პრემიას, სამაგიეროდ ის მიანიჭეს მარკესს, მის ძალიან კარგ მეგობარს. რა თქმა უნდა, მარკესის წინააღმდეგი არ ვარ, ის შესანიშნავი მწერალია, თუმცა, თუკი პინოჩეტისთან მეგობრობა ისჯება, მაპატიეთ, მაგრამ ფიდელ კასტროს დანაშაულებთან შედარებით აუგუსტო „პატარა ბავშვია“.

ეგ არაფერი, ნობელის კომიტეტმა მთელი მსოფლიო გააოგნა, როდესაც პრემია კამილო ხოსე სელას მიანიჭა. ბორხესი მემარჯვენე იყო, მაგრამ ფაშისტი არასდროს ყოფილა – კამილო ხოსე სელა იყო ფრანკისტი, ფაშისტი და ღვთის პირიდან გადავარდნილი კაცი, თუმცა ძალიან, ძალიან კარგი მწერალი, ისევე როგორც გაბრიელე დ'ანუნციო. ნობელის კომიტეტი ასეთ აცდენებს აკეთებდა – თუ მემარჯვენეობისთვის არ შეიძლებოდა პრემიის გაცემა, მაშინ რამ მიაცემინათ, მაგალითად, კნუტ ჰამსუნისთვის?! მისთვის პრემია რომ არ მიეცათ, ესეც დიდი სირცხვილი იქნებოდა და ა.შ.

ოლონდ მემარცხენე იყავი და გინდა ივო ანდრიჩი გერქვას, გინდ შოლოხოვი – პრემიას მოგცემენ, მაგრამ იმ შემთხვევაშიც მოგანიჭებენ, თუკი ის კაცი ხარ, რუსეთს რომ აწყენინე. სტალინის ქებაც მოსულა და რუსეთის გინებაც. მართალია, ბორის პასტერნაკმა შემდეგში თქვა – რას მერჩოდნენ, ჩემი ქვეყნის სილამაზე აღვწერე და მას დავუდგი ძეგლიო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით რა ტრაგედია დატრიალდა პასტერნაკთან დაკავშირებით. ეს არის ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც მწერალს ნობელის პრემიის მიღებაზე უარი საბჭოთა კავშირმა ათქმევინა. ამ საბედისწერო 23 ოქტომბრის შემდეგ პასტერნაკი მალევე გარდაიცვალა – სტუდენტები მიუგზავნეს, მოღალატე უძახეს და გული გაუხეთქეს.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ნობელის კომიტეტმა პრემია აცილებით ბევრს ააცილა,

ზოგიერთს კი ისეთ დროს მისცა, ფაქტობრივად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სწორედ ამის გამო თქვა უარი პრემიაზე ჟან პოლ სარტრმა – პასტერნაკს რატომ მიანიჭეთო, დაახლოებით ასე გამოუვიდა. არ იყო მართალი ამხანაგი სარტრი, რაც დრო გადის ეს უფრო იკვეთება, ჩანს, რომ ბევრ რამეში ცდებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, უზარმაზარი მოაზროვნე იყო.

დღევანდელი მწერლებიდან, მაგალითად, სალმან რუშდის, არტურ მილერს არ აქვთ პრემია, რაზეც არსებობს განმარტება – ესენი ხომ ისედაც დიდი მწერლები არიან და პრემია ცოტა მოულოდნელი ხომ უნდა იყოს. რუშდის პრემია რომ მივცეთ, რა იქნება ამაში გასაკვირი?

გამოდის, რომ ვინც კი XX საუკუნის ლიტერატურაში გარდატეხა შეიტანა, ასე ვთქვათ, მოდერნის ავტორები: ჯეიმს ჯოისი, მარსელ პრუსტი, ფრანცკ კაფკა, რობერტ მუზილი და მცირე ფორმებში თანამედროვე მწერლობის გვირგვინი - ბორხესი, ნობელიანტი ვერცერთი ვერ გახდა.

ასევე, ზოგადად, ფრანგები არ არიან დაჩაგრულები, მაგრამ დაიჩაგრნენ ნობელიანტ ფრანგებზე არანაკლებ და ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მწერლები: ჩემ მიერ დასახელებული მარსელ პრუსტით დაწყებული, სელინით გაგრძელებული და პოლ ვალერით დამთავრებული. ბოლოსდაბოლოს, პოლ ვალერი საფრანგეთის აკადემიის მუდმივი წევრი იყო.

დაიჩაგრა იაპონური ლიტერატურის უზარმაზარი ვარსკვლავი იმის გამო, რომ ნობელის კომიტეტი მსჯელობდა ასე – მოდით მივცეთ იაპონელს, და ეს იყოს კავაბატა და არა მისიმა. ნობელის პრემია იაპონიაში ცოტა მეტი იყო გასაცემი, ეს ტრადიციული, დიდი სალიტერატურო ქვეყანაა. არ შეიძლებოდა, რომ პრემია კავაბატასთვისაც მიენიჭებინათ და მისიმასთვისაც?!

გამორჩეულად დიდი საშინელებაა გერმანული ლიტერატურის ღრმა ალყა. თუ მთელი მსოფლიო არ დაანგრია და ყველამ არ უთხრა ნობელის კომიტეტს – კარგით რა, ნამუსი იქონიეთ და გიუნტერ გრასს მაინც მიეცით პრემიაო, მოძებნიან ჰერტა მიულერის მსგავს ავტორს და პრემიას მას მიანიჭებენ, რათა ნობელიანტი არ გახდეს მარტინ ვალზერი. ჯინაზე არიან!

საერთო ჯამში ფაქტია, რომ ნობელის კომიტეტი ძალიან უცნაური კომიტეტია, თუმცა წელს ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, ენა არ უნდა მოგიბრუნდეს კაცს რომ გააკრიტიკო – მათ ნამდვილი მწერალი იპოვეს და, ვფიქრობ, ბოლო წლებში გაცემული პრემიები ერთად არ არის იმის ფასი, რაც პატრიკ მოდიანომ მიიღო.

2002 წელს, მსოფლიოს 66 ქვეყნიდან 100 დიდი


ხორხე ლუის ბორხესი

აუგუსტო პინოჩეტი

მწერალი შეიკრიბა, მათ შორის არაერთი ნობელიანტი და შედგა ყველაზე „დიდი“ რომანების ავტორთა სია. ამ და ნობელის პრემიის ლაურეატთა სიას შორის კვეთა იშვიათია.

ზოგადად, ნობელის პრემიას თუ გადავხედავთ, ირკვევა, რომ ლიტერატურა ძირითადად ევროპაში იწერება, აფრიკაში – ისე რა, ძალიან იშვიათად ჩინეთში. ინდოეთი და მსგავსი ქვეყნები საერთოდ

■ გამორჩეულად დიდი საშინელებაა გერმანული ლიტერატურის ღრმა ალყა. თუ მთელი მსოფლიო არ დაანგრია და ყველამ არ უთხრა ნობელის კომიტეტს – კარგით რა, ნამუსი იქონიეთ და გიუნტერ გრასს მაინც მიეცით პრემიაო, მოძებნიან ჰერტა მიულერის მსგავს ავტორს და პრემიას მას მიანიჭებენ, რათა ნობელიანტი არ გახდეს მარტინ ვალზერი. ჯინაზე არიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენთან სულ საუბრობენ, აჰა წკიპზე ვართ და ამ პრემიას მოგვცემენო. რუსთაველი მკვდარია, არ ვიცი ვის შევჩივლოთ, ვის უნდა მისცენ ნობელის პრემია. ამ თემაზე ჩვენთან ყოველთვის საუბრობდნენ.**

კამილო ხოსე სელა

გენერალი ფრანსისკო ფრანკო

არ ფიგურირებენ. ჩვენისთანა ქვეყნები ხომ არ ითვლება და არ ითვლება. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის?!

აბა გადახედეთ იმ 100 წიგნის სიას...

ბერძნებს მისცეს პრემია, როგორ არა, მაგრამ ყველაზე დიდები გამორჩათ: ნიკოს კაზანტაკისი არ არის ნობელის პრემიის ლაურეატი. დავიჯერო ბევრმა დაწერა ისეთი წიგნი, როგორიც არის „ბერძენი ზორბა“? ეს არ არის სამართლიანი. ბერძნები დაიჩაგრნენ. კონსტანტინოს კავაფისი, ჩემი აზრით, XX საუკუნის ყველაზე დიდი პოეტი ნობელიანტი არ არის. კიდევ კარგი, რომ ტომას ელიოტი დაინახეს, მაგრამ ტომას ელიოტი რომ ამბობდა, ჩემზე დიდი ავტორი ეზრა პაუნდიაო, იმას როგორ დაინახავდნენ?! გასაგებია – პოლიტიკური გადახრა ჰქონდა; გაბრიელე დ'ანუნციო? პოლიტიკური გადახრა ჰქონდა...

გაცემულ პრემიებზე გამოთქმულ პრეტენზიებსაც შევეხოთ. დიდი ამბავია, რომ არ გამორჩათ თომას მანი, ჰერმან ჰესე, თომას ელიოტი, უილიამ ფოლკნერი. არ გამორჩათ ისეთი კარგი მწერალი, როგორიც იყო სოლ ბელოუ. მაგრამ ბოლო პერიოდს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ბელოუს შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურა დავიწყებულია. ამერიკელებსაც და მეც გვიკვირს, რომ ფილიპ როთი ნობელის პრემიის ლაურიატი არ არის. კიდევ არის ათამდე ამერიკელი მწერალი, რომელთაც ეკუთვნოდათ და ეკუთვნით ეს პრემია – ზოგიერთი დღესაც წერს. ერთ-ერთ მათგანს იქნებ საქართველოში ჩამოსვლამ უშველოს, რომ ნობელის კომიტეტმა შეამჩნიოს.

ბოლოს კი მითები ქართველებისა და ნობელის პრემიის შესახებ.

ჩვენთან სულ საუბრობენ, აჰა წკიპზე ვართ და ამ პრემიას მოგვცემენო. რუსთაველი მკვდარია, არ ვიცი ვის შევჩივლოთ, ვის უნდა მისცენ ნობელის პრემია. ამ თემაზე ჩვენთან ყოველთვის საუბრობდნენ.

თითქოს რომენ როლანმა გრიგოლ რობაქიძე წარადგინა. არც ვიცით, ეს ამბავი რეალურად მოხდა თუ არა, მაგრამ მეეჭვება – ნობელის პრემიას არასოდეს მისცემდნენ კაცს, რომელმაც ჰიტლერისა და მუსოლინის ბიოგრაფიები დაწერა.

არსებობდა ვერსია, რომ ნობელის პრემიაზე ჭაბუა ამირეჯიბი იყო წარდგენილი, თუმცა რაც დანამდვილებით ვიცით, ეს ოთარ ჭილაძის ამბავია. საწყენია რომ ჭილაძის ერთ-ერთმა დიდმა შედევრმა – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ამ ტიპის აღნიშვნა არ დაიმსახურა. გასაგებია, რომ ნობელის კომიტეტისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა ნამდვილი გარღვევა იქნებოდა, რაც შემდგომში რეგიონში ვალდებულებებს გაუჩენდა.

ასეთ გარღვევაზე ისინი არ წასულან, ასეთ პატარა ენებთან არ მისულან, მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი – ოდესმე, როდესაც საქართველო თავის ნობელის პრემიას მიიღებს, ეს აუცილებლად ლიტერატურის დარგში იქნება, რადგან აღნიშნული პრემია ჭიდაობაში არ გაიცემა. ხოლო თუკი გვერდს აგვივლიან, ყოველთვის გვემახსოვრება, რომ ჩვენ კი არა, ბორხესსაც ააცილეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა


აქცია
31 დეკემბრამდე

DREAM CARD

# ახალი საკრედიტო ბარათი
# უპრეცედენტოდ
# დაბალი საპროცენტო განაკვეთით!




ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

SOCIÉTÉ GENERALE 150 წელი

290 90 90
290 90 99

* 90 90

BR.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველოს პლაკატ-აფიშათა საქმე (ნაწილი პირველი)

გიორგი კეკელიძე

მამლის ყივილი იქით იყოს და ადამიანების გაღვიძების დაუთქმელი რიტუალი გურიაში ეგეთია: ერთი იღვიძებს და გადაულაპარაკებს მეორეს – „გვღვიძავს?“ – „კი, ერთი საათია გაშტერებული მაქვს თვალები“. – „იი და გუშინ რამინიეს გოგოს ამბავი გეიგე? რაფერ იმასუქნია დაბადებისდღეში“ და მერე ღობეა გასაკეთებელი – ღორი ძვრება, შაქარმა ფასი მოიმატა და პაკისტანში როგორი ქარიშხალი ყოფილა. ანტენაა შესაბრუნებელი სადგურისკენ. ვერ იჭერს კარგად. განსაკუთრებით გრძელი და მისტიკური ეს საუბრები ზამთრობითაა, როცა დილას დადგომა უჭირს. მამალი კი ყივის პარალელურად. მერე ერთი რისკავს და დგება – ცეცხლს შეუნთებს. ცეცხლი დილის სიკვდილს ნიშნავს. თუ პატარა ხარ, შენ ყველაზე გვიან დგები. შესაბამისად საშუალება გაქვს დილის დაბადებას დააკვირდე – როგორ იშორებს კედელი ნელ-ნელა ღამის ჩრდილებს და დაზეპირებული ოთახი იბადება. ოთახზე ორ გაურკვეველ სურათს ამჩნევ: 1) ლომონოსოვი მიდის სკოლაში – სწავლა არასდროსაა გვიან და 2) დედა-სამშობლო გვეძახის.

არ ვიცი, რა უნდოდათ ჩემი სოფლის სახლის კედელზე, მაგრამ ერთი კია, რომ პირველი პლაკატები მაშინ დავლანდე. საბჭოთა პლაკატები. ახლა სწორედ მათზე ვწერ. როცა ბიბლიოთეკაში დიდი ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა გადავწყვიტეთ, პირველად პლაკატთა საცავს მივუკაკუნეთ და დღემდე ვაგრძელებთ. დედა-სამშობლო გვეძახის. გასაკეთებელი საქმეა. ისევე როგორც ირაკლი თოიძეს უხმობდა ან ,,უხმობს''. 1941 წელს შექმნა ყველაზე ცნობილი ქართული პლაკატი. იქვე მიაწერინეს სამხედრო ფიცი და Лауреат Сталинской премии Иракли Тоидзе (საკუთარი ხელმოწერით).

ხოლო მანამდე:

არქივში ქექვისას შევამჩნიეთ კედლის გაზეთი, რომელიც პარალელურად პლაკატის ფუნქციასაც ითავსებდა: თბილისის ერთიანი მუშათა კოოპერატივის 1925-26 სამეურნეო წლის ანგარიში. საპარტიო ანგარიშებით, ლენინითა და შესაბამისი მომყოლებით. მოწოდებებით და სიხარულით. თავის დროზე ქალაქის ქუჩებს სწორედ ამგვარი პლაკატებით ავსებდნენ: მეტი ტექსტი, ნაკლები ვიზუალი (თუ როგორც ამბობენ თანამედროვე არტმცოდნეები).

1927 წელს კინო-აფიშაც დავლანდეთ. ქართული ამბის – რუსულ ენაზე. ცოტა დეპრესიული, სანახაობაზე კი არა, დაკრძალვის ღონისძიებაზე უფრო რომ გაფიქრებინებთ. ეგრე აწერია: Художественный фильм "Гюлли", Производства Госкинпром Грузии. Религиозная драма по мотивам

„გადაჭრით შევუტიოთ კულაკს და ვიბრძოლოთ ახალი კოლმეურნეობისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის“ – პროპაგანდისტული ძახილი უკვე უფრო მხნეა. 1931 წელია. პლაკატიც გაფერადდა. სტილი ცოტა ავანგარდულისკენ გარბის, მაგრამ თემატიკა ამუხრუჭებს. ფერებიც მეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**■ საომარი პლაკატების ბუმია. წითელარმიელები. სტალინი. სტალინი. წითელარმიელები. თუმცა ალაგ-ალაგ ამოვარდნაცაა. მაგალითად, 1941 წელს ამგვარი აქცია ყოფილა – წიგნი ფოსტით, ფასდაკლებით სოფელსა და ქალაქს და კიდევ: „მოითხოვეთ მცირე ალკოჰოლიანი შუშხუნა სასმელი „თბილისი“. ეს უკვე 1942 წელია.**

одноименной повести Шио Арагвиспирелли. Режиссеры: Лев Пуш, Николай Шенгелая. Оператор: Михаил Калатозов. Плакат издан в Баку. შიო არაგვისპირელი კი იყო ისე ცრემლის და შიშის მწერალი. ხოლო მთავარ როლს ნატო ვაჩნაძე ასრულებდა.

„გადაჭრით შევუტიოთ კულაკს და ვიბრძოლოთ ახალი კოლმეურნეობისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის“ – პროპაგანდისტული ძახილი უკვე უფრო მხნეა. 1931 წელია. პლაკატიც გაფერადდა. სტილი ცოტა ავანგარდულისკენ გარბის, მაგრამ თემატიკა ამუხრუჭებს. ფერებიც მეტია. ცხადია – წითელი ჭარბობს. ეგრეც გრძელდება ვიდრე 1941 წლამდე და სამამულო ომის კარიბჭესთან პირველი პლაკატი... არც მეტი, არც ნაკლები ამგვარი სათაურისაა: „მანქანას არ ჩამოეკიდო – სახიფათოა!“ საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილება გვაფრთხილებს და მალე ცეცხლიც გაიხსნება. თუმცა ბომბებამდე სხვა მოწოდებაცაა: „ბავშვი პირველად აბანავეთ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მოეცლება ჭიპლარი“. ეს ინსტრუქციულ-მეთოდური პლაკატია, დიდად მოდური საქმე საბჭოთა განმანათლებლებში. უი, სტალინის და ლენინის („განმანათლებლებზე“ გამახსენდა) პოსტერებზე არაფერი მითქვამს? არც გჭირდებოდათ, ეგეთები ხომ ყველამ ვიცით. ისევ საცავში ჩავყვინთოთ – თან ომი დაიწყო. ქართულენოვანი პლაკატი, რასაც გადავაწყდით, კარიკატურა-პლაკატია – სასაფლაოებში ჩამჯდარი ჰიტლერი და წარწერა: „მესამე იმპერიის“ აპოთეოზი: ბლიც კრიგ ან ბლიც კრახ“ საქმხატვარი. 1941 წელი. შესრულებული გაბაშვილისა. ისე, ძალიან საინტერესო ამბავს გადაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბუდიაშვილის მოედანი, ანუ "წეხილია თქვენს სახელზე"

უკვე დიდი ხანია ერთ რამეზე ვფიქრობ – ქალაქს რომ ენა ჰქონდეს, რას გვეტყოდა. როგორ მოგვიყვებოდა საკუთარ ამბავს. გაგვიბრაზდებოდა, გვისაყვედურებდა, დაგვიყვავებდა, შეგვაქებდა, შეგვთხოვდა თუ მოგვთხოვდა რამეს.

ცირა ელისაშვილი

არის ქალაქები, რომლებსაც ადამიანებთან ნაკლები ურთიერთობა აქვთ. ზოგიერთი არ გიკარებს, რამდენი წელიც არ უნდა იცხოვრო, მაინც არ გცნობს, არ გიღებს. ზოგი ქალაქი, თავისი მასშტაბურობით, პომპეზურობით გეუცხოვება, გთრგუნავს...

ბათუმი – ჩემთვის უსაყვარლესი და ამავდროულად ამოუცნობი ქალაქი. ეს ის ადგილია, სულ რომ მენატრება, ჯერ კიდევ ფრაგმენტულად შემორჩენილი ადამიანური მასშტაბით. ეს მასშტაბი იმდენად კომფორტულია, რომ გგონია ქალაქი ერთ ადამიანზე, შენზეა მორგებული. ბათუმი – თავისი მაგნოლიებით, ზღვით, მზით, ბათუმელებით...

და ამ ყველაფრის მიუხედავად, ბათუმი თითქოს „არ გელაპარაკება". მაგალითად, როცა უნდა მაშინ დაგაქცევს თავზე წვიმას! უაპელაციოდ, გაუფრთხილებლად, დაუნდობლად, მოულოდნელად, თქეშით! ისე, რომ სახლში გაქცევას და თავის შეფარებასაც ვერ მოასწრებ. ვერც წვიმის დაწყებას გაიგებ და ვერც დამთავრებას გათვლი. ასეთი ხასიათი აქვს, არაპროგნოზირებადი. როცა მოუნდება მაშინ აგიჯანყდება და დამთავრებულია შენი დასვენებაც და მოსვენებაც. და, სწორედ ამით გხიბლავს, თითქოს რომ გებრძვის, არ გეპუება და, მიუხედავად ამისა, არა თუ ვერ შორდები, არამედ დღეებს ითვლი, რომ მეორე წელსაც ბათუმს დაუბრუნდე.

ქუთაისი – მუდმივად... თუმცა ქუთაისი სხვა დროს იყოს. მასზე აუცილებლად დავწერ.

თბილისი სხვა არის. გაფრთხილებს, გეუბნება, რომ 20 წუთში გაგიწვიმებს. დროს გაძლევს, გელაპარაკება, განიშნებს...

მიუხედავად სხვადასხვა ხასიათისა, ყველა ქალაქს აქვს სათქმელი. არათუ ქალაქს, ქუჩას, სახლს, მოედანს, სკვერს, ხეს, ტროტუარს, რომლებიც „მემუარებს წერენ", ყველა ურბანულ დეტალს აქვს სათქმელი, რაც ალბათ ძნელი მოსასმენი იქნება, იმიტომ, რომ ამ ტექსტში საკუთარ წილ პასუხისმგებლობას ვიგრძნობთ.

საინტერესოა, რას იტყოდა სახეცვლილი ჯანაშიას ქუჩა. რა ეპიტაფიას დაიწერდა განადგურებული მირზა შაფი, რა სიტყვას გაიმეტებდა „იმელი" და რა ამბავს მოგვიყვებოდა გუდიაშვილის მოედანი...

ერთი წუთით რომ წარმოიდგინოთ თქვენს სახელზე გამოგზავნილი, თეთრ კონვერტში ჩადებული, ოდნავ გახუნებულ ქაღალდზე, გაკრული ხელით დაწერილი წერილი:

„არ გაგიკვირდეს, ეს მე ვარ, გუდიაშვილის მოედანი.

დავიბადე 1840-იან წლებში. ისე, ვახუშტის გეგმაზეც ვარ დატანილი. მოკლედ, ხანდაზმულობის გამო დაბადების ზუსტი თარიღი არც მახსოვს. ქალაქში ამბობენ, რომ ერთადერთი მოედანი ვარ, რომელმაც დღევანდლამდე პირვანდელი სახით მოვაღწიე.

კი, მოვაღწიე, მაგრამ მთლად უდანაკარგოდ ვერა! ორი ახალი შენობა დამადგეს, რომლებიც დღემდე მეუცხოება. ერთი დამინგრიეს, ერთიც მთლიანად გააშიშვლეს და ასე დამტოვეს ღია ცის ქვეშ.

პერიოდულად ხალხი მოდის (უკვე ყველას სახეზე ვცნობ), ჩემს ყოფას აპრო-

**■ მე ყასაბი არ მჭირდება, რესტავრატორი მიპოვეთ. ამხელა ქალაქში რესტავრატორი, როგორ ვერ იშოვეთ?! მოღნინმა მითხრა რესტავრატორი გიშველისო. მოღნინის მჯერა. ეკლესიაა, არ მომატყუებს!**

ფოტოები ლევან ხარაბაძისა

ფოტო: ლევან ხუციშვილისა

**ეეჰ, მე ისეთი ხალხი მახსოვს... ლერმონტოვი ჩემთან ცხოვრობდა, აბა?! „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია აქ იყო... ვინ გინდა, რომ ჩემთან არ მოსულიყო: ფიროსმანი, იეთიმი, გრიშაშვილი... ყველა მახსოვს. ეგენი რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ, არ დამთმობდნენ...**

ტესტებს, მღერის, ცეკვავს, გლინტვეინს სვამს, გამოფენებს აწყობს, საპნის ბუშტებს უშვებს, მაიმედებს: ნუ გეშინია, არ დაგთმობთო, მეუბნებიან... მაგრამ დრო გადის, დრო რომელიც ჩემს წინააღმდეგ მუშაობს! ამასობაში ჩემით ვინგრევი, ვეღარ ვდგავარ მყარად, ხან მათოვს, ხან მაწვიმს, ხან სხეულში წყალი მიდგება... მაცხოვრებლებიც გაიყვანეს და მარტო დამტოვეს.

გალაკტიონი მახსენდება: „და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე...“

რა გავაკეთო?!

მე ვერ დავდივარ! ესაა ჩემი ბუნება, ვერ დავდივარ! ერთგული ჯარისკაცივით ერთ ადგილას ვდგავარ... აქეთ უნდა მოხვიდეთ, ჩემთან...

მოდით! დადექით! ყველას დაგიტევთ, მთელ ქალაქს დაგიტევთ!

თბილისში ამბობენ, რამის მიღწევა თუ გინდა, ქუჩაში ბევრი ხალხი უნდა გამოიყვანოო.

მოდით, მოდით! მე აქ ვარ, რაც თავი მახსოვს, მე სულ აქ ვარ! ჩემი ნაკლი ის არის, რომ სიარული არ შემიძლია, თორემ ყველასთან ცალ-ცალკე მოვიდოდი, დახმარებას გთხოვდით...

რა გავაკეთო?!

ვიღაც კაცები იყვნენ მერიიდან, პროექტები მზად გვაქვსო. ვიცი მე მაგათი პროექტები!!!

მე ყასაბი არ მჭირდება, რესტავრატორი მიპოვეთ. ამხელა ქალაქში რესტავრატორი, როგორ ვერ იშოვეთ?! მოღნინმა მითხრა რესტავრატორი გიშველისო. მოღნინის მჯერა. ეკლესიაა, არ მომატყუებს!

მე ადრე მისი სახელი მერქვა – მოღნინის მოედანი, მერე აბასაბადი დამარქვეს (ლამაზი სახელია), შემდეგ ალავერდოვი მიწოდეს (დღემდე არ ვიცი რით დავიმსახურე ეს ალავერდოვი, ერთი რევოლუციონერი იყო, რომელსაც ჩემზე ფეხიც კი არ დაუდგამს).

ეეჰ, მე ისეთი ხალხი მახსოვს... ლერმონტოვი ჩემთან ცხოვრობდა, აბა?! „ლიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურული საქართველოს“ რედაქცია აქ იყო... ვინ გინდა, რომ ჩემთან არ მოსულიყო: ფიროსმანი, იეთიმი, გრიშაშვილი... ყველა მახსოვს. ეგენი რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ, არ დამთმობდნენ...

ხოდა, იმას ვამბობდი, სახელებს კი მიცვლიდნენ, მაგრამ იერი არ მეცვლებოდა. ახლა სხვა დრო დამიდგა, გამიჭირდა... ვიშლები... ყველა აგურს ვგრძნობ...

შეგაწუხეთ ჩემი ამბით, ბიოგრაფიით დავიწყე და არ გამომივიდა... ვითხოვ, ვიხვეწები, რა ვქნა, თუ მიშველით, ისევ თქვენ დაგრჩებით, თუ არადა, ჩემნაირები დაუკარგავს თბილისს?!

ბუნებით ერთგული ვარ, სულ ვიღაცას ან რაღაცას ველოდები. შენც დაგელოდები, „გუდიაშვილის ბაღში დაგელოდები!“.. ოღონდაც მოდი. მოდი და ის რესტავრატორი მომიყვანე, მოღნინი რომ იცნობს.

მარად შენი,

გუდიაშვილის მოედანი“.

ფოტო: ირაკლი ელიასაშვილი

ფოტო: ლევან ხარბედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან ხარბედია

# Не дом хозяина красит, а хозяин дом

ალბათ ძნელად თუ მოიძებნება თბილისში სახლი, ასე რომ ადასტურებდეს ძველი ანდაზის მარტივ ლოგიკას.

**ირაკლი ხვადაგიანი**

მაჩაბლის ქუჩაზე, არქიტექტურული თვალსაზრისით არაფრით გამორჩეული პატარა სახლის ფასადის უკან მნიშვნელოვანი პიროვნებების სახელების მთელი რიგი დგას, რომელთა ცხოვრების გზა ამავდროულად სწორედ იმ აკრძალული, მიჩუმათებული და მივიწყებული ამბების ქრონიკაცაა, რაც ამ ქუჩამ, უბანმა, ქალაქმა და ქვეყანამ ასე „მოკლე“ მეოცე საუკუნეში გადაიტანა.

სოლოლაკის, ძველი თბილისის ალბათ ყველაზე მდიდრული და კომფორტული უბნის „რეპუტაციას“ დიდი ხნის მანძილზე იმ მოქალაქეთა ჯგუფი განსაზღვრავდა, რომელთაც კრებითი სახელით, სწორედ საცხოვრებელი უბნის მითითებით მოიხსენებდნენ – „სოლოლაკელები“. უბნის კარიბჭეში მდგომი ქალაქის საბჭოს შენობა კი დამსახურებულად ატარებდა „სოლოლაკელების ციტადელის“ სახელს, რადგანაც ლამის საუკუნის მანძილზე ტფილისის ბედ-იღბალი, მისი თანამედროვე ქალაქთა რიგში ჩადგომა და განვითარება სწორედ „სოლოლაკელთა“ – ტფილისის მდი-

კონსტანტინე ავქსენტიევსკი


სიმონ პუგაჩოვი

ივან სმოლინი

ავგუსტ კორკი

ნიკოლოზ კუიბიშევი

ივან ფედკო

დარი, საქმიანი და გავლენიანი ბინადრების – ინიციატივასა და გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული.

მე-19 საუკუნის ბოლოს დაწყებულმა დიდმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ძვრებმა, მოქალაქეთა უმრავლესობის ემანსიპაციისათვის ბრძოლამ და დემოსის შეტევამ „ციტადელზე“ ხანგრძლივი და უსიამოვნო მეტოქეობა დაბადა სოლოლაკელების ბანაკსა (რომლებიც ძირითადად მაინც თვითმპყრობლური რეჟიმისადმი ლოიალურ ძალად და მოკავშირედ აღიქმებოდნენ) და დემოკრატიის აკვანს – „ნაძალადევს“ შორის. ქალაქის ამ ორ განაპირა და რადიკალურად განსხვავებული უბნების მიკროისტორიები, გამორჩეული ბინადრების თავგადასავლები და მათი ცხოვრების გზების გადაკვეთები საინტერესო ილუსტრაციებია იმ საზოგადო პოლიტიკური პროცესებისა, რისი კვალიც მაჩაბლის ქუჩის №6 სახლში დაილექა.

სწორედ ხსენებულ პერიოდში, ჩამოყალიბდა ტფილისის მოქალაქეთა ორი პოლუსის სტერეოტიპული „იმიჯები“, რომლებიც იმდროინდელი კარიკატურისტების საყვარელი თემა იყო – ლურჯხალათიანი, გრძელთმიანი მუშა და მომცრო ღიპიანი მამაკაცი – შლაპით, თეთრი, გახამებული საყელოთი და ტროსტით. პირველი მათგანი ინტერნაციონალურ მასად მოიაზრებოდა, მეორე კი - „სოლოლაკელი სომეხი ბურჟუის“ სახედ, რადგან მსხვილი კაპიტალის მფლობელთა და ქალაქის მამათა უმრავლესობა ეთნიკური სომხები იყვნენ. კლასთა შორის დაპირისპირების გამწვავების და ეროვნულ სენტიმენტებზე მავანთა გამიზნული თამაშის შედეგად კი ამ უკანასკნელისგან ნელ-ნელა ერთგვარი „მტრის ხატი“ შეიქმნა და სოლოლაკის „ბურჟუების უბნის“ რეპუტაციას ეთნიკური ნიშანიც დაემატა.

ალბათ აქედან დაედო სათავე პრობლემას, რომელიც ძალზე მარტივად შეიძლება ამოიცნოთ დღევანდელი თბილისის ქუჩებში სიარულისას – არც ქალაქის ბინადრებს გაუგიათ ერთ დროს პატივით აღსავსე ტფილისის მამების სახელი, არც მათ დატოვებულ მემკვიდრეობაზე ჩანს რაიმე ნიშან-წყალი და დიდად არც არავის უნდა მათი კვალი შეიმჩნიოს.

ასეთი ბედი ერგო მაჩაბლის №6-ის პირველ მეპატრონეს – მიქაელ არამიანცს; ჩვენი თანამედროვეების უმრავლესობისათვის ეს სახელი საავადმყოფოსთან ასოცირდება და სხვას არაფერს ამბობს. დროს და იგნორირებას მხოლოდ ამ მემკვიდრეობამ გაუძლო. უფროსი თაობის მოქალაქეებსღა თუ ახსოვთ მთელ ქალაქში მიმოფანტული სახლების, სასტუმროების, კინოთეატრების მისამართები და სახელები, რომლის მეპატრონე იმ დროისათვის საარაკო კაპიტალის პატრონი იყო და ქალაქის „ამინდსაც“ განსაზღვრავდა.

1917 წლიდან თბილისს მძიმე დროება დაუდგა. რუსეთის იმპერიის დაცემამ, ოსმალეთის მორღვეულმა ფრონტმა, იმპერიის ნანგრევებზე გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა და ანარქიამ თბილისისაკენ ლტოლვილების არმია დაძრა, ამ ერთ-ერთი იშვიათი მშვიდი კუნძულისაკენ. პირველი მსოფლიო ომით და ეკონომიკური კრიზისით ისედაც მისუსტებული ქალაქის ჩვეული ცხოვრების რიტმი თავდაყირა დააყენა – როგორც იტყოდნენ ხოლმე, ხალხი პირდაპირ ქუჩებში ეყარა და თავზე ჭერი სანატრელი გახდა.

მალევე – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დედაქალაქში იძულებითი და ლოგიკური ცვლილებები დაიწყო. წოდების და შეძლების მიხედვით წარმოქმნილი უბნების მოსახლეობა ერთმანეთში აირია და სოლოლაკშიც „ქართული ელემენტი შეიჭრა“, თუმცა მაინც კანტი-კუნტად – ისინი, ვისაც ქირის გადახდის საშუ-

ანატოლი ჰეკკერი

მიხეილ ლევანდოვსკი

ალექსანდრე ეგოროვი

ალება, ან მუნიციპალიზებულ ბინაში ცხოვრების დამსახურება ჰქონდა.

მაჩაბლის №6-ში ახალი მდგმური გამოჩნდა – თავად რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ოჯახობით. იქვე ახლოს მრისხანე სახელის მქონე შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილიც დასახლდა.

ახალმოსახლეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლის 25 თებერვლის დილის საათებში შემდგომი, მძიმე ეტაპი დაიწყო ქვეყნისთვისაც და ამ პატარა უბნისთვისაც. თბილისიდან ევაკუირებულ მთავრობას და არმიას მოქალაქეთა დიდი ნაწილიც თან გაჰყვა, თავისთავად უფრო ისინი, ვისაც ბევრი ჰქონდა დასაკარგი.

ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ თბილისში ფეხის დადგმისთანავე აამოქმედა ძველი და ნაცადი „მათრახისა და თაფლა კვერის“ პოლიტიკა. შიშით შეპყრობილ მოსახლეობას, რომელიც ძარცვასა და სასტიკ ხოცვა-ჟლეტას მოელოდა კარგად დაგეგმილი პიარ-აქციები შესთავაზა: სანახაობა, მოჩვენებითი „ლიბერალობა“... დაცარიელებული სოლოლაკის ნახვით შთაგონებულმა თბილისის რევოლუციურმა კომისრებმა არაოფიციალურად შესთავაზეს ნაძალადევის მუშებს – „მუშათა და გლეხთა მთავრობა“ გთავაზობთ, დატოვოთ თქვენი სახლები „ნახალოვკაში“ და სოლოლაკში გადმობრძანდით – დამსახურებული კომფორტის მისაღებადო. თუმცა მუშების ბოიკოტის გამო იდეა ჩავარდა.

მოჩვენებითი დათბობის ხანა მალევე დასრულდა და „საბინაო სამეულები“ საქმეს შეუდგნენ – სულ რამდენიმე თვეში სოლოლაკი „ბურჟუების უბნიდან“ ახალი პარტიული ელიტისა და ბიუროკრატიის ბანაკად იქცა.

მიქაელ არამიანცს უზარმაზარი ქონების მცირე ნაწილი – მაჩაბლის №6 სახლიც აღარ შეარჩინეს და მორალურად განადგურებული, მის ერთ ოთახში (სამადლოდ რომ დაუტოვეს) გარდაიცვალა 1924 წელს.

ამ დროისათვის სახლს უკვე ახალი, მრისხანე სახელი ჰქონდა – „კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მთავარსარდლების სახლი“. არაკეთილისმსურველები შენიშნავდნენ ხოლმე, რომ ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლების სტაბილურობის ერთადერთი გარანტი წითელი არმია და მისი ხიშტი იყო. შესაბამისად, პოლიტიკური წონით ალბათ ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა სწორედ ამ არმიის სარდლებს ჰქონდათ, მით უმეტეს, ქვეყნის სასაზღვრო და ფეთქებადსაშიშ ნაწილებში. ბედის ირონიით მათი უმრავლესობა მეფის არმიის ყოფილი დამსახურებული ოფიცრები იყვნენ და სამსახურეობრივი მოვალეობისაგან თავისუფალ იშვიათ საათებს „ბურჟუის“ ყოფილ ბინაში ატარებდნენ.

1921-დან 1938 წლამდე მაჩაბლის №6-ის მთავარი მოსახლეების გვართან დასმული გარდაცვალების თარიღები უსიტყვოდ გვიჩვენებს, რა ციინიკური, მარტივი და მოსალოდნელი გაგრძელება ჰქონდა „ახალმოსახლეობას“ მაჩაბლის ქუჩაზე. მასობრივმა ტერორმა უკვე ფუნქციაამოწურული სტაბილურობის გარანტორებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა წერტილში, კვლავ ტერორის მანქანის სამსახურში მდგომებს მიაკითხა.

1921-1938 წლებში კავკასიის წითელდროშოვანი არმიის – შემდგომში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ЗАКВО) – ცხრა სარდლიდან შვიდი დახვრიტეს:

ანატოლი ილიას ძე ჰეკკერი – 1938 წლის 1 ივლისს;

ალექსანდრე ილიას ძე ეგოროვი – 1939 წლის 23 თებერვალს;

ავგუსტ ივანეს ძე კორკი – 1937 წლის 12 ივნისს;

მიხეილ კარლის ძე ლევანდოვსკი – 1938 წლის 29 ივნისს;

ივან ივანეს ძე სმოლინი – 1937 წლის 20 სექტემბერს;

ივან თევდორეს ძე ფედკო – 1939 წლის 26 თებერვალს;

ნიკოლოზ ვლადიმერის ძე კუიბიშევი – 1928 წლის 1-ლ აგვისტოს.

სიმონ ანდრიას ძე პუგაჩოვი 1943 წლის 23 მარტს ციხეში გარდაიცვალა, კონსტანტინე ალექსის ძე ავქსენტიევსკიკი ბანაკიდან 1941 წლის 2 ნოემბერს გათავისუფლებული საკუთარ ბინაში საეჭვო ვითარებაში მოკლეს.

ძნელია, ამ სახეების წარმოდგენისას ისევ არ გაგიჩნდეს საბჭოთა ტერორის ლოგიკის გადაუჭრელი კითხვა – რით განსხვავდებოდა მაჩაბლის №6-ის ყველაზე ძველი ბინადრის, რომელიც ბუნდოვნად ახსოვთ მაჩაბლის ქუჩის უხუცესებს, კავკასიის ფრონტის სახელოვანი სარდლის, 1978 წელს მშვიდად გარდაცვლილი – ივან ვლადიმერის ძე ტიულენევის, ავბედით 1937 წლამდე განვლილი ცხოვრების გზა ზემოთ ჩამოთვლილთა ბიოგრაფიებისაგან?

**საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.**

SOVLAB
საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია

ლიბერალი

# დირსის ბულვარის ამბავი

ავტორი: ნინო ბერძენიშვილი

როცა პირველად რომში ტიბერინაზე მოვხვდი და მდინარის სანაპიროზე ჩამწკრივებულ-ჩაწიკწიკებული, ქათქათა ღია კაფე-ბარები ვნახე, მომინდა, იგივე თბილისშიც გვქონოდა. ახლახან ყური მოვკარი მტკვრის სანაპიროზე ბულვარი შენდებაო, ჰოდა ტიბერინა ისევ გამახსენდა. მართალია, რომის კუნძული სხვაა, ბულვარი კი - სხვა, მაგრამ მტკვრის პირას ახალი გასართობი და სარეკრეაციო ზონა ნამდვილად არ გვაწყენს. ჩემსავით ალბათ ბევრი ფიქრობთ, ჰოდა ის დროა, მომავალი ბულვარი თავის შემოგარენიანად უფრო ახლოს გავიცნოთ.

აქ ერთ დროს დირსიჯალის ბაღები იყო: მსხლის, ვაშლის და კარალიოკის ხეები ყვაოდა. თბილისელები კი ამ ადგილს აგარაკებადაც იყენებდნენ. მოგვიანებით, ქარხნების მშენებლობამ დირსიჯალას ეს ფუნქცია დაუკარგა. ხეხილი გაიჩეხა, ბაღები კი სამშენებლოდ უვარგისი მასალებით გაივსო.

მალე ეს ადგილი სარეკრეაციო ფუნქციას კვლავ დაიბრუნებს. მსხლის, ვაშლის და კარალიოკის ბაღები ალბათ არა, მაგრამ სხვადასხვა სახეობის ბუჩქოვანი, ყვავილოვანი, კენკროვანი, მარადმწვანე თუ მრავალწლოვანი მცენარეები ბინას აქ ნამდვილად დაიდებს. ზუსტად სამშენებლო მასალების ადგილას კი ატრაქციონების პარკი აშენდება. მომავალი პარკის სიახლოვესაა ჩემი სანატრელი ბულვარიც, რომელიც თითქმის დასრულებულია: ჯებირები უკვე ამოაშენეს და მალე მოხატავენ, ჩამწკრივებული ლამპიონების შუქი კი განსაკუთრებით ღამის სიბნელეში აქაურობას ძალიან ალამაზებს.

როგორც გავიგე, 3,5 კილომეტრის სიგრძის ბულვარი მრავალპროფილური იქნება: დასასვენებელი სკამების გარდა, აქ კაფე-ბარები, რესტორნები და სხვა გასართობი ობიექტები გაიხსნება. ბულვართან ახლოს ჩოგბურთის კორტები, საფეხბურთო და საკალთბურთო მოედნები მოეწყობა, პატარა სტუმრებს კი აქ საინტერესო სათამაშოები დახვდებათ. და, რაც მთავარია, ამბავი, რომელსაც ველოსიპედის მოყვარულები გულგრილად ვერ შეხვდებიან: ბულვარზე ველოტრასაც იქნება, რომლის საერთო სიგრძე 10 კილომეტრს მიაღწევს.

არ იფიქროთ, რომ ზაფხულში აქ სიცხე შეგაწუხებთ: დირსისთან ახლოს ორთაჭალის ჰესია და მდინარეც სწრაფად მიედინება. თანაც, ამ ადგილს შავნაბადას მთები აკრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ დირსის უბნელებს თუ ბულვარის სტუმრებს მუდმივად ბუნებრივი ვენტილაცია ექნებათ.

ჰო, ბულვარი დირსის უბნის ნაწილია. მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის, რომელიც ქალაქის ცენტრიდან 7 წუთის სავალზეა. 46 ჰექტარის ტერიტორიაზე კომპლექსს აზერბაიჯანული საინვესტიციო ჰოლდინგი AS Group Investment აშენებს. 11 კორპუსი უკვე დასრულებულია, 7 კორპუსი კი მობინადრეების მისაღებად ემზადება.

სასიამოვნო წინადადება უკვე მზადაა მათთვისაც, ვისაც აქ ბიზნესსაქმიანობა სურს: მოიფიქრეთ კარგი იდეა და გაწერეთ პროექტი, სამაგიეროდ, იჯარის თანხას 2 წლის განმავლობაში არ გადაიხდით.

წითელი ლენტი აქ 29 ნოემბერს გაიჭრება, ვისაც ბინა უკვე ნაყიდი აქვს, ამ დღის დადგომას ალბათ გულისფანცქალით ელის, თუმცა ველით ჩვენც. „მეგობრობის ბულვარს“, რომელიც ვფიქრობ, თბილისელების თუ დედაქალაქის სტუმრებისთვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი მალევე გახდება.

რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრეული ლითონების ხანა

**საკინძები და საკიდი.**
ძველი ასპინძა, ძვ.წ. II ათასწლეული, ბრინჯაო.

**ზოომორფული ფიგურა.**
მარტაზი, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი, ბრინჯაო, 4.1X9.3 სმ.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ბრინჯაოსა და რკინის ხანის მრავალი მნიშვნელოვანი კოლექცია.

ადრებრინჯაოს ხანის კოლექციები წარმოდგენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით; ადრეული ყორღანების კულტურის ძეგლები – კოლექციებით შიდა ქართლის, კახეთის და ბედენის პლატოზე შესწავლილი ყორღანებიდან. თრიალეთის, კახეთის, ქვემო ქართლის მდიდრული ყორღანების მასალებმა შუა ბრინჯაოს ხანა წარმოგვიდგინეს. გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანის კოლექციებში გაერთიანებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მოპოვებული ნივთები (სამთავროს სამაროვანი, თბილისის ძეგლები, კახეთის სამლოცველოები, შიდა და ქვემო ქართლის, ბრილის სამარხები, ურეკის განძი, მუხურჩის სამაროვანი და მრავალი სხვა).

აღნიშნული კოლექციები საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის, დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმის, სიღნაღის მუზეუმის, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციებსა და ფონდებშია დაცული.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდები ძირითადად ქრონოლოგიური და გეოგრაფიული პრინციპითაა დაყოფილი, თუმცა არის ფონდები, სადაც კოლექციები დარგების მიხედვითაა გაერთიანებული: ძვირფასი ლითონების ფონდი, ნუმიზმატიკისა და გლიპტიკის ფონდები.

**საბრძოლო ეტლის მოდელი.**
გოხების გორა, ძვ. წ. IX ს. ბრინჯაო, 4.9X19.7X7 სმ.

**მახვილები.**
მელაანი, ძვ. წ. VIII-VII სს. ბრინჯაო, სიგრძე 60-62 სმ.

**ღორის ფიგურა.**
ნარეკვავი, ძვ. წ. VII-VI სს.
ბრინჯაო, 3X1.5X1 სმ.

**ცული.**
ოყურეში, ძვ. წ. VIII-VII სს. ბრინჯაო, სიგრძე 18.6 სმ.
**ცულები**
ცხინვალი, ძვ.წ. VIII-VII სს. ბრინჯაო.

**მამაკაცის ფიგურა.**
მელაანი, ძვ. წ. VIII-VII სს. ბრინჯაო, სიმაღლე 8.8 სმ.
**მამაკაცის ფიგურა.**
მელაანი, ძვ.წ. VIII-VII სს. ბრინჯაო, სიმაღლე 9.5 სმ

**საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ილუსტრაცია ალექსანდრ ალექსიძისა

# ინსპირაცია ცვლილებებისათვის

**დღესაც ბევრს კამათობენ და სავარაუდოდ მომავალშიც იკამათებენ იმაზე, თუ რამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის ნგრევა. რა იყო გადამწყვეტი მიზეზი, რომელმაც ამ უაზრო მონსტრის გარდაუვალი დაშლის პროცესი დაიწყო?**

**სანდრო ასათიანი**

ჭიქაში თითო-თითო წვეთი რომ აწვეთო, ჭიქა აივსება, წყალი ნელ-ნელა ჭიქის პირს მიუახლოვდება, ბოლოს რომელიღაც ერთი წვეთი კიდეს გადმოლახავს და წყალი ჭიქიდან გადმოიღვრება. საბჭოთა კავშირის დაშლასაც, სავარაუდოდ, მრავალი მიზეზი ჰქონდა. ამ მიზეზებიდან რომელიღაც ერთი გადამწყვეტი „წვეთი“ აღმოჩნდა და ქვეყანამაც ნგრევა დაიწყო. შეიძლება ეს „წვეთი“ ამ ქვეყნის ბინადრების თავებში იმალებოდა, სადაც იმ წიგნებისა და ვიდეოფილმების საშუალებით მოხვდა, რომლებზეც ამ ჩაკეტილი ქვეყნის მხოლოდ ზოგიერთ ბინადარს მიუწვდებოდა ხელი.

იმ არც ისე შორეულ წარსულში ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო რამდენიმე მედიასაშუალება ან მეგობრების წრე იყო. მედიასაშუალებები, რბილად რომ ვთქვათ, მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადახვა სახით მიეწოდებოდა მაყურებელს, მსმენელს, მკითხველს. ნაცნობებში, მეგობრებში, თანამშრომლებში ინფორმაცია ძირითადად ისევ იმ სამყაროს ირგვლივ ტრიალებდა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ბინადრები ცხოვრობდნენ. მაგრამ კიდევ იყო წიგნები, ზოგჯერ უხარისხოდ გადაქსეროქსებული და ხელით აკინძული ან საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი, ან სულაც ხელით გადაწერილი. წიგნები, რომლებიც ერთ ღამეში უნდა წაგეკითხა, ვინაიდან სხვებიც ელოდებოდნენ თავიანთ რიგს. ან კიდევ ვიდეოფილმები, რომლებიც ტელევიზორში და კინოთეატრებში ნანახისაგან აბსოლუტურად განსხვავებული სამყარო მოჩანდა. განსხვავებული ქალაქების, მანქანებისა და ურთიერთობების სამყარო. ამ წიგნებიდან და ფილმებიდან ამოკრეფილი ამბები ჩაკეტილი ქვეყნის ბინადრების თავებში დასეირნობდნენ. ერთი თავიდან მეორეში გადადიოდნენ, ერთმანეთს წყლის წვეთებივით ემატებოდნენ...

## ცვლილების წვეთი

ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. დღეს ყველას, ვისაც ინტერნეტზე მიუწვდება ხელი, შეუძლია ნებისმიერი ფილმი ან წიგნი მოიპოვოს. ინტერნეტმა ბოლო მოუღო ძნელად საშოვნ ფილმებსა და იშვიათ წიგნებს. დღეს ძნელი იქნება თუნდაც საქართველოს რომელიმე რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდას აუხსნა, რა არის იშვიათი წიგნი. მიუხედავად ამისა, დღესაც წვეთებად გროვდება ის, რაც მომავალში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს. როცა დავფიქრდი, საიდან შეიძლება გროვდებოდეს დღევანდელ ახალგაზრდებში ინსპირაცია ახალი ცვლილებებისათვის, პატარა ექსპერიმეტის ჩატარება გადავწყვიტე.

## საზოგადოება საზღვრების გარეშე

რამდენიმე წლის წინ ერთი პროექტის ფარგლებში, რომელსაც საკმაოდ გრძელი დასახელება ჰქონდა („სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა“), თითქმის მთელი საქართველო, უფრო ზუსტად კი, 11 რეგიონი მოვიარე. უფროსკლასელებს ტრენინგებს ვუტარებდი, რომლის ფარგლებშიც ინტერნეტის ეფექტურ გამოყენებაზე ვესაუბრებოდი. ონლიანკომუნიკაციის შესაძლებლობებს ვაცნობდი და საკუთარი ონლაინრესურსების შექმნაში ვეხმარებოდი. ტრენინგებმა მეც ბევრი რამ ახალი თვალით დამანახა. რაც მთავარია, დამაფიქრა, როგორი იქნება საქართველო მაშინ, როდესაც ჩემი მსმენელები გაიზრდებიან და გადაწყვეტილებების მიმღებები გახდებიან. საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ინტერნეტზე მიუწვდებათ ხელი, დღეს ადვილია უშუალო სამეზობლოს, პატარა ქალაქის საზოგადოების წნეხისაგან გათავისუფლება.

პროგნოზების კეთება, განსაკუთრებით საქართველოში, არასახარბიელო საქმეა. ამიტომ გადავწყვიტე ჩემი ტრენინგების მსმენელებისათვის ინტერვიუების ჩამორთმევა, რომელთა საშუალებითაც მეც და თქვენც შევძლებდით დაგვენახა ის სამყარო, რომლებშიც საქართველოს სხვადახვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები ცხოვრობენ. ეს საშუალებას მოგვცემდა გაგვეკეთებინა ჩვენ-ჩვენი დასკვნები. ჩემი იდეის განხორციელებაში, რა თქმა უნდა, ინტერნეტი დამეხმარა. შევადგინე ონლაინკითხვარი და ბავშვებს დავუგზავნე. ექპერიმენტის შედეგი ასე გამოიყურება:

### თაკო

თაკო 17 წლისაა, ცხოვრობს გორში, სწავლობს №3 საჯარო სკოლაში.

მე: ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის ინტერნეტი?

თაკო: პირადად ჩემს ოჯახში ინტერნეტი ყოველთვის ხელმისაწვდომი არ იყო. ვინაიდან იყო ისეთი პრობლემები, როცა მე და ჩემი ძმა ვერ ვრიგდებოდით, რადგან ერთი კომპიუტერი გვქონდა. ამიტომ მშობლებმა გადაწყვიტეს,

რომ ორივეს გვქონოდა. დღესდღეობით ჩემთვის და მთელი ჩემი ოჯახისათვის ინტერნეტი ხელმისაწვდომია.

მე: შეეცადეთ გაიხსენოთ თქვენ მიერ ნანახი პირველი ვებგვერდი.

თაკო: yoo.ge. ეს იყო თამაშების საიტი. პირველად ეს საიტი ვნახე თბილისში, როცა ნათესავთან ვრჩებოდით 2008 წლის ომის დროს. ამ დროს სახლში კომპიუტერი გვქონდა, მაგრამ არ გვქონდა ინტერნეტი. დასრულდა თუ არა ომი, როდესაც სახლში დავბრუნდით, მაშინვე ინტერნეტი ჩავრთეთ და მთელი დღეები yoo.ge ზე ვთამაშობდი. სამწუხაროდ, ეს საიტი აღარ არსებობს.

მე: გაიხსენეთ, რომელმა გვერდმა გაგაკვირვათ ყველაზე მეტად.

თაკო: YouTube. ყოველთვის მიკვირდა საიდან იყრიდა ამდენი ვიდეო თავს ერთად.

მე: იმ სოციალური ქსელებიდან რომლებშიც ხართ დარეგისტრირებული, რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო?

თაკო: შეიძლება ძალიან ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი - Facebook მეხმარება მეგობრებთან კონტაქტის შენარჩუნებაში, რადგან მყავს ისეთი მეგობრები, რომლებიც არ ცხოვრობენ ჩემს ქალაქში. საზღვარგარეთ მიწევს კონტაქტი დედაჩემთან, ჩემს მეგობრებთან და ეს ძალიან მეხმარება, ჩემი მარჯვენა ხელია.

მე: ურთიერთობთ თუ არა უცხოეთში მცხოვრებ თანატოლებთან სოციალური ქსელის საშუალებით?

თაკო: მყავს მეგობარი ამერიკაში, რომელიც ჯერ საქართველოში ცხოვრობდა და ბოლო რამდენიმე წელია იქ გადავიდა. ასევე შვეიცარიაში, ირლანდიაში, იტალიაში, რუსეთში.

მე: მოგიყოლიათ თუ არა თქვენი მეგობრისათვის რაიმე ამბავი ვიდეოს ან ფოტოს საშუალებით?

თაკო: როდესაც არ მაქვს დიდი დრო, ჩემს დაქალებს პირად ჩეტში ვიდეომესიჯებს ვუგზავნი და ვოის მაილებს ვუგზავნი ხოლმე, როცა მეზარება წერა.

მე: რა მოწყობილობით შედიხართ ინტერნეტში ყველაზე ხშირად?

თაკო: ტელეფონით.

**მარიკა**

მარიკა 18 წლისაა. მან ხაშურის №9 საჯარო სკოლა დაამთავრა. ამჟამად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.

მე: ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის ინტერნეტი?

მარიკა: დღესდღეობით ინტერნეტით სარგებლობა უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. განსაკუთრებით თბილისში. ნებისმიერ ადგილას შეგიძლია უფასო WIFI-ით სარგებლობა. ამიტომ არ მახსენდება რაიმე სერიოზული პრობლემა ინტერნეტთან დაკავშირებით.

მე: შეეცადეთ გაიხსენოთ თქვენ მიერ ნანახი პირველი ვებგვერდი.

მარიკა: ძალიან ძნელია პირველი ვებგვერდის გახსენება და სიმართლე რომ გითხრათ, ვერც ვიხსენებ. უბრალოდ დავწერ იმ ვებგვერდის შესახებ, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო დაახლოებით 7-8 წლის წინ, როდესაც აღმოვაჩინე http://lib.ge/.

მე: ჩამოთვალეთ მინიმუმ 3 ვებგვერდი, რომელსაც ყველაზე ხშირად სტუმრობთ.

მარიკა: რა თქმა უნდა, როგორც ყველა ახალგაზრდა მეც ყველაზე ხშირად ვიყენებ Facebook-ს. გარდა ამისაა ხშირად ვსტუმრობ Gmail.com--სა და Googl.com-ს

მე: გაქვთ თუ არა საკუთარი ვებგვერდი ან ბლოგი?

მარიკა: მაქვს საკუთარი ბლოგი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან დიდი ხანია არ განმიახლებია. მაგრამ ვგეგმავ მის აღდგენას და აქტიურად მუშაობას. http://youngombudsmen.wordpress.com/ ეს არის ჩემი ბლოგი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება.

მე: სოციალური ქსელებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო

მარიკა: აქტიურად ვსარგებლობ Facebook-ით, რომლის საშუალებითაც არა მხოლოდ მეგობრებთან ვურთიერთობ, არამედ მისი დახმარებით ვეცნობი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ვიღებ ჩემთვის საინტერესო ინფორმაციას სხვადასხვა სასწავლო პროგრამებისა თუ ტრენინგების შესახებ. არის სხვადასხვა საზოგადოებრივი გვერდები, რომლებიც მეხმრება გადაწყვეტილების მიღებაში. ანუ ვცდილობ, რომ მაქსიმალურად გამოვიყენო ის ჩემი წინსვლისა და წარმატებისთვის და არ შემოვიფარგლები მხოლოდ, ასე ვთქათ, მეგობრებთან ჭორაობით.

მე: შეგიტყვიათ თუ არა რაიმე თქვენთვის მნიშვნელოვანი ამბავი ინტერნეტის საშუალებით?

მარიკა: დღეს მგონი ყველაფერს ინტერნეტიდან ვიგებთ. განსაკუთრებით ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო წელს ეროვნული გამოცდების შედეგები. როგორც ყველა აბიტურიენტი მოუთმენლად ველოდი პასუხებს და აქტიურად ვიყენებდი ინტერნეტს, რომ დროულად მიმეღო საჭირო ინფორმაცია.

მე: გყავთ თუ არა ისეთი მეგობრები, რომლებიც ინტერნეტში გაიცანით და მხოლოდ ინტერნეტით ურთიერთობთ მათთან?

მარიკა: ასეთი მეგობარი სიმართლე რომ გითხრათ არ მყავს. მე არასდროს ვცდილობ, რომ ინტერნეტით გავიცნო ადამიანი. ჩემთვის რეალური მეგობრობა უფრო ღირებულია.

მე: ხართ თუ არა გაწევრიანებული რომელიმე დახურულ ჯგუფში?

მარიკა: რა თქმა უნდა, ვარ გაწევრიანებული რამდენიმე დახურულ ჯგუფში. ამჟამად ეს არის ჩემი კურსელების ჯგუფი, სადაც 25 ჯგუფელი ვართ გაერთიანებული. ჩვენი საუბრის თემა ძირითადად უნივერსიტეტს, გამოცდებს, დავალებებს შეეხება. გარდა ამისა უფრო ახლოს ვეცნობით ერთმანეთს და ჩვენ შესახებ საინტერესო ამბებს ვწერთ. აგრეთვე ვარ ჯგუფში, რომელშიც გაწევრიანებული ვართ კლასელები. და ამ დროისთვის ამ ჯგუფის ძირითადი თემა ერთმანეთის შესახებ სიახლეების გაგება ან შეხვედრების დაგეგმვაა.

მე: რა მოწყობილობით შედიხართ ინტერნეტში ყველაზე ხშირად?

მარიკა: ამჟამად ყველაზე ხშირად ვსარგებლობ მობილური ინტერნეტით, შემდეგ კომპიუტერით.

**ჩემს ბავშვობაში ინტერნეტი უბრალოდ არ იყო და, შესაბამისად, ინტერნეტთან წვდომა საერთოდ არ მქონდა. მაშინ მეგობრებთან, ნაცნობებთან კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა დღევანდელისაგან განსხვავებული საშუალებებით ხდებოდა. თუკი ვინმესთვის რაიმე ამბის მოყოლა მინდოდა, ტელეფონით ან ადრესატთან უშუალო შეხვედრისას უნდა მომეყოლა. კიდევ ერთი გზა წერილის მიწერა იყო და მორჩა.**

### დათო

დათო 19 წლისაა. მან ქუთაისის №23 საჯარო სკოლა დაამთავრა, ახლა კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.

მე: ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის ინტერნეტი?

დათო: არანაირ პრობლემას ამ მხრივ არ ვაწყდები. პ.ს. თუ, რა თქმა უნდა, რაიმე ექსტრემალურ პირობებში არ მესაჭიროება ინტერნეტი.

მე: შეეცადეთ გაიხსენოთ თქვენ მიერ ნანახი პირველი ვებგვერდი.

დათო: chatbox.ge. სავარაუდოდ ეს იყო პირველი საიტი, რომელიც ვნახე. ერთ-ერთი საკაბელო მუსიკალური არხის ოფიციალური ვებგვერდი. არც ისე დახვეწილი დიზაინით.

თავად არხი იყო საერთო ჩეთი, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა. ჰყავდა დიჯეი და ძირითადად მუსიკალურ თხოვნებს იღებდა.

საიტში საინტერესო კი ის იყო, რომ ზუსტად იგივე ჩატი იყო, რაც ტელევიზიაში და სმს-ის გაგზავნა 50 თეთრის ნაცვლად გაცილებით იაფად შეიძლებოდა.

მე: გაიხსენეთ, რომელმა გვერდმა გაგაკვირვათ ყველაზე მეტად და გაიხსენეთ, რა იყო მასში თქვენთვის საინტერესო.

დათო: გამაკვირვა peteranswers.com-მა. ეს იყო საიტი, რომლითაც მეგობრები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ. ვიღაც პეტერმა თითქოსდა ყველა კითხვაზე იცოდა პასუხი. სინამდვილეში კი პასუხიც იმას შეყავდა, ვისი მიზანიც სხვების მახეში გაბმა იყო.

მე: გაქვთ თუ არა საკუთარი ვებგვერდი ან ბლოგი?

დათო: ამჟამად არა. მქონდა ბლოგი დავიდიანი.wordpress.com. ყველაზე პოპულარული პოსტები შეეხებოდა სოციალურ-პოლიტიკურ თემატიკას და მომხმარებლებიც ძირითადად კრიტიკულ მოსაზრებებს წერდნენ განხილული საკითხის მიმართ. ხანდახან პოსტების მიმართაც იყო კრიტიკული კითხვები.

მე: იმ სოციალური ქსელებიდან, რომლებშიც დარეგისტრირებულები ხართ, რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო?

დათო: ყველაზე ხშირად ვიყენებ Facebook-ს. ის მეხმარება აზრების ურთიერთგაცვლაში. ასევე ვიყენებ მას კურსელებთან და ჯგუფელებთან საკონტაქტოდ. ვიღებ და ვავრცელებ ჩემთვის აქტუალურ ინფორმაციას.

მე: შეგიტყვიათ თუ არა რამე თქვენთვის მნიშვნელოვანი ამბავი ინტერნეტის საშუალებით?

დათო: კონკრეტული ფაქტი არ მახსენდება, თუმცა იმ კონკურსების შესახებ, რომლებშიც გამიმარჯვია, ინტერნეტის საშუალებით შევიტყვე და ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში.

მე: გყავთ თუ არა ისეთი მეგობრები, რომლებიც ინტერნეტში გაიცანით და მხოლოდ ინტერნეტით ურთიერთობთ მათთან?

დათო: პრინციპში ახლა უკვე ასეთი მეგობრების რიცხვი შემცირდა.

ვისთანაც ასე თუ ისე ახლო ურთიერთობა მაქვს, ერთხელ მაინც მყავს ნანახი.

თუმცა არიან მეგობრები, სხვა ქალაქებიდან, რომლებიც არ მყავს ნანახი.

სიმართლე რომ ვთქვა, ამას არასდროს შეუშლია ხელი, ისეთივე ურთიერთობა დამემყარებინა მათთან, როგორიც „რეალურ“ მეგობრებთან მაქვს.

ვსაუბრობთ ყველაფერზე, ყოველდღიური წვრილმანი თემებიდან დაწყებული, ეგზისტენციალური საკითხებით დამთავრებული.

მე: კითხულობთ თუ არა ინტერნეტში ნაპოვნ წიგნებს?

დათო: კომპიუტერით მხოლოდ მცირე ზომის ესეებს და ჩანახატებს ვკითხულობ.

სამაგიეროდ, ვტვირთავ პლანშეტისთვის შესაბამისი ფორმატის ელ-წიგნებს.

ბოლოს ასე წავიკითხე ეგზუპერის „ადამიანთა მინა“.

აგრეთვე ხშირი მკითხველი ვარ ბიბლიის ელექტრონული ვერსიის.

### თენგო

თენგო 18 წლისაა. გურიაში მთისპირის საჯარო სკოლა დაამთავრა და ახლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.

მე: ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის ინტერნეტი?

თენგო: სოფელში ინტერნეტი დაბალი სიჩქარით მოგვეწოდება, რადგან არ არის არც საკაბელო, არც Wi-Fi. მიუხედავად ამისა, მაინც ვახერხებთ ინტერნეტთან წვდომას.

მე: გაიხსენეთ, რომელმა გვერდმა გაგაკვირვათ ყველაზე მეტად და რა იყო მასში თქვენთვის საინტერესო?

თენგო: ყველაზე მეტად გამაკვირვა ერთ-ერთმა ქართულმა ფორუმმა (wapforum.ge), რადგან ის ჩემთვის პირველი ვებგვერდი იყო, სადაც ადამიანთა ფართო მსჯელობა წავიკითხე და სხვადასხვა იუზერების მოსაზრებებს გავეცანი.

მე: გაქვთ თუ არა საკუთარი ვებგვერდი ან ბლოგი?

თენგო: ერთი წელია, რაც ბლოგი მაქვს „თქვენი online რეპეტიტორი“ (repetitori.wordpress.com). ბლოგს ნახევარ მილიონზე მეტი ნახვა აქვს და მიხარია, რომ ის პოპულარულია საგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარნეულში აზერბიჯანულ ენაზე მოლაპარაკე ბავშვებთან მომიწია შეხვედრა. ტრენინგის ჩატარებაში ჩემი აზერბაიჯანელი სტუდენტი, ხაიალა მეხმარებოდა, ვინაიდან ბავშვებს ქართულად საუბარი უჭირდათ. ტრენინგის შემდეგ ბავშვებმა მითხრეს, რომ მათ ეგონათ ინტერნეტი მხოლოდ გასართობად იყო შექმნილი.**

მანათლებლო წრეებში. მკითხველები ძირითადად თხოვნებისა და ჩანაწერთა შესაფასებელ კომენტრებს წერენ.

ყველაზე პოპულარული პოსტი იყო „პრეტესტი ქიმიაში", რომელიც განკუთვნილი იყო ბავშვებისთვის წინასაგამოცდოდ მოსამზადებლად.

მე: შეგიტყვიათ თუ არა რამე თქვენთვის მნიშვნელოვანი ამბავი ინტერნეტის საშუალებით?

თენგო: სასურველ უნივერსიტეტში მოხვედრა ინტერნეტის საშუალებით შევიტყვე.

მე: ურთიერთობთ თუ არა უცხოეთში მცხოვრებ თანატოლებთან სოციალური ქსელის საშუალებით?

თენგო: სოციალური ქსელის საშუალებით ვეკონტაქტები ჩემს კორეელ მეგობარს, რომელიც საქართველოში გავიცანი, და ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ ინგლისურის მასწავლებელს აშშ-ში.

მე: კითხულობთ თუ არა ინტერნეტში ნაპოვნ წიგნებს.

თენგო: მე online წიგნების აქტიური მკითხველი ვარ. ბოლოს წავიკითხე პავლე მოციქულის მიმართვა რომაელებს.

მე: გაიხსენეთ ინტერნეტთან დაკავშირებული საინტერესო ამბავი?

თენგო: გავიხსენებ კუბელი ქალბატონის ისტორიას, რომელიც ჩუმად საკუთარ ბლოგზე კუბაში არსებული მდგომარეობის შესახებ წერდა, და რომელსაც ბარაკ ობამამ დაუტოვა კომენტარი.

### მე

თბილისში 53-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მერე სამხატვრო აკადემია დავამთავრე ახლა კი სადოქტოროზე ვსწავლობ.

ჩემს ბავშვობაში ინტერნეტი უბრალოდ არ იყო და, შესაბამისად, ინტერნეტზე საერთოდ არ მიმიწვდებოდა ხელი. მაშინ მეგობრებთან, ნაცნობებთან კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა დღევანდელისაგან განსხვავებული საშუალებებით ხდებოდა. თუკი ვინმესთვის რაიმე ამბის მოყოლა მინდოდა, ტელეფონით ან ადრესატთან უშუალო შეხვედრისას უნდა მომეყოლა. კიდევ ერთი გზა წერილის მიწერა იყო და მორჩა. იმ ბავშვებს კი, რომლებსაც ონლიანინტერვიუ ჩამოვართვი უამრავი ალტერნატივა აქვთ. მათ შეუძლიათ ტელეფონით ფოტო გადაიღონ, რომელიმე სოციალური მედიის არხზე ატვირთონ და ტეგი დაურთონ, ამგვარად მოუყვნენ ამბავი მეგობრებს. ან ამბის მოსაყოლად ვიდეო გადაიღონ იმავე ტელეფონით. თუკი ამბის მოყოლას ერთდროულად ბევრი ადამიანისათვის მოინდომებენ, მაშინ შეუძლიათ პოსტი გამოაქვეყნონ სოციალურ მედიაში ან საკუთარ ბლოგზე. ანუ ფაქტობრივად საკუთარი მედიაარხი აამუშაონ. ჩემს ბავშვობასთან თუ გავავლებთ კიდევ ერთ პარალელს დღევანდელი Facebook-ის ექაუნთების კედლები შეგვიძლია კედლის გაზეთებს შევადაროთ, რომლებზეც გამოსახულება და ტექსტი უამრავ ახალ და ხან უინტერესო, ხანაც საინტერსო ამბავს ჰყვება.

ახალი თაობა ინერნეტშიც მათთვის უფრო მოსახერხებელი გზით შედის. მე ძირთადად ინტერნეტში შესასვლელად კომპიუტერს ვიყენებ. მესტიაში ყოფნისას კი ყურადღება მიიქცია იმან, რომ რამდენიმე ბავშვი ინტერნეტში სმარტფონით შედიოდა. იმ ადგილას, სადაც ტრენინგს ვატარებდი WiFi იყო. ამიტომ ბავშვებმა დრო იხელთეს და ტელეფონები მოიმარჯვეს. როგორც მივხვდი, ეს მათთვის მიღებული პრაქტიკა იყო, ვინაიდან ზოგიერთ მათგანს სახლში ინტერნეტი არ ჰქონდა. ანუ ინტერნეტში არა კომპიუტერით, არამედ სმარტფონით შედიოდნენ. რომ დავფიქრდი, მივხვდი, ეს მათთვის მართლაც უფრო მოსახერხებელი გზაა. მობილური მუდამ ჯიბეში გაქვს და ინტერნეტში შესვლა შეგიძლია ყველგან, სადაც WiFi-ს წააწყდები. ყველაფერთან ერთად, ეგრეთ წოდებული, Android Phone-ბი კომპიუტერზე გაცილებით ნაკლებიც ღირს. ანუ თავად ეს მოწყობილობაც კომპიუტერზე უფრო ხელმისაწვდომია.

მარნეულში აზერბიჯანულ ენაზე მოლაპარაკე ბავშვებთან მომიწია შეხვედრა. ტრენინგის ჩატარებაში ჩემი აზერბაიჯანელი სტუდენტი, ხაიალა მეხმარებოდა, ვინაიდან ბავშვებს ქართულად საუბარი უჭირდათ. ტრენინგის შემდეგ ბავშვებმა მითხრეს, რომ მათ ეგონათ ინტერნეტი მხოლოდ გასართობად იყო შექმნილი. ისინი ინტერნეტს სატელევიზიო გადაცემების დამატებად აღიქვამდნენ. მარნეულის რეგიონში აზერბაიჯანულ მოსახლეობას თანამგზავრული ანტენები აქვთ, რომელთა დახმარებითაც თურქულ არხებს უყურებენ. თურქულ ახალგაზრდულ სატელევიზიო გადაცემებში კი უხვად არის სხვადასხვა ონლიანრესურსების ლინკები და ბავშვებმა ჩათვალეს ინტერნეტი ტელევიზიის დამატება არისო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთისთვის ინტერნეტი და ონლიანსერვისები მხოლოდ გასართობი სივრცეა, ბევრმა უკვე იცის, რომ ინტერნეტი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ის პირობითი საზღვრები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ და რეალურად უამრავ შესაძებლობას სთავაზობს მათ.

ასეა თუ ისე, ახალი თაობა მთელი საქართველოს მასშტაბით თავად ირჩევს, რას უყუროს, რა წაიკითხოს, ვისთან იმეგობროს და არ არის ჩაკეტილი იმ სოციუმში რომელშიც ცხოვრობს. შესაბამისად, მომავალში დიდ ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


სილქნეტი
SILKNET

# SILK DIGITAL პროდუქტები

## My.Silknet.com

### რა არის my.silknet.com?

სპეციალურად Silknet-ის მომხმარებლებისთვის შექმნილი პორტალი.

## Silkmovies.ge

### რა არის silkmovies.ge?

პირველად საქართველოში ლეგალური ფილმების უფასო პორტალი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.



## Silk TV აპლიკაცია

### რა არის Silk TV აპლიკაცია?

ინტერაქტიული ტელევიზია ტელევიზორის გარდა ახლა უკვე სხვა მოწყობილობებზეც. Silk TV-ის უნიკალური ფუნქციები (გადახვევა, დაპაუზება, და ა.შ) და ხარისხი უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია.

## Silk Up

### რა არის Silk Up?

უფასო მობილური აპლიკაცია, რომლის დაინსტალირება შესაძლებელია ანდროიდზე და iOS-ზე.

QARVA lemondo MEGOGO ომედია

2 100 100 www.silknet.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პისაბეიტი, ათი წლის შემდეგ

აქ მუშკეტერები არაფერ შუაშია, არც დიუმა, რადგან მაშინ პიცა არ  არსებობდა.

**გიო ახვლედიანი**

ამ ათი წლის წინათ და საერთოდ საუკუნის  დასაწყისში პრემიერლიგაში  საქმე ისე იყო, რომ წლის თამაში ორი იყო ხოლმე, მაჩესტერ „იუნაიტედსა“ და „არსენალს“ შორის.

იმხანად არსენალი უფრო მაგარი იყო, თავისი ბერკამპებით, ანრის ქურციკობით, ჰოლანდიელებით, ფრანგებით, ესპანელებით. ფერგის გუნდი კი იმას ამტკიცებდა, რომ „არსენალი“ მაგარი კია, მაგრამ მანჩესტერი, მაინც მანჩესტერია, და ჩემპიონობა რომც წაართვან, მაინც დაიბრუნებს.

ასეც ხდებოდა ხოლმე, მაგრამ მთავარი ამ ორი გუნდის თამაში იყო. თუნდაც ამ დროს „ჩელსიში“ უკვე მოსულიყო ჟოზე მაურინიო, რომელმაც გახადა კიდეც ეს გუნდი ჩემპიონი სწორედ ხსენებულ სეზონზე, მრავალი ათეული წლის შემდეგ. მაგრამ „მანჩესტერ“-„არსენალზე“ მაგარი და სადაო იმხანად ჯერ არ იქნებოდა.

ჰოდა, ზუსტად ათი წლის წინ, ოქტომბერში, დადგა მორიგი „მანჩესტერ“ – „არსენალი“ ოლდ ტრეფორდზე.

იქით-აქეთ მენეჯერებად იყვნენ ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი.

ამათი თამაშები იმ წლებში ისედაც გადასარევი იყო და, სიმართლე ითქვას, ფეხბურთსაც სცდებოდა ხოლმე, მაგრამ ეს, რაღაც განსაკუთრებული გამოვიდა.

მიზეზი ერთი იყო, „არსენალს“ წინა, ზღაპრული სეზონიდან მოყოლებული არ წაეგო. არ წაეგო 49 თამაში და ინგლისური ფეხბურთის მისტიურ სურათთაგან გამომდინარე, ამ წაუგებელთაგან 50-ე თამაში უწევდა სწორედ ოლდ ტრეფორდზე.

უცნობია, რომელმა საფეხბურთო ღმერთმა განსაზღვრა ასე, თუკი საერთოდ არსებობენ საფეხბურთო ღმერთები. მაგრამ ამ თამაშის წინარე მთელ კვირას, „არსენალმა“ ერთი ამბავი შექნა მედიაში – 50-ე წაუგებელი ახლოა, ჩვენ მზად ვართ, ჩვენ თავს დავდებთ, ჩვენი მეტოქე ახლა ისეთი ვერ არის, ამ მიღწევას მოვამრგვალებთ და ასე შემდეგ.

მაშინ ცხრამეტი წლის და მართლა მაგარი უეინ რუნის მოგონებით, მანჩესტერელთა გადარევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს პროპაგანდაც იყო.

ის ხალხი იწევდა, რომ ოცნება მაინცდამაინც ჩვენს სახლში, ჩვენს კედლებში აესრულებინა და ჩვენც გვარიანად გადავირიეთო.

გადაირივნენ და დახვედრაც მოუწყვეს.

რუუდ ვან ნისტელროიმ პენალტი გაიტანა სოლ კემპბელის მიერ რუნის წაქცევისთვის და მერე თავად რუნიმაც შეაგდო.

აქაც დიდი წინაისტორია იყო. წინა წელს, თამაშის მიწურულს, ვან ნისტელროი ახტა და კემპბელს დაახტა საჯარიმო მოედანზე. მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც ვან ნისტელროიმ ვერ გაიტანა. იმის მერე არსენალის ფეხბურთელები მიესივნენ და – აგე, შე მატყუარაო – დაუწყეს ხელ-ფეხით შეხსენება.

მაგრამ ამ ჯერზე ვან ნისტელროიმ გაიტანა. მსაჯად კი იყო ახლა უკვე გადამდგარი მაიკლ რაილი, ერთი ცნობილი გამხდარი მსაჯი, რომელსაც, მანამდე, რაც ემსაჯა „მანჩესტერის“ თამაშები, ბოლო ზედიზედ შვიდ შეხვედრაში მიეცა პენალტი „იუნაიტედის“ სასარგებლოდ. ამიტომ ეს ახალი პენალტიც სალაპარაკო გახდა, თუმცა მერე რუნიმ თავისი ქნა და „მანჩესტერმა“ ის 50-ე წაუგებელი არ აღირსა „არსენალს“.

დღევანდელი სიტყვათქმით, რუნიმ კემპბელს ის პენალტი გაუჩალიჩა და საერთოდაც, პენალტის დარტყმამდე ზეიმი მეტი იყო, ვიდრე მისი გატანის შემდეგ. მაგრამ ასე იყო, თუ ისე, „მანჩესტერმა“ მოიგო ორი გოლის სხვაობით და მოზეიმე ბრბოს სიმღერის ფონზე გუნდები გვირაბში შევიდნენ.

გვირაბი ოლდ ტრეფორდზე პირდაპირი არ არის. ის მოედნის კუთხურის ნიშნულამდე გამოწელილი გარმონის მსგავსი შესასვლელია, რომელიც სტადიონის შიდა შესასვლელს უერთდება.

ჰოდა, ამბავიც იქ დაიწყო.

დაიწყო, რა. ფეხბურთი მოთავებული იყო.

„მანჩესტერი“ უკვე გასახდელში ზეიმობდა, და ამ დროს იქ ვან ნისტელროი შემოვიდა, რომელმაც გახარებულ სერ ალექსს მოახსენა, არსენ ვეგერმა გვირაბში შემოსვლაც არ მაცალა, ისე გამომლანძღაო.

ალბათ უფრო წარსულის გამო, რადგან ჰოლანდიელს დაწვრილებით არ უამბნია.

ამის გამგონე ფერგიუსონი გვირაბში გავარდა, როგორც თვითონ იგონებს, არსენისთვის იმის სათქმელად, შენს ფეხბურთელებს მიხედეო.

მერე ჟურნალისტთა და, განსაკუთრებით კი, „მეთოფე“ ფეხბურთელთა აღქმით, ფერგიუსონ-ვენგერის დიალოგი ანთებული ფრანგისა და მოძველბიჭო სქოტის ყეფა იყო.

როგორც ფერგიუსონი იხსენებს, ვენგერი ისე იყო გადარეული, რომ მუშტებიც შეკრული ჰქონდა.

ამასობაში კი გვირაბში მოაბიჯებდნენ ორივე გუნდის ფეხბურთელები.

გვირაბი კი ვიწრო რამ არის.

ლაპარაკი გაგრძელდა. თუ ლაპარაკი ერქვა. გასახდელიდან გამოცვივდნენ „მანჩესტერის“ ის ფეხბურთელებიც, რომლებსაც იქ შესვლა მოესწროთ.

მოკლედ, ჩოჩქოლი ატყდა.

დღემდე იმ თამაშის მონაწილენი ამბობენ, რომ ეს იყო მათ ცხოვრებაში ურთულესი, უმძიმესი ფეხბურთი. ფილ ნევილი იხსენებს, რომ მათ იცოდნენ, როგორ

**„არსენალის“ გასახდელთან სუპი, სალათები და პიცა ეწყო მაგიდებზე და სანამ ვენგერი და ფერგიუსონი ერთმანეთს ტკბილ სიტყვებს ეუბნებოდნენ და ფეხბურთელებიც ერთმანეთში „აირიენ“, სიტყვებით, ვის ებლატავები ბიჭოო, „არსენალის“ ბუფეტიდან პიცის ერთი მოზრდილი ნაჭერი გამოფრინდა და პირდაპირ ცხვირ-პირზე აეწება ფერგიუსონს.**

ი 56/154



ეროვნული ბიბლიოთეკა

**იმასაც ამბობენ, არ დაუმიზნებია, ისე გასტყორცნა ხელთ მოხვედრილი პიცის ნაჭერი მეტოქეთა მხარეს, ხოლო გვირაბში სივიწროვე, ზედახორა და ჩოჩქოლი იყო და პიცა მაინცდამაინც ფერგის, მაინცდამაინც ცხვირ-პირში და მაინცდამაინც დათითხნილად მოხვდაო.**

მოეგოთ. „მეთოფე“ ხუან ანტონიო რეისი კი ამბობს, რომ ამდენჯერ არასდროს წაქცეულა მთელი კარიერის განმავლობაში და ასე მწარედაც არასდროს მოხვედრია ფეხებში.

ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი.

იქ ცხადია, არ გაგიშვებთ, თქვე ტრაბახა ვირიშვილებო.

მოკლედ, ეს ფეხბურთი იყო. რასაც ვერ ვხედავთ, ის ფეხბურთელებისგან უნდა მოვისმინოთ.

მაგრამ საქმე უკვე გვირაბში ირჩეოდა.

„მანჩესტერს,“ ისევე როგორც ბევრ სხვა კლუბს, წესად ჰქონდა, რომ მოწინააღმდეგე გუნდის გასახდელთან სუფრა გაეშალა. ასეთი წესია ხოლმე.

არის მეორე სუფრაც, სადაც თამაშის შემდეგ მწვრთნელები და უფროსობა ერთ-ორ ჭიქას დალევენ ერთად, დაწყნარდებიან, გადაეხვევიან ერთმანეთს და საქმე ამით მოთავდება ხოლმე.

მაგრამ ეს, პირველი სუფრა, ფეხბურთელებისთვისაა. ვისაც უნდა, რომ ორი ლუკმა შეჭამოს შინ გამგზავრებამდე, მათთვის სახელდახელო ბუფეტია გაშლილი.

ჰოდა, „არსენალის“ გასახდელთან სუპი, სალათები და პიცა ეწყო მაგიდებზე და სანამ ვენგერი და ფერგიუსონი ერთმანეთს ტკბილ სიტყვებს ეუბნებოდნენ და ფეხბურთელებიც ერთმანეთში „აირიენ“, სიტყვებით, ვის ებლატავები ბიჭოო, „არსენალის“ ბუფეტიდან პიცის ერთი მოზრდილი ნაჭერი გამოფრინდა და პირდაპირ ცხვირ-პირზე აეწება ფერგიუსონს.

როგორც არსენალის ერთი ფეხბურთელი იგონებს, პიცის ნაჭერი ნელა ჩამოცურდა მისი სახიდან, და მის გადასარევ კოსტუმსა და ჰალსტუხზე სიცილიური ტომატის კვალი დატოვა.

ფერგიუსონიც ასე იხსენებს თავის ბოლო წიგნში – შემდეგი რაც მახსოვს, პიცის სუნია და ეს ნაჭერი, რომელიც სახეზე მომეკროო.

ნასროლმა პიცამ თითქოს დაამშვიდა მოჩხუბრები.

საქმე ისაა, რომ პრემიერლიგის თამაშების შემდეგ მენეჯერები სავალდებულო ჰალსტუხიან ინტერვიუს იძლევიან ხოლმე.

მოგონებებით, ფერგი გუნდის გასახდელში შემოვიდა და პიცის ნაკვალევს იშორებდა სამოსიდან, რათა ტელევიზორში ეს ყველაფერი არ გამოჩენილიყო.

გუნდები კი უბრად, ერთმანეთზე გაბუტულები გაიყარნენ, რაც დიდი იშვიათობაა ინგლისში.

იმის შემდეგ იყო, რომ დიდი ხნით გაფუჭდა ურთიერთობა ფერგიუსონსა და ვენგერს შორის, იმის მიუხედავად, რომ პიცა ვენგერს არ უსვრია.

ფერგი წერს თავის წიგნში, ვენგერმა, და, რაც ყველაზე გასაკვირია, მისმა თანაშემწემ, პეტ რაისმა კარგა ხნით თქვეს უარი ოლდ ტრეფორდზე თამაშის შემდგომ გადახუხვაზე და ჩვენს ოთახში შემოსვლაზეო.

ეს კი ტრადიციებით მოსაუბრე ბრიტებისთვის ბევრს ნიშნავს.

მერე დრო გავიდა, და ერთხელაც ვენგერი და რაისი შევიდნენ დასალევად ცოტა ხნით, მაგრამ ნამდვილად კი იმის მანიშნებლად, რომ ეს ძველი ამბავი მორჩა.

უთქმელი ბოდიშები, უთქმელი მიხვედრები და ასე შემდეგ.

ეს ლამაზია ხოლმე, როცა მორჩება.

მაგრამ ვინ ისროლა პიცის ნაჭერი?

ენდი კოული, მაშინდელი არსენალის ვარსკვლავი, პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მიგვანიშნებს, მსროლელი არც ფრანგი და არც ინგლისელი ყოფილაო.

დარჩნენ ესპანელები.

იმათგან რეიესს არ უსვრია, და გამოვიდა, რომ ყმაწვილმა ფაბრეგასმა სთხლიშა პიცა დროულ და პატივსაცემ ფერგიუსონს.

დღემდე ასეა, ამბობენ ფაბრეგასმა ისროლაო.

თუმცა იმასაც ამბობენ, არ დაუმიზნებია, ისე გასტყორცნა ხელთ მოხვედრილი პიცის ნაჭერი მეტოქეთა მხარეს, ხოლო გვირაბში სივიწროვე, ზედახორა და ჩოჩქოლი იყო და პიცა მაინცდამაინც ფერგის, მაინცდამაინც ცხვირ-პირში და მაინცდამაინც დათითხნილად მოხვდაო.

ბედია ყველაფერი.

დღეს ამაზე ყველა იღიმის, თვით ფერგიც.

მაშინ კი ვენგერი ამბობდა, მოგვიხდა, რა ვქნათ, ბარემ ჯვარზე გაგვაკარით, მსაჯისგან ჩაგრულნიო.

„არსენალმა“ მაშინ ისე ჩათვალა, რომ მსაჯი მაიკლ რაილი მანჩესტერის ქარიზმის ქვეშ იმყოფებოდა და ხისტი თამაში არ ალაგმა.

ძველი დროა. მაგრამ დიდი ფეხბურთი, თავისი პიცით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



WWW.LIBERALI.GE

THE 15th
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

თბილისის
საერთაშორისო
კინოფესტივალი

01-07.12.2014

კ/თ ამირანი, რუსთაველი

www.tbilisifilmfestival.ge

adjara net.com



Outdoor.ge
Forbes GEORGIA